

სამატიალი
ფსიქოლოგია
კვდაბეგია



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY
T. 193 V.



ПРАВО • ПСИХОЛОГИЯ • ПЕДАГОГИКА
LAW • PSYCHOLOGY • PEDAGOGICS

ТБИЛИСИ 1977 TBILISI

**სამართალი • ფსიქოლოგია •
პედაგოგიკა**

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა

გ. კეჩხუაშვილი (რედაქტორი), ა. ბაინდურაშვილი, ვ. კობახიძე, რ. შენგელია,
ა. ფალიაშვილი, შ. დონაძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Г. Н. Кечхуашвили (редактор), А. Г. Баиндурашвили, В. С. Коба-
хидзе, Р. В. Шенгелия, А. Палиашвили, Ш. Т. Донадзе.

EDITORIAL BOARD

G. Kechkhuashvili (editor), A. Baindurashvili, V. Kobakhidze, R.
Shengelia, A. Paliashvili, Sh. Donadze (secretary).

გაერთიანებული ერაზის ორგანიზაციის ნამიბიის¹ საბჭოს სამართლებრივი სტატუსი

გივი მთვარელიძე

ნამიბიის პრობლემა² მეოთხედ საუკუნეზე მეტია აღევლებს მსოფლიოს მშვიდობისმოყვარულ ხალხებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (შემდეგში გაერო) დაინტერესებულია ნამიბიის ბედით, დაარსების დღიდან.

ამ პერიოდის განმავლობაში ნამიბიის საკითხს იხილავდნენ გაეროს სხვადასხვა მთავარი³ და დამხმარე⁴ ორგანოები.

ნამიბიის პრობლემის მნიშვნელობაზე საკმარისია ითქვას, რომ ამ საკითხის გადაჭრას მიეძღვნა გაეროს მე-55 სპეციალური სესია.

ამჟამად ნამიბიის საკითხი გაეროს 10-ზე მეტი ორგანოს მუშაობის დღის წესრიგში დგას.

ნამიბიის პრობლემას საბჭოთა კავშირში მიეძღვნა მთელი რიგი საჟურნალო სტატიები, ერთი წიგნი [1], ორი დისერტაცია [2], მაგრამ ქართულ ენაზე ამ საკითხის ირგვლივ არ მოგვეპოვება არც ერთი საჟურნალო წერილიც კი. ამდენად წინამდებარე სტატია წარმოადგენს პირველ ცდას, ქართ-

¹ ნამიბია (ყოფილი სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა) მდებარეობს აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ტერიტორია 823,8 ათასი კვ. მ. (დაახლოებით საფრანგეთისა და ინგლისის ფართობი ერთად აღებული), მოსახლეობა 1974 წლის აღწერის თანახმად 852 ათასი ადამიანი. 1968 წლის 12 ივნისის გაეროს გენერალური ასამბლეის 2372 (XXII) რეზოლუციით დადგენილი იქნა, რომ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკას მისი მოსახლეობის ნების თანახმად ეწოდოს ნამიბია. ნამიბია წარმოებულია სიტყვიდან ნამიბ-უდაბნოს სახელწოდება, რომელიც მდებარეობს ქვეყნის ატლანტიკის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ მდ. კუნენდან ჩრდილოეთში, მდ. ნარინჯამდე სამხრეთში. მოზინადრე უძველესი ტომების ნამასა და დამარას ენებზე სიტყვა „ნამიბ“ ნიშნავს — ფარი.

² 1920 წელს ერთა ლიგის მიერ სამხრეთ აფრიკის კავშირისათვის (1961 წლის მაისიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გაცემული მანდატი სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიის მიმართ არ იქნა გაუქმებული მანდატარის მიერ 1945 წ. გაეროს შექმნასთან დაკავშირებით, რომლის წესდების თანახმად ყოფილი სამანდატო ტერიტორიები უნდა გადასცემოდა გაეროს მიერ შექმნილ სამეურვეო საბჭოს, რასაც შემდგომში ქვეყნის ტერიტორიის ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. ამ ფაქტმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხრიდან საერთაშორისო სამართლის მიერ საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევა გამოიწვია.

³ გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო.

⁴ გაეროს მეოთხე კომიტეტი, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სპეც. კომიტეტი, კეილი სამსახურის კომიტეტი, სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი, დეკოლონიზაციის სპეციალური კომიტეტი, აპარტეიდის სპეციალური კომიტეტი, ნამიბიის სპეციალური ქვეკომიტეტი, გაეროს ნამიბიის საბჭო და სხვ.



ველ მკითხველს გააცნოს, თუ რაში მდგომარეობს ნამიბიის პრობლემა და როგორ
საკუთრებით როგორ უდგება დღეს ამ საკითხს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მის მიერ შექმნილი ნამიბიის საბჭო.

1946 წლიდან ნამიბიის საკითხი გენერალური ასამბლეის ყველა სესიის მუშაობის დღის წესრიგშია შეტანილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში მიღებულია გენერალური ასამბლეისა¹ და უშიშროების საბჭოს² მრავალი რეზოლუცია, გაერომ ვერ შეძლო მიეღწია იმისათვის, რათა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას დამოუკიდებლობა მიენიჭებინა ნამიბიისათვის.

ნამიბიელი ხალხის ისტორიაში დიდმნიშვნელოვან თარიღადაა შესული 1966 წლის 27 ოქტომბერი. ამ დღეს გენერალურმა ასამბლეამ თავის XXI სესიაზე მიიღო ისტორიული რეზოლუცია 2145(XXI), რომელიც საყოველთაო აღიარებით წარმოადგენს შემობრუნების პუნქტს გაეროში ნამიბიის საკითხის ხანგრძლივი განხილვის ისტორიაში.

ამ რეზოლუციაში გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა, რომ ნამიბიის ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება გაეროს წესდების და გენერალური ასამბლეის 1960 წ. 14 დეკემბრის 1514(XV)³ რეზოლუციის შესაბამისად და რომ ამ ტერიტორიას ენიჭება საერთაშორისო სტატუსი, მანამდე ვიდრე არ მოიპოვებს დამოუკიდებლობას. იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებანი ნამიბიის მმართველობის საკითხში, ამავე რეზოლუციით ასამბლეამ გააუქმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მანდატი და იმ დღიდან ტერიტორიის მმართველობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშუალო მოვალეობად გამოაცხადა.


ამ გადაწყვეტილების თანახმად გაეროს მე-5 სპეციალურ სესიაზე აფრო-აზიის, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა და იუგოსლავიამ წარმოადგინეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც სათანადო განხილვისა და ცვლილებების შეტანის შემდეგ მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1967 წ. 19 მაისს 2248(S—V) რეზოლუციის სახით, რეზოლუციას ხმა მისცა 85 სახელმწიფომ. 30 თავი შეიკავა. წინააღმდეგი გამოვიდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და პორტუგალია, რომლებმაც პროვოკაციულად გამოიყენეს ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში არსებული ხარვეზები.

თუმცა რეზოლუცია ითვალისწინებდა ნამიბიიდან სამხრეთ აფრიკის ადმინისტრაციული პერსონალის, სამხედრო და პოლიციური ძალების გამოყვანას და ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, მასში მთლიანად უგულვებელყოფილი იყო ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისგან ადმინისტრაციის შექმნა, არაფერი არ იყო ნათქვამი აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის როლზე, რომელიც მას ენიჭება, როგორც მნიშვნელოვან საერთაშო-

¹ იხ. მაგ. გენერალური ასამბლეის რეზოლუციები 2145(XXI), 2248(—V), 2325(XXII), 2372(XXII), 2396(XXIII), 2439(XXIII), 2440(XXIII), 2446(XXIII), 2517(XXIV), 2671(XXV), 2678(XXV), 2679(XXV), 2871(XXVI), 2872(XXVI), 3030(XXV IV), 3036(XXV II), 3111(XXV III), 3112(XXV III), 3295(XXIX), 3296(XXIX), 3399(XXX), 3340(XXX).

² იხ. მაგ. უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 181(1963), 182(1963), 191(1964), 245(1968), 246(1968), 266(1968), 264(1969), 269(1969), 276(1970), 283(1970), 284(1970), 301(1971), 309(1972), 310(1972), 319(1973), 323(1972), 342(1973), 366(1974).

³ დეკლარაცია კოლონური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ამ დეკლარაციის 2 მუხლის ძალით, ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, ამ უფლების ძალით ხალხები თავისუფლად ამყარებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ანხორციელებენ თავიანთ ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.




რისო ორგანიზაციას, ნამიბიის ამ მწვავე პოლიტიკური პრობლემის გადაჭრაში და, რაც მთავარია, არაფერი არ იყო ნათქვამი აშშ-ს, ინგლისისა და სხვადასხვა სახელმწიფოების მიმართ, რომ ამ უკანასკნელთ საბოლოოდ შეეწყვიტათ დანაშაულებრივი მხარდაჭერა სამხრეთ აფრიკელი რასისტების მიმართ. ამ მიზეზების გამო სოციალისტურმა სახელმწიფოებმა თავი შეიკავეს ხმის მიცემისას და ამასთან ერთად მათ პირობა მისცეს აფრო-აზიურ ქვეყნებს, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ ყველა მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია სამხრეთ აფრიკელი რასისტებისა და მათი იმპერიალისტი მფარველების მანევრების წინააღმდეგ [3].

2248 (S—V) რეზოლუციის ძალით შეიქმნა გაეროს ნამიბიის საბჭო 11 წევრ-სახელმწიფოს შემადგენლობით¹, რომელიც დღესაც მოქმედებს. ზემოხსენებულმა რეზოლუციამ გაეროს ნამიბიის საბჭო ფართო უფლება-მოვალეობებით აღჭურვა:

- ა) ტერიტორიის მოსახლეობის მაქსიმალური მონაწილეობით აწარმოოს ნამიბიის მმართველობა დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.
 - ბ) გამოსცეს მმართველობისათვის აუცილებელი საკანონმდებლო აქტები მანამდე, ვიდრე საყოველთაო არჩევნების შედეგად არ შეიქმნება საკანონმდებლო კრება.
 - გ) ტერიტორიის მოსახლეობასთან კონსულტაციების გათვალისწინებით მიიღოს ზომები დამფუძნებელი კრების შექმნისა და კონსტიტუციის შესამუშავებლად.
 - დ) უზრუნველყოს წესრიგი ტერიტორიის ფარგლებში.
 - ე) ტერიტორიის მოსახლეობას გადასცეს მთელი უფლებამოსილება, მას შემდეგ რაც იგი დამოუკიდებლობას მოიპოვებს.
- გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა, რომ საბჭო თავის ფუნქციების შესრულებისას პასუხისმგებელია ასამბლეის წინაშე, ხოლო ისეთ აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ ამოცანებს, რომლებსაც საბჭო ჩათვლის აუცილებლად, დააკისრებს გაეროს ნამიბიის კომისარს, რომელიც ინიშნება გენერალური ასამბლეის მიერ და პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.
- გენერალური ასამბლეის ზემოხსენებულმა ისტორიულმა რეზოლუციებმა მკვეთრი რეაქცია გამოიწვიეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველ წრეებში. მათი პოზიცია ნამიბიის პრობლემის მიმართ აისახა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 1967 წ. 26 სექტემბრის გაეროს გენერალური მდივნის სახელზე გამოგზავნილ წერილში [4], სადაც იგი ცინიკურად აყენებს საკითხს 2145(XXI) რეზოლუციის არაკანონიერების შესახებ, რომ რეზოლუცია თითქოსდა მოწოდებულია მოახვიოს სამხრეთ აფრიკას მოქმედებათა კურსი, რომელიც არაფრით არ შეესაბამება ნამიბიის მოსახლეობის პროგრესსა და კეთილდღეობას. ხოლო როდესაც გაეროს ნამიბიის საბჭომ მოინდომა თავისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის განხორციელება — ჩასულიყო ნამიბიის ტერიტორიაზე, სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებ-

¹ გაიანა, ეკვიპტე, ზამბია, ინდოეთი, ინდონეზია, კოლუმბია, ნიგერია, პაკისტანი, თურქეთი, ჩილი და იუგოსლავია. 1972 წლის 18 დეკემბრის 3031(XXVII) რეზოლუციით ამ შემადგენლობას დაემატა ბურუნდი, ჩინეთი, ლიბერია, მექსიკა, პოლონეთი, რუმინეთი და სსრკ. ხოლო 1974 წლის 13 დეკემბრის 3295(XXIX) რეზოლუციით საბჭოს წევრები გახდნენ ავსტრალია, ალჟირი, ბანგლადეში, ბოტსვანა, ჰაიტი, სენეგალი და ფინეთი. ამდენად დღეისათვის საბჭოში შედის 25 წევრ-სახელმწიფო.



მა ოფიციალურად განაცხადეს, რომ თვითმფრინავს, რომლითაც იმგზავრებდნენ საბჭოს წევრები, არ მიეცემოდა დაშვების უფლება. ამასთან დაკავშირებით გაეროს ნამიბიის საბჭომ თავის ყოველწლიურ II ანგარიშში განაცხადა, რომ „დედამიწის ნებისმიერი რაიონის ხმელეთისა და წყლის ტერიტორიათა იურიდიული სტატუსი თანაბარი ზომით ვრცელდება ამ რაიონების ზევით მდებარე საჰაერო სივრცეზე. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2145(XXI) და 2248(S—V) რეზოლუციებით გააუქმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მანდატი, რაც ვრცელდება ამ ტერიტორიის ზემოთ მდებარე საჰაერო სივრცეზეც. ამიტომ სამხრეთ აფრიკას არ გააჩნია იურისდიქცია ნამიბიის საჰაერო სივრცის მიმართ. აქედან გამომდინარე, საბჭო გეგმავდა რა თავის მგზავრობას, თავს არ თვლიდა რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვემდებარედ, გარდა გაეროს იურისდიქციისა [5]. იმ დროს, როდესაც ნამიბიის საბჭო ცდილობდა როგორმე დაეთანხმებინა სამხრეთ აფრიკის ხელისუფალნი დაეშვა იგი ნამიბიის ტერიტორიაზე, ფერვუდის მთავრობა შეუდგა ოდენდაალის გეგმის¹ [6] განხორციელებას, რომელიც რეკომენდაციას იძლეოდა დაყოფილიყო ნამიბია აფრიკული ტომებით დასახლებულ 10 რაიონად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის „ბანტუსტანების“ მსგავსად. გეგმის მიხედვით, არაევროპელების (ადგილობრივი მოსახლეობის) დასახლება მოიცავდა 32629394 ჰექტარს, ფერად² მოსახლეობას ეთმობოდა 92421 ჰექტარი, ხოლო თეთრებს (ევროპელებს) ნამიბიის დანარჩენი ნაწილი ანუ ტერიტორიის საერთო ფართობის 43% [7].


გაეროს ნამიბიის საბჭომ თავისი საქმიანობის დასაწყისშივე გამოთქვა შეშფოთება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კატეგორიული უარის გამო დამორჩილებულიყო. გაეროს გადაწყვეტილებებს, რაც უცილობლად გამოიწვევს ძალადობის გააქტიურებას და რასობრივ ომებს. საბჭომ რწმენა გამოთქვა, რომ ასეთი მდგომარეობა წარმოადგენდა ამ რაიონში სერიოზულ მუქარას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის. საბჭომ ჩათვალა, რომ ამ მუქარის თავიდან აცილებისათვის პასუხისმგებლობა გაეროს ეკისრებოდა.

საბჭომ აცნობა აგრეთვე გენერალურ ასამბლეას, რომ ეწინააღმდეგება რა ნამიბიის ტერიტორიიდან შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ და მთლიან გამოყვანას, სამხრეთ აფრიკელი რასისტები ჩქაროებენ ქვეყანაში შექმნან ბანტუსტანები, რაც მიგვიითებს მისი ტერიტორიალური მთლიანობის მოსპობისაკენ მისწრაფებაზე. აქვე საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი ვერ შეძლებენ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, თუ გაეროს მხრიდან არ იქნება მიღებული სამხრეთ აფრიკელი რასისტების წინააღმდეგ ეფექტური იძულებითი ზომები [8].

გენერალურმა ასამბლეამ თავის XXII სესიაზე, 1968 წ. 12 ივნისს, მიიღო 2372(XXII) რეზოლუცია, რომელშიც გენერალური ასამბლეა კვლავ მიმართავდა გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს მოწოდებით — მიეღოთ „ეფექტური ეკონომიური და სხვა სახის ზომები“ ნამიბიიდან სამხრეთ აფრიკის კოლონიური რეჟიმის გასაძევებლად და გაეწიათ ნამიბიელი პატრიოტებისათვის სა-

¹ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ 1962 წელს შექმნა კომისია ნამიბიის საკითხის შესასწავლად. კომისიის სათავეში ედგა სამხრეთ აფრიკის მაღალი თანამდებობის პირი ოდენდაალი, სხვადასხვა საკითხებს შორის კომისიის უნდა შეესწავლა საკითხი „ბანტუსტანების“ დამკვიდრების მიზანშეწონილების შესახებ, ნამიბიის მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის.

² ადგილობრივი პირის და ევროპელის ნარევი.



თანადო დახმარება დამოუკიდებლობისათვის მათ სამართლიან ბრძოლაში. ამავე რეზოლუციით გაფართოვდა ნამიბიის საბჭოს ფუნქციები: ა) გეროს სხვა დაწესებულებებთან და ორგანოებთან თანამშრომლობით გაუწიოს ფინანსური და ტექნიკური დახმარება ნამიბიელებს და შეადგინოს შესაბამისი კორდინირებული პროგრამა.

ბ) დაინტერესებულ სახელმწიფოებთან კონსულტაციების საფუძველზე შეადგინოს პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო მოსამსახურეების, ტექნიკური პერსონალისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მომზადებას.

გ) გააგრძელოს კონსულტაციები ნამიბიელებისათვის საგზაო დოკუმენტების გაცემის თაობაზე¹.

გაეროს ნამიბიის საბჭოს ფუნქციები ყოველწლიურად ფართოვდება, რაც ასახულია გენერალური ასამბლეის შესაბამის რეზოლუციებში: ა) წარმოადგინოს ნამიბია საჭიროების შემთხვევაში.

ბ) განაგრძოს კონსულტაციები ნამიბიელი ხალხის წარმომადგენლებთან და აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციასთან.

გ) შეისწავლოს ნამიბიაში მოქმედი უცხოეთის ეკონომიკური წრეების საქმიანობა.

დ) შეისწავლოს, იცავენ თუ არა გაეროს წევრ-სახელმწიფოები შესაბამის რეზოლუციებს.

ე) ითანამშრომლოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და კონფერენციებთან, რომლებიც კი გამოიჩინენ ინტერესს ნამიბიის მიმართ.

ვ) განიხილოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების სია, რომლებშიც სამხრეთ აფრიკა მონაწილეობს და, რომ ისინი შეესაბამებოდნენ საერთაშორისო სასამართლოს 1971 წ. 21 ივნისის კონსულტაციურ დასკვნას² და მიიღოს შესაბამისი ზომები.

ზ) დეტალურად შეისწავლოს ნამიბიის საზღვრები, განსაკუთრებით კი უოლფიშბეის სტატუსი³, კაპრივის ხაზი⁴ და საზღვარი ანგოლასთან.

თ) მოამზადოს დეტალური გამოკვლევა ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის სამ-


¹ დოკუმენტი გამოშვებულია გაეროს ნამიბიის საბჭოს მიერ იმ მიზნით, რომ ნამიბიელებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გადაადგილდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში.

² 1971 წ. 21 ივნისის გაეროს საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა კონსულტაციური დასკვნა ნამიბიის საკითხზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ სამხრეთ აფრიკის შემდგომი ყოფნა ნამიბიაში არაკანონიერია, სამხრეთ აფრიკა ვალდებულია დაუყოვნებლივ გაიწიოს თავისი აღმინისტრაცია ნამიბიიდან და შეწყვიტოს მისი ოკუპაცია.

გაეროს წევრ-სახელმწიფოები ვალდებული არიან ცნონ სამხრეთ აფრიკის ყოფნის არაკანონიერება ნამიბიაში და თავი შეიკავონ კავშირუთიერთობის დამყარებაზე სამხრეთ აფრიკასთან. ამავე დასკვნაში სასამართლომ განაცხადა, რომ 2145(XXI) რეზოლუციის მიერ სამხრეთ აფრიკის მანდატის გაუქმება, გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებათა ფარგლებში განხორციელდა. ამ საკითხზე დაწერილებით იხ. **Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970) Advisory Opinion J. C. j Reports 1971 p. 16** Б. И. Кофман. Юридические последствия консультативного заключения Международного суда от 21 июня 1971 года. Сборник аспирантских работ, часть I. Изд. Казанского университета, 1973 г.

³ ქალაქი ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე.

⁴ ნამიბიის ტერიტორიის ზოლი, რომელიც ესაზღვრება ანგოლას, ზამბიას, ბოსტვანას და სამხრეთ როდეზიას.



ხედრო ოპერაციებისა და დანადგარების შესახებ, რომლებიც ემუქრებოდა რიკის ქვეყნების დამოუკიდებლობას და ეწინააღმდეგებოდა ნამიბიის ერთაშორისო ტერიტორიის გაეროსთვის გადაცემას.

ი) მიიღოს მონაწილეობა ნამიბიის სახელით საზღვაო სამართლის III საერთაშორისო კონფერენციებში.

კ) გააფართოვოს ახალი ინფორმაციის გადაცემა ნამიბიაში და პირიქით, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ინფორმაციის უფრო ფართოდ გავრცელების უზრუნველსაყოფად და გააფართოვოს ნამიბიის სახალხო ორგანიზაციის (სვაპო)¹ გადაცემების პროგრამები რადიოსადგურ „ნამიბიის ხმის“ მეშვეობით.

ნამიბიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან სოლიდარობის მიზნით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ თავის 28-ე სესიაზე 1973 წ. 12 დეკემბერს მიიღო 3111(XXVIII) რეზოლუცია, რომელმაც დაადგინა, რომ ყოველწლიურად 26 აგვისტო აღინიშნოს როგორც ნამიბიის დღე².

1970 წ. 29 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 283 (1970) რეზოლუცია, რომელშიც უშიშროების საბჭო თხოვდა გენერალურ ასამბლეას დაეწესებინა გაეროს ფონდი ნამიბიისათვის. 1970 წ. 9 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ 2679(XXV) რეზოლუციით დააწესა ეს ფონდი, მისი მიზანი იყო ნამიბიელების განათლების პროგრამის დაფინანსება და თხოვა გენერალურ მდივანს მოემზადებინა ამ საკითხის ზუსტი გამოკვლევა; თავის პირველ მოხსენებაში [9] გენერალურმა მდივანმა გამოთქვა მოსაზრება რომ შექმნილიყო „კოლეჯი ნამიბიელების განათლების დონის ასამაღლებლად“, გაეროს ნამიბიის ფონდის სახელმძღვანელო პრინციპები გათვალისწინებულია უშიშროების საბჭოს 283(1970) და გენერალური ასამბლეის 2679(XXV) რეზოლუციებში.

თავის 198-ე სხდომაზე 1974 წ. 3 მაისს გაეროს ნამიბიის საბჭომ დაადგინა: შექმნილიყო ნამიბიის ფონდის კომიტეტი, ინდოეთის, ნიგერიის, თურქეთის, იუგოსლავიის შემადგენლობით; კომიტეტს გაეროს ნამიბიის საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. ამასთან გაეროს ნამიბიის კომისარი ითვლება მის ex officio წევრად. 1974 წ. 27 სექტემბერს ნამიბიის საბჭომ თავის 209 სხდომაზე მიიღო გაეროს ნამიბიის ფონდის სახელმძღვანელო პრინციპები: 1. განათლება და პროფესიული მომზადება. 2. სოციალური და სამედიცინო დახმარება.

3. იურიდიული დაცვა.

ა) დევნილი ნამიბიელების იურიდიული დაცვა.

ბ) ნამიბიის ინტერესების, მისი სუვერენიტეტის, ბუნებრივი სიმდიდრის და რესურსების იურიდიული დაცვა.

¹ ნამიბიის პოლიტიკური პარტია შეიქმნა 1958 წ. ხელმძღვანელობს ნამიბიის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას სამხრეთ აფრიკელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. გენერალურმა ასამბლეამ 3111(XXVIII) რეზოლუციით ცნო (სვაპო) როგორც ნამიბიის ხალხის ქვეშარტი წარმომადგენელი და რომ მხარს უჭერს ამ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

² 1966 წ. ნამიბიის სახალხო ორგანიზაციამ (სვაპო) დაკარგა რა იმედი რომ პრეტორიის რეჟიმი ნებაყოფლობით მონიჭებდა თავისუფლებას ნამიბიას, დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა საოკუპაციო ძალებთან. ნამიბიის დღედ მიჩნეულია 26 აგვისტო, როდესაც 1966 წელს მოხდა პირველი შეიარაღებული შეტაკება რასისტების სამხედრო ძალებთან ომგულამბაში.



4. ნამიბიის სუვერენიტეტის საერთაშორისო განმტკიცება.

ა) სათანადო მასალების პუბლიკაცია და გავრცელება, რადიო და ტელევიზიო პროგრამების მომზადება.

ბ) ნამიბიელების მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე, სემინარებზე და თათბირებზე.

გ) გაეროში ნამიბიელი ხალხის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა [10].


ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები არ ამოწურავს ღონისძიებების დასახელებას, რომელთა გატარებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფონდი.

1973 წ. 12 დეკემბერს მიღებულ 3112(XXVIII) რეზოლუციაში გენერალურმა ასამბლეამ გაეროს ნამიბიის საბჭო ამ ფონდის მზრუნველად დანიშნა. ამის საფუძველზე გაეროს ნამიბიის კომისარმა წამოაყენა მთელი რიგი წინადადებები გაეროს ნამიბიის ინსტიტუტის დასაარსებლად [11]. თავის 199 სხდომაზე 1974 წ. 13 მაისს გაეროს ნამიბიის საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: შექმნას ნამიბიის ინსტიტუტი იმ მიზნით, რათა მიეცეთ ნამიბიელებს ეროვნული კადრების მომზადების საშუალება. ზამბიის მთავრობის ნებართვით საბჭომ ინსტიტუტის ადგილსამყოფლად ქ. ლუსაკა გამოაცხადა.

ნამიბიის ინსტიტუტის სისტემა ითვალისწინებს, რომ ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის უკანონო ოკუპაციის შეწყვეტის შემდეგ იგი დაუყოვნებლივ გადავიდეს ნამიბიაში. ინსტიტუტში ისწავლება: ისტორიის, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის დარგები, სოციალური და განათლების პრობლემები, კონსტიტუციური და სამართლებრივი საკითხები. ინსტიტუტის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შედიან: ნამიბიის სახალხო ორგანიზაციის (სვაპო) წარმომადგენელი და გაეროს ნამიბიის კომისარი. ინსტიტუტი ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს გაეროს ნამიბიის საბჭოს და გაეროს გენერალურ მდივანს.

1974 წ. 24 აგვისტოს გაეროს ნამიბიის საბჭომ თავის 204 სხდომაზე განიხილა გაეროს ნამიბიის კომისარის მიერ წარმოდგენილი, ნამიბიის ბუნებრივი რესურსების დაცვის დეკრეტის პროექტი, რომლის მიზანია დაცვას იგი მძარცველური ექსპლუატაციისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე არსებულ პერიოდში, სათანადო განხილვის შემდეგ თავის 209 სხდომაზე 1975 წლის 27 სექტემბერს ნამიბიის საბჭომ მიიღო დეკრეტის ტექსტი. დეკრეტში ხაზგასმულია, რომ გაეროს ნამიბიის საბჭო მხარს უჭერს გენერალური ასამბლეის 1803(XXII) 1962 წ. 14 დეკემბრის რეზოლუციას, რომელიც აცხადებს ხალხების უფლებას, თავისი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრისა და რესურსების განუყოფელ სუვერენიტეტზე და აღნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკამ უხეშად დაარღვია ეს უფლება. გაეროს ნამიბიის საბჭო ადგენს: 1. არც ერთ პირს ან ორგანოს არ აქვს ნამიბიის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების ძებნის, დაზვერვის, გამოკვლევის, მიღების, რეწვის, დამუშავების, გამოყენების, გაყიდვის და ექსპორტირების უფლება, თუ არ ექნებათ გაეროს ნამიბიის საბჭოს ნებართვა.

2. ნებისმიერი ნებართვა, კონცესია ან ლიცენზია, რომელიც ზემოაღნიშნულ პუნქტში მოყვანილ მიზნებისთვისაა გაცემული, სამხრეთ აფრიკის, ან ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ადმინისტრაციის“ მიერ, ძალადაკარგულია და ანულირებულია.



დეკრეტი 7 მუხლისაგან შედგება და ჩამოთვლილია ღონისძიებები ნამიბიის ბუნებრივი სიმდიდრისა და რესურსების დასაცავად. დეკრეტში ჩამოთვალული დებულებების ცხოვრებაში გასატარებლად გაეროს ნამიბიის საბჭო რწმუნებას ანიჭებს გაეროს ნამიბიის კომისარს, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო ზომები მათ შესასრულებლად, გაეროს ნამიბიის საბჭოს თვემკდომარესთან შესაბამისი კონსულტაციების მიღების შემდეგ.

1973 წ. 14 ივნისს ზამბიის დელეაქალაქ ლუსაკაში თავის 178 სხდომაზე, გაეროს ნამიბიის საბჭომ მიიღო დეკლარაცია [13] ნამიბიის საკითხზე, სადაც აღნიშნულია, რომ ასრულებდა რა თავის მისიას აფრიკაში, 1973 წელს საბჭომ მიიღო მონაწილეობა აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის თათბირში და აწარმოა კონსულტაციები, აფრიკის განთავისუფლების კორდინაციულ კომიტეტთან, ბოტსვანის, ტანზანიის და ზამბიის მთავრობებთან, გაეროს სპეციალურებული ორგანოების წარმომადგენლებთან. დეკლარაციაში ხაზგასმულია: დადგა დრო, როდესაც საჭიროა ყველა სახელმწიფომ ცნოს სამხრეთ აფრიკის მიერ ნამიბიის არაკანონიერი ოკუპაციის შეწყვეტის აუცილებლობა და რომ იგი ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. აქედან გამომდინარე, ყველა სახელმწიფომ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ნამიბიის ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის არა მარტო პოლიტიკურად, არამედ მატერიალურადაც. საბჭო ავალდებულებს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ჯერ კიდევ უწყევნ სამხრეთ აფრიკას სამხედრო, ეკონომიურ, ფინანსურ და პოლიტიკურ დახმარებას დაუყოვნებლივ შეუწყვიტონ ასეთი დახმარება და მხარდაჭერა, უფრო მეტიც, ყველა ის ინვესტიციები უცხოეთის კაპიტალისა და საერთაშორისო კორპორაციების საქმიანობა ნამიბიაში, რომლებიც მხარცველურ ექსპლუატაციას უწყევნ და ფიტავენ მის ბუნებრივ სიმდიდრეს და რესურსებს, შეწყვეტილ იქნეს. გაეროს ნამიბიის საბჭო მაქსიმალურად უჭერს მხარს ნამიბიის ხალხის ბრძოლას და მის ავანგარდს ნამიბიის სახალხო ორგანიზაციას (სვაპო), რომელიც სამართლიან ბრძოლას ეწევა ნამიბიის დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ საბჭო თავის მიზნების შესაბამისად გააფართოებს თანამშრომლობას სვაპო-სთან. ამასთან ერთად საბჭო უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციასთან, რომლის მხარდაჭერასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნამიბიის ხალხის ბრძოლაში. გაერომ იკისრა რა პასუხისმგებლობა ნამიბიის მიმართ, თავისი საქმიანობა უნდა წარმართოს იქით, რომ აიძულოს სამხრეთ აფრიკა წავიდეს ნამიბიიდან და ამით მიეცეს საშუალება ნამიბიის საბჭოს შეუდგეს ამ საერთაშორისო ტერიტორიის მართვას. გაეროს ნამიბიის საბჭო დაბეჯითებით თხოვს უშიშროების საბჭოს, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის, შეასრულოს გაეროს წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებანი, მიიღოს ეფექტური ზომები, რათა სამხრეთ აფრიკამ დაუყოვნებლივ დატოვოს ნამიბიის ტერიტორია.

1974 წ. 17 დეკემბერს უშიშროების საბჭომ მიიღო 366 (1974) რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებდა სამხრეთ აფრიკას ეკისრა ვალდებულება, დაეტოვებინა ნამიბიის ტერიტორია. მას შემდეგ რაც ამ მოწოდებაზე პასუხი არ იქნა მიღებული, უშიშროების საბჭომ განიხილა ნამიბიაში შექმნილი მდგომარეობა. 1975 წ. 6 ივნისს განხილულ იქნა ხუთი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტი [14], რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ სამხრეთ აფრიკისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დადებას ითვალისწინებდა. ეს რე-




ზოლუცია არ იქნა მიღებული, რადგან უშიშროების საბჭოს 3 მუდმივმა წევრმა: აშშ-მა, საფრანგეთმა და ინგლისმა წინააღმდეგ მისცეს ხმა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უარი — დატოვოს ნამიბია წარმოადგენს გაეროს წესდების, საერთაშორისო სასამართლოს 1971 წ. 21 ივნისის კონსულტაციური დასკვნის, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა პაქტების და კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის უხეშ დარღვევას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა: ნამიბიის საკითხი არა მარტო კოლონიური პრობლემაა, იგი პირველ რიგში მწვავე პოლიტიკურ და სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს. ჩვენის აზრით, ნამიბიის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია, უშიშროების საბჭომ გამოიყენოს გაეროს წესებით გათვალისწინებული სანქციები, გაუქმებულ იქნეს ყველა ინვესტიცია და ლიცენზიები, რომლებიც უკანონოდ აქვთ მოპოვებული უცხოეთის კორპორაციებს ნამიბიაში, რადგან არსებობს საფრთხე, რომ მძარცველური ექსპლუატაცია ბუნებრივი სიმდიდრისა და რესურსებისა მიიყვანს ნამიბიას იმ მდგომარეობამდე, რომ იგი დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მოკლებულ იქნება შესაძლებლობას წინ აღუდგეს ნამიბიის ნეოკოლონიურ დამოკიდებულებაში მოქცევას, რაც როგორც უწინ, სასარგებლო იქნება მხოლოდ სამხრეთ აფრიკისათვის.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ნამიბიის ხალხის უფლებას მოიპოვოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიის მთლიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის საფუძველზე. საბჭოთა სახელმწიფო ცნობს ნამიბიის სამართლიან ბრძოლას, იგი მხარს უჭერს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ყველა გადაწყვეტილებას ნამიბიის მიმართ. გაეროს ნამიბიის საბჭო უნდა წარმოადგენდეს და იცავდეს ნამიბიის ინტერესებს. ამასთან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ფაქტიურად მართავდეს მას მოსახლეობის მაქსიმალური მონაწილეობით. ცხადია, სამხრეთ აფრიკა ვერ შეძლებდა აბუხად აეგდო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და უხეშად დაერღვია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, რომ მას მხარს არ უჭერდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პარტნიორები. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გამოვლინდა 1976 წ. ოქტომბერში, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო ნამიბიის საკითხს იხილავდა. აშშ, ინგლისი და საფრანგეთი კვლავ გამოვიდნენ სამხრეთ-აფრიკელი რასისტების დამცველებად, მათ დაადეს ვეტო რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო ნამიბიის ოკუპაცია, გაეყვანა სამხრეთ აფრიკის თავისი შეიარაღებული ძალები და ძალაუფლება გადაეცემოდა ნამიბიელ ხალხს; რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დადებას და მასთან ყოველგვარი თანამშრომლობის შეწყვეტას.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აფრიკის სამხრეთ ნაწილში დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობამ დააჩქარა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალების გამარჯვება ამ ქვეყნის კოლონიებში. დამოუკიდებლობა მოიპოვეს: გვინეა-ბისაუმ, მოზამბიკმა, მწვანე კონცხის, სან-ტომე და პრინსიპის კუნძულებმა, 1975 წ. ნოემბერში დამოუკიდებლობა მოიპოვა პორტუგალიის უკანასკნელმა კოლონიამ ანგოლამ. დეკოლონიზაციის პროცესი ანგოლაში გაართულა შინაური და საგარეო რეაქციის ხრიკებმა, რომლებიც ცდილობდნენ ბზარი შეეტა-



ნათ ანგოლის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებში. ანგოლამ აფრიკის რესპუბლიკის ინტერვენცია განიცადა. რასისტო ინტერვენტები ანგოლაში ნამიბიის ტერიტორიიდან შეიჭრნენ. ამ უსამართლო აქტით, სამხრეთ აფრიკამ უხეშად დაარღვია ნამიბიის — ამ საერთაშორისო ტერიტორიის სამართლებრივი სტატუსი. რასისტები ცდილობენ გაამართლონ ეს ნაბიჯი და მას უკიდურეს აუცილებლობად თვლიან.

აშშ ვაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სამხრეთ აფრიკის თავდაცვის მინისტრის განცხადება, რომ ანგოლის ტერიტორიაზე იმყოფება 4—5 ათასი სამხრეთ აფრიკელი სამხედრო მოსამსახურე და ისინი დარჩებიან იქ მანამდე, სანამ ანგოლის მთავრობა არ გასცემს სამხრეთ აფრიკის ჩრდილოეთი საზღვრების „უშიშროების“ გარანტიას (ეჭვი არაა, რომ მას მხედველობაში სამხრეთ აფრიკის მიერ ოკუპირებული ნამიბიის ჩრდილოეთი საზღვრები ჰქონდა) [15].

ავრესიამ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ დაანახვა მსოფლიოს ხალხებს სამხრეთ აფრიკელი რასისტების ნამდვილი სახე. ანგოლის ხალხმა ძნელი გამოცდა გაიარა. გადალახა რა მის წინაშე მდგარი სიძნელეები, საკადრისი პასუხი გასცა შინაურ და საგარეო რეაქციას. ანგოლის ხალხის გამარჯვება მძიმე დარტყმაა რასისტული ბასტიონების მიმართ აფრიკის სამხრეთში. ეს გამარჯვება დიდ გავლენას იქონიებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე მსოფლიოში და უპირველეს ყოვლისა მეზობელ ნამიბიაში. დღეს აფრიკის მიწაზე მხოლოდ ნამიბიასა და დასავლეთ სახარაშია დარჩენილი კოლონიზატორები, ამ ქვეყნების მხარეზეა მთელი დამოუკიდებელი აფრიკა, კოლონიური რეჟიმები კი სრულ პოლიტიკურ იზოლაციას განიცდიან.

გამოდირდა რა ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25-ე წლისთავის აღმნიშვნელ ზეიმზე, სკკპ გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა: „ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ახლოა ის დღე როდესაც მთელი აფრიკა დაწყებული კეთილი იმედის კონცხიდან, დასავლეთ სახარამდე იქნება თავისუფალი“. მართლაც, ნამიბიელი ხალხის გამორული ბრძოლა მიგვითითებს, რომ შორს არაა ის დღე, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭო განიხილავს ნამიბიის განცხადებას გაეროს წევრად მიღების შესახებ.

სახელმწიფო სამართლის კათედრა

ლიტერატურა

1. А. И. Галыбин — Намибия (Юго-западная Африка) в планах колонизаторов 1946—1970 гг. М., 1971 г.
2. Д. Р. Евдокимов—Международно-правовые аспекты деколонизации (на примере Намибии). М., 1971 г.; Чирианге Эрнест Гарикутуке — Борьба народов Намибии за независимость. К., 1973 г.
3. Официальные отчеты Генеральной Ассамблеи, пятая специальная сессия. Пленарные заседания ООН, Нью-Йорк, 1973 г.
4. Док. ООН А/6897.
5. Док. ООН А/7088 п. 10.
6. Док. ООН Е/СN 4/949/add. 1, пункты 53—568.
7. Racial Discrimination By Hernan Santa Crus, Special Rapporteur on Racial Discrimination, United Nations, New-York, 1971.



8. Док. ООН А/6897.
9. Док. ООН А/8473.
10. Док. ООН А/9624/add I.
11. Док. ООН А/АС 131/34.
12. Док. ООН А/9624/add 1.
13. Док. ООН А/АС 131/31.
14. Док. ООН S/11713.
15. К. Уралов — Ангола торжества правого дела, «Международная жизнь» № 4, 1976 г., стр. 57.

Г. МТВАРЕЛИДЗЕ

ПАВОВОЙ СТАТУС СОВЕТА ООН ПО НАМИБИИ

Резюме

Начиная с 1946 года вопрос о Намибии стоит на повестке дня каждой сессии Генеральной Ассамблеи ООН.

В 1966 году Генеральная Ассамблея прекратила действие мандата Южной Африки над Намибией и поставила эту страну под прямую ответственность ООН. Совет ООН по Намибии был учрежден Генеральной Ассамблеей в соответствии с ее резолюциями 2145 (XXI) от 27 октября 1966 года и 2248 (S—V) от 19 мая 1967 года.

С 1967 года Совет по Намибии оказывает давление на правительство Южной Африки, добиваясь его ухода из Намибии. Совет стремится обеспечить выполнение резолюции ООН по Намибии, предоставляет материальную и моральную помощь намибийцам и изучает политическое и экономическое положения в стране. Совет стремится быть представленным на всех международных форумах в целях содействия Намибии и предпринимает шаги, направленные на обеспечение выполнения Декрета об охране природных ресурсов Намибии.

9 декабря 1970 г. Генеральная Ассамблея учредила фонд для Намибии, а попечителем фонда назначен Совет ООН по Намибии. На основании этого Совет рекомендовал создать институт для Намибии с целью расширения своей помощи намибийцам.

19 июня 1973 г. Совет принял декларацию о Намибии. В декларации Совет призвал Совет Безопасности ООН выполнить свои обязательства по Уставу ООН, приняв эффективные меры для того, чтобы заставить Южную Африку немедленно уйти из Намибии. 6 июля 1975 г. Совет Безопасности рассмотрел проект резолюции пяти держав, призывающий к полному и обязательному эмбарго на поставку оружия Южной Африке. Во время голосования три постоянных члена Совета Безопасности: Франция, Великобритания и США проголосовали против. Так же поступили они и в октябре 1976 г. Такое поведение империалистических государств еще раз подтверждает, что Южная Африка не смогла бы проти-



востоять ООН и нарушать общепризнанные положения международного права, если бы ей не оказывали помощь и поддержку ее политические, экономические и военные партнеры.

СССР поддерживает право народа Намибии на самоопределение и независимость, на основе принципа территориальной целостности этой страны и невмешательства в ее внутренние дела.

Вопрос Намибии не только колониальная проблема — это прежде всего особая политическая и правовая проблема.

არბიტრაჟის იურიდიული გუნების შესახებ

ტარიელ ზამბახიძე

სკკ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შუქზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტურ კანონიერებას სახალხო მეურნეობაში, სამართალ-დარღვევათა აღმოფხვრას სოციალისტურ ორგანიზაციებში. ამ ფუნქციებს ნაწილობრივ ახორციელებენ არბიტრაჟის ორგანოები.


სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟებს ვალდებულება აკისრიათ გაატარონ ყველანაირი ღონისძიება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით სოციალისტურ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 17 იანვრის დადგენილებით „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანიზაციისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ [1] სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის როლი გაძლიერდა. მას დაევალა უფრო აქტიური ზემოქმედება, სოციალისტურ საწარმოებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე, სახელმწიფო დისციპლინის დაცვის, საგემო დავალებათა და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

ამჟამად არბიტრაჟის ორგანოები მმართველობის ორგანოებთან არიან შექმნილი და სახელმწიფოს აპარატის ნაწილს შეადგენენ.

საბჭოთა კავშირში სამეურნეო დავების დიდ უმრავლესობას წყვეტს არბიტრაჟი, რომელიც ორი ფორმით გვევლინება — სახელმწიფო არბიტრაჟი და საუწყებო არბიტრაჟი. სახელმწიფო არბიტრაჟი წყვეტს სამეურნეო დავებს წამოჭრილს სახელმწიფო კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის. ზოგიერთ სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალურ ორგანოებში შექმნილია საუწყებო არბიტრაჟები, რომლებიც განიხილავენ სამეურნეო დავებს ერთი სამინისტროს ან უწყებას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის.

სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ ამჟამად მოქმედი დებულების თანახმად შექმნილია სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა ერთიანი სისტემა. სახელმწიფო არბიტრაჟი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შექმნილი სახელმწიფო არბიტრაჟები ჰორიზონტალურად ექვემდებარებიან შესაბამის მინისტრთა საბჭოს, ხოლო ვერტიკალურად — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს.

არბიტრაჟის ორგანოს საქმიანობა ძირითადად ეყრდნობა არბიტრირების პრინციპის გამოყენებას, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: სამეურნეო დავის განხილვა ხდება უშუალოდ მხარეთა წარმომადგენლების მიერ არბიტრის მონაწილეობით და დახმარებით. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, ან მათი შე-



თანხმება კანონსაწინააღმდეგოა, მაშინ დავა გადაწყდება სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ ერთპიროვნულად.

არბიტრაჟს ევალება უზრუნველყოს საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ქონებრივი უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს. ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის რაციონალური სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის განვითარებას, ხელშეკრულების როლის გაძლიერებას მათს ურთიერთობაში და მათი თანამშრომლობის განვითარებას სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში;

უზრუნველყოს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა, არბიტრაჟის საქმიანობაში კანონმდებლობის ერთგვაროვანი და სწორად გამოყენება სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს;

სისტემატურად შეისწავლოს და განაზოგადოს საარბიტრაჟო პრაქტიკა და ამის საფუძველზე შეიმუშაოს წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სამეურნეო ურთიერთობის სრულყოფას, აგრეთვე ნაკლოვანებათა აღმოფხვრას საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში.

არბიტრაჟის იურიდიული ბუნების შესახებ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა. არბიტრაჟს განიხილავენ, როგორც სასამართლოს ერთ-ერთ სახესხვაობას ან „სამეურნეო“ სასამართლოს, როგორც სამედიატორო სასამართლოს, თავისებურ ორგანოს, რომელიც შეიცავს როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციული ორგანოების ნიშნებს; როგორც სპეციალურ ორგანოს, რომელსაც სახელმწიფო ორგანოებს შორის უკავია განსაკუთრებული ადგილი და რომლის გათანაბრება მმართველობის ორგანოებთან არ შეიძლება; როგორც სამეურნეო ხელმძღვანელობის განსაკუთრებულ ორგანოს; როგორც სახელმწიფო მმართველობის დამხმარე ორგანოს და როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოს.

არბიტრაჟის იურიდიული ბუნების გარკვევას აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ პრობლემის სწორი გადაწყვეტა მოვცემს შესაძლებლობას დავადგინოთ თანაფარდობა არბიტრაჟის საპროცესო ნორმებსა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს შორის, როგორია საარბიტრაჟო პროცესის ძირითადი პრინციპები და მისი შემდგომი განვითარების გზები [2], საარბიტრაჟო პროცესის შემდგომი განვითარება, გადაიჭრება არბიტრაჟის სტრუქტურის და დაქვემდებარების საკითხი, გაიარკვევა თუ რომელმა იურიდიულმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს მისი საქმიანობა და სხვ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ იურიდიულ ლიტერატურაში იყო გამოთქმული შეხედულება, რომელიც მოითხოვდა არბიტრაჟის ლიკვიდაციას და მისი ფუნქციების გადაცემას სასამართლო ორგანოებისათვის (3).

მეცნიერები, რომლებიც საარბიტრაჟს სამეურნეო სასამართლოდ მიიჩნევენ, ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სასამართლო და არბიტრაჟის ორგანოებს შორის არის საქმის გადაწყვეტის მეთოდი — არბიტრირების პრინციპი, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, დასძენენ ისინი, რომ არბიტრირების პრინციპმა პრაქტიკულად უკვე დაპყარვა თავისი მნიშვნელობა და სამეურნეო დავა ფაქტურად წყდება სახელმწიფოს მიერ დანიშნული პირის, არბიტრის მიერ [4].

პროფ. ნ. წერეთლის აზრით, თუ ფართო გაგებით მართლმსაჯულება მხა-



რეთა შორის დარღვეული უფლებების აღდგენას ახორციელებს, მაშინ, არბიტრაჟი ნამდვილად ახორციელებს მართლმსაჯულებას [5]. ჩვენ ეს დებულება სადაოდ მიგვაჩნია, იმიტომ, რომ მაშინ ძალაუვნებურად მართლმსაჯულების განმ- ხორციელებელ ორგანობად უნდა მივიჩნიოთ სამედიატორო სასამართლო, ზოგ შემთხვევაში კი პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზა- ციები, რადგან ისინიც ხომ დარღვეული უფლების აღდგენას ახორციელებენ?

არბიტრაჟის ორგანოები არ ახორციელებენ მართლმსაჯულებას. ჯერ ერთი სსრ კავშირის კონსტიტუციის 151 მუხლის თანახმად მართლმსაჯულებას სსრ კავშირში ახორციელებენ მხოლოდ სასამართლო ორგანოები. მართლმსაჯულე- ბის განხორციელება ფართო ცნებაა, ის მოიცავს სსრ კავშირის საზოგადოებრი- ვი და სახელმწიფო წყობილების მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და სოციალისტური საკუთრების დაცვას, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომის, სა- ბინაო და სხვა პირადი ქონებრივი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერე- სების, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებისა, საწარმოთა, კოლმეურნეობა- თა და სხვა კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის მიზნით სამოქალაქო საქმეების სწორ და სწრაფ განხილვასა და გადაწყვეტას. არბიტრაჟის ამოცანას კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულე- ბათა ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს. გარდა ამისა, არსებობს განსხვავება სასამართლოში და არბიტრაჟში საქმის განხილვის პროცესუალურ წესებს შორის.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი (რ. კალისტრატოვა, პ. ლოგინოვი, ვ. მოყეიკო, ა. დობროვოლსკი და სხვები) იზიარებს შეხედულებას, რომლის თანახმად სახ- არბიტრაჟი არის სპეციალური ორგანო, რომელსაც სახელმწიფო ორგანოებს შორის უკავია განსაკუთრებული ადგილი და რომლის გათანაბრება მმართველო- ბისა, თუ სასამართლო ორგანოებთან არ შეიძლება. მათი აზრით, არბიტრაჟს ახასიათებს როგორც მმართველობის ორგანოების ნიშნები, ასევე სასა- მართლო ორგანოებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ამასთან არ შეიძლება მათი მიკუთვნება მთლიანად არც მხოლოდ მმართველობის ორგანოებისათვის და არც მხოლოდ მართლმსაჯულების ორგანოებისათვის.

ვ. მოყეიკო სწორად მიიჩნევს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი აღჭურვილია უფლებით — თავისი ინიციატივით აღძრას საქმის წარმოება, თუ არსებობს საკ- მათ მონაცემები იმის შესახებ, რომ ორგანიზაციამ, დაწესებულებამ, ან საწარ- მომ დაარღვია სოციალისტური კანონიერება და დისციპლინა, ამით კი არბიტ- რაჟს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს იმ სამეურნეო ორგანოებზე, რომელმაც დაუშვა კანონიერების დარღვევა, აგრეთვე მათ კონტრაგენტებზე [6].

გარდა ამისა, არბიტრაჟი უშუალოდ მონაწილეობს სამეურნეო ურთიერთო- ბათა, პირველ რიგში სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების ორგანიზაციაში, რაც წარმოადგენს სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოთა უშუალო მოვა- ლეობას.

პ. ვ. ლოგინოვი ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სახელმწი- ფო არბიტრაჟის ორგანოებს აკისრიათ იურისდიქციული ფუნქცია. ის არ უარ- ყოფს, რომ ეს ორგანოები აღჭურვილია მმართველობის ორგანოებისათვის დამა- ხასიათებელი ნიშნებით, მათ სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ აკ- რიტეიკებს იმ მეცნიერებს, ვინც ამ კრიტერიუმს უდებს საფუძვლად არბიტრა- ჟის მმართველობის ორგანოებისათვის მიკუთვნებას [7].



ა. დობროვოლსკის აზრით, სახელმწიფო არბიტრაჟი ორადი ბუნებით ხასიათდება, თავისი ორგანიზაციული შემადგენლობით ის უნდა მიეკუთვნებოდეს ადმინისტრაციულ ორგანოთა სისტემას, ხოლო თავისი საქმიანი ხასიათით და შინაარსით ის მეტად უახლოვდება სასამართლო ორგანოებს [8].

რ. კალისტრატოვა სახარბიტრაჟს საბჭოთა სახელმწიფოს სპეციალურ ორგანოდ მიიჩნევს, რომელიც მოწოდებულია მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში აღადგინოს დარღვეული ინტერესები სამეურნეო დავათა გადაჭრის დროს, ასევე ხელი შეუწყოს სოციალისტური სისტემის ოპტიმალურ ფუნქციონირებას და მისთვის ადეკვატურ სამეურნეო ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას, კანონიერების დაცვის, სახელმწიფო დისციპლინის ეკონომიკური რეფორმის პრინციპის და საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების საქმიან თანამშრომლების საგემო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისას [9].


არბიტრაჟის ორადი ბუნების კონცეფცია სავსებით სამართლიანად იყო გაკრიტიკებული იურიდიულ ლიტერატურაში.

მეცნიერებს ტ. აბოვასა და ვ. თადევოსიანს მიაჩნდათ, რომ არბიტრაჟის იურიდიული ბუნების განსაზღვრისას ყოველგვარ სარგებლობას მოკლებულია ვიხელმძღვანელოთ სიტყვებით „განსაკუთრებული ორგანო სახელმწიფო აპარატის სისტემაში“, რასაც არც პრაქტიკისათვის და არც თეორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება [10].

სსრ კავშირის მეცნიერ იურისტებს შორის დღეისათვის გაბატონებულია შეხედულება, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სახელმწიფოს მმართველობის ორგანოს. არსებობს ისეთი შეხედულებაც, რომლის თანახმად არბიტრაჟი, შექმნილია რა მმართველობის ორგანოებთან, არსებობს როგორც მათი დამხმარე ორგანო, რომ ის არის სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანო.

როგორც ცნობილია, მმართველობის ორგანოების მუშაობა ე. წ. აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობაში გამოიხატება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ორგანოები პრაქტიკულად ახორციელებენ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კანონებისა და სხვა აქტების სახით არის მიღებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მიერ. აღმასრულებელი საქმიანობა ხშირად ამავე დროს განმკარგულებელი საქმიანობაა, რადგანაც გულისხმობს ამ ორგანოების მიერ ცალმხრივ აქტების გამოცემას, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიებებით. თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ დებულების გათვალისწინებულ ამოცანებს, მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, კომპეტენციას და სტრუქტურულ შემადგენლობას, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი მმართველობის ორგანოა.

საწარმო-სამეურნეო საქმიანობაზე არბიტრაჟის ზემოქმედების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს შეტყობინებები აღმოჩენილი ნაკლოვანებების შესახებ, თვით საწარმოს, დაწესებულებების ხელმძღვანელისათვის ან მის ზემდგომი ორგანოსათვის, აგრეთვე სახალხო კონტროლის ორგანოებისათვის შესაძლებლობის ფარგლებში — კონკრეტული ბრალეული — პირის დადგენა, მას კანონიერი გზით დაეკისროს თავისი არამართებული ქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. გარდა ამისა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის შესახებ დებულების მე-14 პუნქტის მიხედვით ბრალეული ორგანო



ნიზაციებისა და საწარმოებისაგან რესპუბლიკის ბიუჯეტში გადაირიცხოს გვეული თანხები, რაც მეტად ეფექტურ ნორმას წარმოადგენს.

სსრ კავშირში, როგორც უკვე აღინიშნა, გარდა სახელმწიფო არბიტრაჟებისა, მოქმედებენ საუწყებო არბიტრაჟები. მათი ამოცანები და დამახასიათებელი ფუნქციები მეტად მსგავსია.

საუწყებო არბიტრაჟების დიდი უმრავლესობა სახელმწიფო ორგანოებია, მათ მიმართ გამოყენებული ტერმინი „საუწყებო“ არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრაჟისაგან განსხვავებით ატარებს პირობით ხასიათს, რომელიც მეტყველებს არა მის იურიდიულ ბუნებაზე, არამედ მისი მოქმედების სფეროზე, განსაზღვრულს ერთი უწყების ფარგლებში [11].

საუწყებო არბიტრაჟი კი, ჩვენი აზრით, შესაბამისად უწყების ჩვეულებრივი სტრუქტურული ქვეგანაყოფია. სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟების არსი ერთი და იგივეა. ეს არის სახელმწიფოს მმართველობის ორგანო.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სამეურნეო ხელშეკრულება დღეისათვის არის საწარმოო გეგმის ფორმირების საშუალება, ხოლო თვით სამეურნეო ხელშეკრულების დადებისა და მის შესრულებაში სახარბიტრაჟის როლი არც თუ უმნიშვნელოა, მაშინ დაერწმუნდებით, რომ ის ნამდვილად მმართველობის ორგანოა. უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ ვინაიდან სამეურნეო ხელშეკრულება მართვისა და დაგეგმვის განუყოფელი ნაწილია, სამეურნეო ხელშეკრულების დადება და გაფორმება შეიცავს დაგეგმვის ელემენტებს, ხოლო მათი გაფორმება და ცხოვრებაში გატარება არბიტრაჟის საქმიანობაზე დამოკიდებული. უდავოა, რომ არბიტრაჟს აკისრია სახალხო მეურნეობაზე ხელმძღვანელობის ფუნქცია, უფრო მეტიც, სახელმწიფო არბიტრაჟი შეიძლება სამეურნეო ხელმძღვანელობის ცენტრალურ ორგანოდ ჩავთვალოთ.

იგი ახდენს რა აქტიურ ზეგავლენას საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების მიზნით და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებით სამეურნეო ურთიერთობებში უზრუნველყოფს სამეურნეო გეგმის შესრულებას და ქვეყნის შემდგომ განვითარებას.

ჩვენი აზრით, ამ პოზიციის სასარგებლოდ ლაპარაკობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 17 იანვრის დადგენილება „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანიზაციისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, აგრეთვე ყველა მომქმედი დებულება სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

ყველა მეცნიერმა თავისებური განმარტება მისცა სახელმწიფო არბიტრაჟს, მაგრამ პრინციპულად ერთნაირი, ცალკეული თავისებურების გათვალისწინებით. მაგ. კ. იუდილესინის აზრით არბიტრაჟი მოწოდებულია განამტკიცოს სოციალისტურ ორგანიზაციათა სამეურნეო ანგარიში. მათი საგეგმო-სახელმწიფოებო, საბიუჯეტო და საფინანსო დისციპლინა, აგრეთვე სოციალისტური კანონიერება, წინასახელმწიფოებო და ქონებრივი დავების განხილვისა და გადაწყვეტის დროს სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებების გატარების გზით [12].

პროფ. ა. კლეიმანის აზრით, ამგვარი შეხედულებების ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ აქ არ არის გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი მომენტი, როგორცაა ადმინისტრაციულ ორგანოთა დამხმარე ხასიათი და ა. შ.

პრინციპულად იგივე პოზიციას იზიარებს თ. აბოვა და ვ. თადეოსიანი. მათი აზრით, არბიტრაჟი არ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას და უშუალოდ საწარმოებსა და დაწესებულებებს არ უწყევს ხელმძღვანელობას, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ის არის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანო, რომლის



ამოცანები გაცილებით ფართოა, ვიდრე მხოლოდ სამეურნეო დავეხმარება [13].

სწორად უნდა მივიჩნიოთ შეხედულება, რომლის თანახმად, როგორც წინა სახელმწიფოებო, ასევე ქონებრივი დავეხმარება საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის შეიძლება იყოს გადაჭრილი შესაბამისი დაქვემდებარებით მინისტრთა საბჭოების, აღმასრულებელი კომიტეტების, ან მმართველობის სხვა ორგანოების მიერ და ეს მათ ფუნქციისავე შეადგენს.

ვ. ლაბტევს სახელმწიფო არბიტრაჟის იურიდიული ბუნება მიაჩნია სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელობის ორგანოდ [14]. ა. ბონერი მიიჩნევს სახელმწიფო არბიტრაჟს არა მმართველობის დამხმარე, არამედ დამოუკიდებელ ორგანოდ [15]. ის, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი ამჟამად მმართველობის ორგანოა, იზიარებს ს. ბრატუსი [16] და რ. ხალფინა [17].

თუ გავითვალისწინებთ არბიტრაჟის წინაშე მდგომ ამოცანებს, მათ ფუნქციებს, კომპეტენციას, უფლებამოსილებას და მისი სტრუქტურის თავისებურებებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად სახელმწიფო (საუწყებო) არბიტრაჟი, შექმნილია რა მმართველობის ორგანოებთან, წარმოადგენს მმართველობის ორგანოს. იგი აღჭურვილია ფუნქციით, არა მხოლოდ გადაჭრას სამეურნეო დავეხმარება, არამედ თვითონ მოახდინოს ზეგავლენა ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და საწარმოებზე სახალხო სამეურნეო გეგმის შესრულების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების მიზნით და გვევლინება, როგორც სამეურნეო ხელმძღვანელობის ცენტრალური ორგანო.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს სამეურნეო ხელმძღვანელობისა და დავეხმარება განუწყვეტელ სრულყოფას. იმ დროისათვის, როდესაც მმართველობის ცენტრალური ორგანოები ისეთ დონეზე გაუწყვევენ სამეურნეო ხელმძღვანელობას დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომ აღარ იქნება საჭირო ამ ფუნქციების არბიტრაჟის ორგანოებისათვის დაკისრება, არბიტრაჟის ორგანოები გადაწყვეტენ რა სამეურნეო დავეხმარება და განიხილავენ წინასახელმწიფოებო დავეხმარება, იმ მომენტისათვის განახორციელებენ მხოლოდ მართლმსაჯულებას, არბიტრირების პრინციპი საერთოდ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

ამასთან არბიტრაჟი გადაიქცევა მხოლოდ „სამეურნეო სასამართლოდ“. მომავალში ის უნდა გამოეყოს მმართველობის ორგანოებს, შეადგინოს ერთიანი დამოუკიდებელი სისტემა და გაერთიანდეს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში.

შესაბამისად უნდა მოხდეს საუწყებო არბიტრაჟების ლიკვიდაცია (საუწყებო არბიტრაჟები დარჩეს მხოლოდ ეკონომიურად ძლიერ და თავის სპეციფიკის მქონე უწყებებთან).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად მტკიცედ ახორციელებენ პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახულ ეკონომიკურ პოლიტიკას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის და პროდუქციის ხარისხის ზრდის საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების კურსს. ამ დიად საქმეში გარკვეულ როლს ასრულებენ სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟის ორგანოები, რომელთა მნიშვნელობაც, როგორც მმართველობის ორგანოთა საქმიანობა, დღითიდღე იზრდება და შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

1. Сборник Положений об органах государственного арбитража. «Юридическая литература», Москва, 1975 г.
2. Ж. «Советское государство», 1936 г., № 3, стр. 48.
3. Ж. «Советское государство», 1936 г., стр. 49.
4. Н. И. Церетели — Арбитраж и регулирование хозяйственных взаимоотношений. Ж. «Советское государство и право» 1970 г., № 10, стр. 102.
5. ბ. წერეთელი — „მიწოდების სამართლებრივი რეგულირება და არბიტაჟი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1970 წ. გვ. 176.
6. В. Н. Можейко — О правовой природе советского государственного арбитража. Ж. «Советское государство и право» 1947 г., № 6, стр. 18.
7. П. В. Логинов — Сущность государственного арбитража МГУ, 1968 г., стр. 75—79.
8. Арбитражный процесс в СССР, под ред. А. А. Добровольского. МГУ, 1973 г., стр. 86.
9. Р. Ф. Каллистратов — Государственный арбитраж, изд. «Юридическая литература», М., 1973 г., стр. 84—85.
10. Т. Е. Абова, В. С. Тадевосян — Разрешение хозяйственных споров, изд. «Юридическая литература», М., 1968 г., стр. 14.
11. В. Н. Можейко — О правовой природе советского государственного арбитража. Ж. «Советское государство и право» 1947 г., № 6, стр. 23.
12. К. С. Юдельсон — Советский гражданский процесс, изд. «Юридическая литература», М., 1956 г., стр. 4—13.
13. Т. Е. Абова, В. С. Тадевосян — Разрешение хозяйственных споров, стр. 10.
14. В. В. Лаптев — Научные проблемы хозяйственного права. Ж. «Советское государство и право», 1965 г., № 4, стр. 51—52.
15. Арбитраж в СССР, вып. 1, ВЮЗИ 1970 г., под ред. Гурвича М. А. и Фальковича М. С., стр. 23.
16. С. Братусь — Советское гражданское право и социалистическая законность. Ж. «Социалистическая законность» 1967 г., № 11, стр. 62.
17. Государство. Право. Экономика. Ответственный ред. В. М. Чхиквадзе, изд. «Юридическая литература», М., 1970 г., стр. 170.


Т. ЗАМБАХИДЗЕ

О ЮРИДИЧЕСКОЙ ПРИРОДЕ АРБИТРАЖА

Резюме

Автор в свете решений XXV съезда КПСС показывает, какую роль играют органы государственного арбитража в обеспечении правильного и единообразного применения законодательства при разрешении хозяйственных споров, усилении воздействия этих органов на предприятия, организации и учреждения в деле соблюдения государственной дисциплины, выполнения плановых заданий и договорных обязательств.

В статье изложены те точки зрения, которые существуют в советской юридической литературе о правовой природе государственного арбитража, анализируются Постановление Совета Министров СССР «О дальнейшем совершенствовании организации и деятельности органов государственного арбитража», положения о государственных арбитражах и делается вывод, что в настоящее время арбитраж является органом управления.



Исходя из задач, стоящих перед органами арбитража, принципов работы системы и их полномочий, автор дает определение арбитража. В настоящее время органы арбитража, созданные при органах управления, являются специальными центральными органами хозяйственного руководства, которые обладают функцией не только разрешать хозяйственные споры, но и сами призваны воздействовать на государственные кооперативные и иные общественные организации, предприятия и учреждения, с целью соблюдения государственной дисциплины, выполнения плановых заданий и договорных обязательств.

Автор придерживается мнения, что в дальнейшем органы арбитража отделятся от органов управления, войдут в систему Министерства юстиции и составят единую систему хозяйственного суда.

T. ZAMBACHIDZE

ON JURIDICAL NATURE OF ARBITRATION

S u m m a r y

The author gives a definition of state arbitration on the basis of the asks confronting the organs of state arbitration, the principles of the operation of the system and its competence. At present the organs of arbitration formed in the management organs are special central organs of economic management. They have the function not only of settling arguments but also can influence the state, cooperative and other public organizations and institutions with the purpose of observing state discipline and fulfilling the planned tasks and contractual engagements.

The author believes that in future the organs of arbitration will separate from the organs of management, enter the system of the Ministry of Justice and form a single system of economic court.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის შესახებ

ზოთა ფაფიაშვილი

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის საკითხი ერთ-ერთი მეტად რთული პრობლემატური საკითხია საბჭოთა სისხლის სამართალში. მის სწორად გადაწყვეტას აქვს საკმაოდ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. იურიდიულ ლიტერატურაში შექმნილი მრავალი საინტერესო ნაშრომის მიუხედავად [1], იურისტთა შორის იგი დღესაც გაცხოველებულ დავას იწვევს.


ასევე, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ სადაოდაა მიჩნეული საკითხი: თანამდებობის პირის ცნება ტოლფარდოვანია თუ არა თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ცნებისა, ანდა თანამდებობის პირის ცნება უნდა იყოს ერთიანი საბჭოთა სამართლის ყველა დარგისათვის თუ თითოეულ მათგანს, თავისი სპეციფიკისა და მიხედვით საჭიროა ჰქონდეს შემუშავებული თანამდებობის პირის განსაკუთრებული ცნება?

სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლითაც ერთი და იმავე თანამდებობის პირი მიჩნეული არაა კანონით გათვალისწინებულ ყველა თანამდებობრივი დანაშაულის შესაძლო სუბიექტად. მაგალითად, ა. ა. ყიყილენკოსა და ა. ტრაინინის აზრით ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან უფლებამოსილების გადამეტების სუბიექტი შეიძლება იყოს არა ყველა თანამდებობის პირი, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც მეტნაკლები მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი [2], ან რომლებიც ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ საწარმო-დაწესებულების საქმიანობას [3]. ლ. ბერეკაშვილის, ლ. მარიუპოლსკისა და მ. იაკუბოვიჩის აზრით კი ქრთამის აღების სუბიექტის ცნება სხვა სახის თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის პირთა წრეზე ფართოა [4].

აქედან გამომდინარე ლ. ბერეკაშვილი გვთავაზობს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მექრთამეობის ამსახველ მუხლებში თანამდებობის პირის ცნება შეიცვალოს ჯერ კიდევ ადრე, 1918 წელს ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ფორმულირებით, და ქრთამის აღების სუბიექტად ცნობილი იქნეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მყოფი ყველა მომსახურე პირი.

ასევე ა. ა. ყიყილენკოსა და ბ. ს. უტევესკის აზრით თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ცნება თანამდებობის პირის ცნებაზე უფრო ფართოა [5]. ნ. ფილანოვსკის აზრით კი პირიქით, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ცნება შედარებით ვიწროა თანამდებობის პირის ცნებაზე [6].

თვითეულ შემოადინიშნულ მოსაზრებას გააჩნია თავისი ნაკლი. თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის წრე არ შეიძლება იმაზე მეტად გავაფართოვოთ, რის შესაძლებლობასაც იძლევა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ-




ლი თანამდებობის პირის ცნება. რადგან მას შეიძლება შედეგად მუშაობის წინამდებობრივი დანაშაულისათვის არათანამდებობის პირის პასუხისმგებლობა ეკისრება და სხვ.

თანამდებობის პირის ცნების სწორი განსაზღვრა, იმავე დროს ნიშნავს თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ცნების პრობლემის გადაწყვეტასაც, რადგან ისინი ერთიმეორის ტოლფარდოვანი მნიშვნელობისაა. მაგალითად, თუ რომელიმე თანამდებობის პირს მივიჩნევთ ქრთამის აღების სუბიექტად, მაშინ ამით ვუშვებთ, რომ იგივე თანამდებობის პირი შეიძლება იყოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტიც, როგორიცაა: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (სსკ 186-ე მუხ.), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (სსკ 187-ე მუხ.), დაუდევრობა (სსკ 188-ე მუხ.) და სამსახურებრივი სიყალბე (სსკ 191-ე მუხ.). ე. ი. თუ რომელიმე თანამდებობის პირს მივიჩნევთ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ერთ-ერთი რომელიმე თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად, ამით შესაძლებლობას ვუშვებთ, რომ იგი სხვა შემთხვევაში შეიძლება იყოს თანამდებობრივ დანაშაულთა თავში მოთავსებულ სხვა დანაშაულის სუბიექტიც. ამიტომ, ვერ გავიზიარებთ ვ. ორლოვის მოსაზრებას, თითქოს ერთი და იმავე თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს ნებისმიერი თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი [7]. თუმცა ამ მოსაზრების ანარქიკლი ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაშიც შეიმჩნევა.

ასე მაგალითად, სახალხო სასამართლომ ა., რომელიც ქ. თბილისის ერთ-ერთ ავტობროფილაქტორიუმში მუშაობდა მანქანების მღებავად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცა სსკ 189-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქრთამის აღებისათვის). საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ა. ქრთამის აღების სუბიექტად არ მიიჩნია და მისი მოქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რაც, ჩვენის აზრით, არასწორია. თუ სასამართლო კოლეგიამ ა. არ მიიჩნია თანამდებობის პირად, მაშინ იგი არც შეიძლება ყოფილიყო სხვა თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი და პასუხისმგებლობაში არ უნდა მიეცათ სსკ 186-ე მუხლით.

თანამდებობის პირის ცნების საკითხის შესწავლა-დამუშავებას გარკვეული ყურადღება ექცევა საბჭოთა სამართლის სხვა დარგებშიც. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სამართლის ცალკეულ დარგებში იგი ჯერ კიდევ ერთნაირად არაა გაგებული და დღემდე ვერ იქნა შემუშავებული თანამდებობის პირის ცნებისათვის დამახასიათებელი ერთიანი ნიშნები და ფორმულირება. უფრო მეტიც, თვით სამართლის ერთი და იმავე დარგის სპეციალისტთა შრომებში ეს საკითხი სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის ზოგიერთი მკვლევარი ყოველმხრივ ცდილობს შეამციროს თანამდებობის პირთა წრე და ისინი თანამდებობის პირებად მიიჩნევენ სახელმწიფო ორგანოებისა და საწარმოო დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკებს [8], სახელმწიფო მოსამსახურეებს, რომლებიც აღკურვილნი არიან სახელმწიფო მბრძანებლური უფლებამოსილებით [9]. ზოგიერთი კი თანამდებობის პირებს მიაკუთვნებს ყველა ფუნქციონალურ მუშაკს: ექიმს, არქიტექტორს და სხვ. [10]. საკოლმეურნეო სამართლის ზოგიერთი სპეციალისტი კი თანამდებობის პირებს მიაკუთვნებს ყველა სახის დარაჯს [11].



საბჭოთა სამართალში თანამდებობის პირის ერთიანი ცნების არ არსებობა, — როგორც მართებულად შენიშნავს მ. ლისოვი, — გარკვეულ გაუგებრობას იწვევს თვით ამ საკითხის შესწავლის პროცესში [12]. ამასთან სრულიად დაუშვებელია, რომ ზოგიერთი კატეგორიის პირები სამართლის ერთ დარგში მიჩნეულნი იქნან თანამდებობის პირებად, მეორეში კი — არა [13].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო იურისტთა ერთი ნაწილი მართებულად მოითხოვს, რომ თანამდებობის პირის ცნება იყოს ერთიანი, სამართლის ყველა დარგისა და საბჭოთა სამართლის მთელი სისტემისათვის [14]. თუმცა ზოგიერთი იურისტი უფრო შორს მიდის და შეუძლებლად მიიჩნევს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების მოძებნას [15]. ჩვენის მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ სამართლის ყველა დარგისა და საერთოდ საბჭოთა სამართლის მთელი სისტემისათვის ერთიანი თანამდებობის პირის ცნებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების განსაზღვრა უფრო სტაბილურს გახდის თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ამსახველ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, სრულყოფს სასამართლო პრაქტიკას და ხელს შეუწყობს იურიდიულ ლიტერატურაში ამა თუ იმ პირის თანამდებობის პირად აღიარების ან თანამდებობის პირად მისი არცნობის შესახებ გამართული დავის სწორად გადაწყვეტას.


თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის საკითხის გადაწყვეტა, შეიძლება ითქვას, სადღეისოდ ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემატიური საკითხია. იურიდიულ ლიტერატურაში მის ირგვლივ გამართულ დავასა და აზრთა სხვაობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ თანამდებობის პირის ცნება ჯერ კიდევ ერთნაირად არაა ასახული თვით მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში.

როგორც ცნობილია, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსებით თანამდებობის პირებად ითვლებოდა სახელმწიფო აპარატში, საწარმოო-დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ამხანაგობასა და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მყოფი ყველა მოსამსახურე პირი. ე. ი. თანამდებობრივი დანაშაული გაიგივებული იყო სამსახურებრივ დანაშაულთან. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსებში თანამდებობრივ დანაშაულთა თავს ეწოდებოდა „თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშაული“ და მასში შეტანილი იყო არათანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი მუხლებიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში პარველად თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტებად აღიარებული იქნა ყველა მოსამსახურე, რომელთაც ეკავათ თანამდებობა სახელმწიფო საწარმოო-დაწესებულებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და გაერთიანებებში, როდენ მცირედიც არ უნდა ყოფილიყო მისი ფუნქცია. თვით ისიც კი, ვინც ასრულებდა ტექნიკურ სამუშაოს. მაგალითად, ქაღალდების გადამწერი, საწერ მანქანაზე მბეჭდავი, დამტარებელი, დარაჯი და სხვ. [16].

სისხლის სამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში შემდეგშიც გარკვეულ დავას იწვევდა ისეთ პირთა ცნობა თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტებად, როგორიცაა: მანქანის მძღოლები, მწყემსები, კოლმეურნეობის მეჭოფეები, კომბაინერები, ელექტრომონტიორები, ყასბები, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამომჭრელები, ადვოკატები, დამლაგებლები და სხვ. [17].

ზემოაღნიშნული პირები თავიანთი სამსახურებრივი უფლება-მოვალეო-




ბებით არ მიეკუთვნებიან თანამდებობის პირთა წრეს. თუ რომელიმე ტექნიკურ პერსონალს დროებით დაევალება თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი ფუნქციების განხორციელება და იგი ჩაიდენს თანამდებობრივ დანაშაულს, მაშინ იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა თანამდებობრივი დანაშაულისათვის არა როგორც ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელი, არამედ როგორც დროებით გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირი. მაგალითად, თუ ზეინკალს საზოგადოებრივ საწყისებზე დავალებული აქვს კონტროლის განხორციელება ამა თუ იმ სავაჭრო ობიექტზე და ამ მოვალეობის შესრულებისას აღიბებს ქრთამს, იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა ქრთამის აღებისათვის არა როგორც ზეინკალი, არამედ როგორც სახალხო კონტროლიორი, როგორც თანამდებობის პირი.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსებით თანამდებობრივი დანაშაული ერთ მთლიან სისტემაშია მოყვანილი და იგი შედარებით დახვეწილი სახითაა წარმოდგენილი. საქართველოს სსრ სსკ მეშვიდე თავში, რომელსაც ეწოდება „თანამდებობრივი დანაშაული“, შეტანილია მარტოოდენ თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი მუხლები. კერძოდ: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (სსკ 186-ე მუხ.); ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (სსკ 187-ე მუხ.); დაუდევრობა (სსკ 118-ე მუხ.); სამსახურებრივი სიყალბე (სსკ 191-ე მუხ.) და ქრთამის აღება (სსკ 189-ე მუხ.). აქვე, ამავე თავში ცალკე მუხლებითაა გათვალისწინებული ქრთამის მიცემა (სსკ 190-ე მუხ.) და მექრთამეობაში შუამავლობა (სსკ 189-ე მუხ.), მაგრამ არა როგორც თანამდებობრივი დანაშაული, არამედ როგორც ქრთამის აღების შემადგენელი ნაწილი. რადგან მექრთამეობის დასრულებული სახით განხორციელება შეუძლებელია ქრთამის მიცემის გარეშე, ვფიქრობთ, ზოგჯერ მას თან სდევს აგრეთვე მექრთამეობაში შუამავლობის აქტის შესრულებაც. სწორედ ამიტომ კანონმდებელმა თანამდებობრივ დანაშაულთა თავში მოათავსა ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობაც, მიუხედავად იმისა, რომ მისი სუბიექტი შეიძლება იყოს არათანამდებობის პირიც.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები გარკვეულ ადგილს უთმობენ თანამდებობის პირის განმარტებას. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ თანამდებობის პირის ცნება დღემდე ერთნაირად არაა ასახული მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ეს გარემოება კი ჯერ ერთი, ხელს უწყობს თეორიულ ლიტერატურაში გამეფებულ აზრთა სხვაობას თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის შესახებ და, მეორეც, არასტაბილურს ხდის სასამართლო პრაქტიკას.

ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით ადრე მოქმედი სსკ მსგავსად, მეტად ფართოდაა გაგებული თანამდებობის პირის ცნება. ასე, მაგალითად, ყაზახეთის სსრ სსკ 143-ე მუხლის თანახმად თანამდებობის პირებად ითვლებიან ისეთი პირები, რომლებსაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუდმივად ან დროებით უკავიათ სამსახურებრივი თანამდებობა ან ასრულებენ ორგანიზაციულ-განმარტებულ ან სამეურნეო ადმინისტრაციულ მოვალეობებს (ხაზგასმა ჩემია. შ. ფ.).

ამ მუხლის თანახმად, თანამდებობის პირად უნდა მივიჩნიოთ ყველა მოსამსახურე, ვისაც კი სამსახურებრივი თანამდებობა უკავია ან ასრულებს ადმინის-



ტრაციულ სამეურნეო მოვალებებს. კანონის ასეთი რედაქცია არასწორია, რადგან იგი ერთობ აფართოვებს თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის წრეს.

საბჭოთა სამართლის ყველა დარგისათვის თანამდებობის პირის ერთიანი ცნების შემოღებამდე საჭიროა მოხდეს მისი მკვეთრი განსაზღვრა თვით სისხლის სამართალში. თანამდებობის პირის ცნება უნდა იყოს ერთიანი ყველა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის.

რსფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისაგან მცირეოდენი განსხვავებით საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლის თანახმად „თანამდებობის პირებად ითვლებიან ის პირები, რომლებიც მუდმივად ან დროებით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, დანიშვნით ან არჩევით და აგრეთვე ცალკეული დავალებების ძალით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში ასრულებენ მოვალებებს, დაკავშირებულს სახელმწიფო ხელისუფლების აქტების, ან განმკარგულებელი, ორგანიზაციულ-სამეურნეო ადმინისტრაციული ან სხვა ამგვარი ფუნქციების განხორციელებასთან“.

ამ განმარტებაში კანონმდებელმა მოგვცა თანამდებობის პირის ზოგადი ცნება და თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს თანამდებობრივი დანაშაულის თავში გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული დანაშაულისათვის, იგი უნდა აკმაყოფილებდეს სსკ 185-ე მუხლის მოთხოვნებს. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ პრაქტიკაში მის სწორად გატარებას ხელს უშლის საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, და 191-ე მუხლების არასწორი ფორმულირება.

აღნიშნული მუხლები, როგორც ცნობილია, ეხება „ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას“ (სსკ 186-ე მუხ.); „ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას“ (სსკ 187-ე მუხ.); „სამსახურებრივ სიყალბეს“ (სსკ 191-ე მუხ.).

კანონის ასეთი ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ თანამდებობის პირი გაიგებებულა მოსამსახურე პირთან, რაც აშკარად არასწორია და იგი მოითხოვს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს არა მარტო თანამდებობის პირი, არამედ ყველა მოსამსახურე, ვისაც კი სამსახურებრივი თანამდებობა უკავია. მაგალითად, სამსახურებრივი სიყალბე შეუძლია ჩაიდინოს არა მარტო გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილ თანამდებობის პირს, არამედ რიგით მოსამსახურესაც; თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა შეუძლია ბოროტად გამოიყენოს არა მარტო თანამდებობის პირს, არამედ სხვა რიგით მოსამსახურესაც. კანონის ტექსტის ასეთი რედაქცია არასწორია და იგი მოითხოვს დაზუსტებას. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: განა ყველა მოსამსახურე თანამდებობის პირია? ცხადია არა. კანონის ასეთმა რედაქციამ ხელი შეუწყო თეორიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში, ჩვენი აზრით, იმ არასწორი შეხედულების გავრცელებას, რომლითაც თითქოს ერთი და იმავე თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს თანამდებობრივ დანაშაულთა თავში გათვალისწინებული სხვა რომელიმე დანაშაულთა სუბიექტი.



ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია ყველაზე ადრე აღნიშნულ მუხლებში მოხდეს ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ ამოღებული იქნას სიტყვა „სამსახურებრივი“ და მის შესაბამისად ამ მუხლების დისპოზიციაში შეტანილი იქნას ცვლილება. ამასთან, საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლს ეწოდოს „თანამდებობის ბოროტად გამოყენება“; სსკ 187-ე მუხლს — „თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება“; სსკ 191-ე მუხლს — „თანამდებობრივი სიყალბე“.

საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში მოცემულ თანამდებობის პირის განმარტებაში შეტანილი არაა რსფსრ სსკ 170-ე მუხლის შენიშვნაში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული „ხელისუფლების წარმომადგენლის ცნება“. ამიტომ, იმას, თუ ხელისუფლების წარმომადგენლის ცნების ქვეშ კონკრეტულად ვინ უნდა იქნას გაგებული, ცალკე არ განვიხილავთ, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ თანამდებობის პირის განსაზღვრებაში „ხელისუფლების წარმომადგენლის“ ცნების შეტანა საერთოდ ზედმეტია, რადგან იგი კიდევ უფრო უკარგავს მას ცნებისათვის დამახასიათებელ ლაკონიურობას.

ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში მომუშავე პირთა თანამდებობის პირებად ცნობისათვის საჭიროა მათი საქმიანობა დაკავშირებული იყოს სახელმწიფო ხელისუფლების აქტების ან განმკარგულებელ, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ ან სხვა ამგვარი ფუნქციების განხორციელებასთან. ამავე დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ისინი თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ მუდმივად თუ დროებით, სასყიდლით თუ უსასყიდლოდ, არჩევით თუ ცალკეული დავალებების ძალით. აქედან გამომდინარე ეჭვს არ იწვევს ისეთ თანამდებობის პირთა ცნობა თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად, როგორცაა: საწარმოო დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით უხდებათ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადმინისტრაციულ განმკარგულებელი ფუნქციების განხორციელება. მაგრამ გარკვეულ წინააღმდეგობას ვხვდებით თანამდებობის პირებად სხვა ისეთ პირთა აღიარებისას, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული მსგავსი ფუნქციების განხორციელებასთან.

იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო მართვაში სადღეისოდ ფართოდ არის ჩაბმული საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლები საზოგადოებრივ საწყისებზე (მაგალითად, სახალხო რაზმელები, ამხანაგური სასამართლოები, საზოგადოებრივი ინსპექტორები და კონტროლიორები, მსაჯულები და სხვ.) ზოგიერთი ავტორი გეთავაზობს სისხლის სამართლის კოდექსში თანამდებობის პირის ცნებაში შეტანილი იქნეს აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები [18]. ეს მოთხოვნა შეიძლება სამართლიანი იყოს რსფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისათვის, რომლებიც თანამდებობის პირის ცნებაში არ მიუთითებენ ისეთ პირებზე, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ასრულებენ „სასყიდლით ან უსასყიდლოდ“. საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლისათვის კი ეს დამახასიათებელია და კანონმდებელს სწორედ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პირები ჰყავს მხედველობაში, როცა მიუთითებს ისეთ თანამდებობის პირებზე, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ასრულებენ სპეციალური უფლებამოსილებით ან დავალებით „უსასყიდ-

ლოდ,“ საზოგადოებრივ საწყისებზე. ამიტომ ამა თუ იმ პირის თანამდებობის პირად აღიარებისათვის მნიშვნელობა არა აქვს მას თანამდებობა უკავია საშტატო ერთეულით თუ მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს საზოგადოებრივ საწყისებზე. მაგ., თუ სასამართლოს მსაჯული დაინტერესებული პირისგან აიღებს ქრთამს და შეპირდება სამართალში მიცემულისათვის სასჯელის შემსუბუქებას, იგი პასუხისგებაში მიეცემა ქრთამის აღებისათვის, როგორც თანამდებობის პირი, თუნდაც რომ იგი საშტატო ერთეულით მუშაობდეს ქარხანაში ზეინკლად. ასე მაგ., საქ. სსრ უმაღლეს სასამართლომ არაერთჯერ ქრთამის აღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ქ. ქუთაისის ერთ-ერთი სამშენებლო ტრესტის პროფკავშირის თავმჯდომარე, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა საზოგადოებრივ საწყისებზე და არა შტატით. ასევე, კოსტრომის საოლქო სასამართლოს მიერ ვინოგრადოვა, რომელიც მუშაობდა საზოგადოებრივ საწყისებზე ფაბრიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების თავმჯდომარედ, ცნობილი იქნა დამნაშავედ რსფსრ სსკ 173 მუხლის მეორე ნაწილით (საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხ. II ნაწ.). რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში [19].

სასამართლო პრაქტიკაში ასევე თანამდებობის პირებადაა მიჩნეული ვაზეთის კორესპონდენტები. მაგ., მოსკოვის კუიბიშევის რაიონის სახალხო სასამართლომ ქრთამის აღებისათვის რსფსრ სსკ 173-ე მუხლით (საქ. სსკ 189 მუხ.) პასუხისგებაში მისცა ერთ-ერთი ვაზეთის კორესპონდენტი, რომელმაც რედაქციაში შემოსული ჩ-ს საძრახისი საქციელის მამხილებელი ფელეტონის გამოუქვეყნებლობისათვის ქრთამის სახით აიღო 500 მანეთი. სახალხო სასამართლოს მიერ ი-სათვის წარდგენილი კვალიფიკაცია უმაღლესმა სასამართლომ სწორად ჩათვალა [20]. ასევე, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ ქრთამის აღების სუბიექტად ცნობილი იქნა ერთ-ერთი ვაზეთის კორესპონდენტები, რომლებმაც საეპქო დარგის მუშაკებს გამოსძალეს 3000 მანეთი.


თანამდებობის დაკავება ან თანამდებობრივი მოვალეობის შესრულების დავალება, როგორც მართებულადაა მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში, საჭიროა ოფიციალურად იყოს გაფორმებული (ბრძანებით ან განკარგულებით). იმ შემთხვევაში, თუ პირი ფაქტიურად დანიშნულია თანამდებობაზე, მაგრამ კანონის გვერდის ავლით გაფორმებულია ტექნიკურ მუშაკად, ასეთი გაფორმება, როგორც ფაქტიური, ხელს ვერ შეუშლის მის თანამდებობის პირად ცნობას, თუკი მასზე დაკისრებული ფუნქციები ატარებენ ორგანიზაციულ-განმკარგულებელ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხასიათს [21].

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვაობა პედაგოგების, ექიმების, ადვოკატების, ექსპერტების და სხვა პირთა თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად აღიარების შესახებ. ასე მაგალითად, ვ. ი. სალავიოვი თანამდებობის პირად მიიჩნევს პედაგოგებს, მათ შორის დაწყებითი სკოლის მასწავლებლებსაც, რადგან, მისი აზრით, სასწავლო პედაგოგიური მუშაობისთვისაცაა დამახასიათებელი ზოგიერთი განმკარგულებელი ფუნქციები. მასწავლებელი ბავშვს აწვდის არა მარტო ცოდნას, არამედ მათი აღმზრდელიცაა და ხელმძღვანელიც [22]. ამ მოსაზრების საპირისპირო აზრს ანვითარებს ა. სვეტლოვი, რომლის აზრით უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლები არავითარი ორგანიზაციული ფუნქციებით არ არიან აღჭურვილნი. მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტებისაგან გამოცდების მიღება და მათი



ცოდნის შეფასება არის მათი პროფესიონალური ფუნქციების განხორციელება და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო ხასიათის ფუნქციად. აქედან გამომდინარე, იგი თანამდებობის პირად მიიჩნევა მხოლოდ სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს, რექტორებს, ფაკულტეტის დეკანებს, მიმღები კომისიის თავმჯდომარეებსა და წევრებს [23]. ასეთივე აზრია გატარებული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებშიც [24]. ასევე, ბ. ვ. ზღრავეომისლოვი თანამდებობის პირებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთ პედაგოგებს, რომლებიც ასრულებენ თანამდებობრივ ფუნქციას, კერძოდ სასწავლო ნაწილისა და კათედრის გამგეებს, სახელმწიფო ან საკვალიფიკაციო კომისიის წევრებს და სხვ. [25].

აღნიშნული შეხედულება, ჩვენის აზრით, მოითხოვს დაზუსტებას. მართალია, საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს არა აქვთ ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებლო ხასიათის ფუნქცია და მათ მიერ მოსწავლის, აბიტურიენტის ან სტუდენტის ცოდნის შეფასება და საგამოცდო ნიშნის დაწერა არის მათი სამსახურებრივი და პროფესიონალური მოვალეობა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პროფესიონალურ მოვალეობას არ სცილდება მიმღები კომისიის წევრის მიერ აბიტურიენტის ცოდნის შეფასება და მისთვის შესაფერისი ნიშნის დაწერაც, ამით არც იგი ასრულებს რაიმე ხასიათის ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებლო ხასიათის ფუნქციას. ასეთ ფუნქციას ასრულებს მხოლოდ რექტორი და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი. აბიტურიენტის ცოდნის შეფასებაში დაწერილი „ობიექტური“ თუ „არაობიექტური“ ნიშანი ხელს უწყობს მხოლოდ შედეგის განხორციელებას—რექტორის ბრძანებას შესაბამის ფაკულტეტზე აბიტურიენტის ჩარიცხვის შესახებ. თუ ჩვენ მიმღები საგამოცდო კომისიის წევრს ამ კრიტერიუმით მივუდგებით, მაშინ დავინახავთ, რომ იგი ამ მხრივ არაფრით არ განსხვავდება სხვა საშუალო ან უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლისაგან. განა საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლის მიერ მოსწავლისა და სტუდენტის ცოდნის შეფასების—საგამოცდო ნიშნის გარეშე შეიძლება მოსწავლის კლასიდან კლასში ან სტუდენტის კურსიდან კურსზე გადაყვანა? ცხადია, არა. მათი კლასიდან კლასში ან კურსიდან კურსზე გადაყვანის ან თეორიული კურსის დამთავრების და სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების განკარგულებას საფუძვლად უდევს სწორედ მათი საგამოცდო ნიშნები. უფრო მეტიც, ამ საგამოცდო ნიშნების გარეშე შეუძლებელია ასეთი განკარგულების გაკეთება. ამიტომ არ შეიძლება მათი დიფერენციაცია. თუ მიმღები საგამოცდო კომისიის წევრს (რაც თეორიასა და პრაქტიკაში თითქმის დავას არ იწვევს) ვალიარებთ ქრთამის აღების და, მაშასადამე, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად, მაშინ ასეთად უნდა ჩაითვალოს საშუალო სკოლის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პედაგოგებიც, თუ მიმღები საგამოცდო კომისიის წევრი, რექტორი ან საშუალო სკოლის მასწავლებელი საგამოცდო ნიშნის ან ჩათვლის დაწერაში აიღებს ქრთამს ან ჩაიდენს სიყალბეს მან პასუხი უნდა აგოს,—როგორც თანამდებობის პირმა, თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით. აქედან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია სასამართლო პრაქტიკა, როცა ასეთ პირებს თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტებად აღიარებს. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის ჰასუხისგებაში იქნა მიცემული პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი რექტორი საგამოცდო ნიშნის დაწერაში სტუდენტისაგან ქრთამად 100 მანეთის გამოძალვისათვის.




ამრიგად, საშუალო სკოლის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლების პედაგოგების პროფესიონალური საქმიანობა, ისევე როგორც მშენებლები და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრისა წმინდა აღმზრდელობით ფუნქციასთან ერთად, უშუალოდ დაკავშირებულია ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ხასიათის ფუნქციის განხორციელებასთან და მათ მიერ მოსწავლის, აბიტურიენტის ან სტუდენტის ცოდნის შეფასებაში ქრთამის აღება—გამოძალვის შემთხვევაში პასუხი უნდა აგონ როგორც თანამდებობის პირებმა ქრთამის აღების მუხლით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ბ. ზდრაგომის-ლოვის აზრს, რომ პედაგოგები საკონტროლო დავალებათა გასწორების, ჩათვლებისა და გამოცდების დროს არაერთარ ორგანიზაციულ ფუნქციებს არ ასრულებენო [26].

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გარკვეულ დავას იწვევს მოლარის, მზარეულის, მეზუფეტის, გამყიდველის, მძღოლის თანამდებობის პირებად აღიარების საკითხი. ასე მაგალითად, როგორც სვეტლოვი გადმოგვცემს, უკრაინის სასამართლო პრაქტიკაში თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის მსჯავრდადებულთა 20% შეადგენს ვაჭრობის დარგის რიგითი მუშაკები: გამყიდველები, მეზუფეტეები და სხვ. [27]. ასევე, ბ. ვოლჟენსკინის აზრით ქრთამის აღების სუბიექტი შეიძლება იყოს ვაჭრობის რიგითი გამყიდველი [28]. ასეთი შეხედულება და სასამართლო პრაქტიკა არასწორია. მაღაზიის რიგითი გამყიდველი, მოლარე, მძღოლი, მეზუფეტე და მზარეული აღჭურვილნი არ არიან თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი უფლება-მოვალეობებით და მათი სამსახურებრივი საქმიანობა დაკავშირებული არაა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხასიათის ფუნქციების შესრულებასთან. ხოლო რაც შეეხება ისეთ პირებს, რომლებსაც სავაჭრო დაწესებულებაში უკავიათ ხელმძღვანელი თანამდებობა, როგორცაა: მაღაზიის დირექტორი, გამგე, მისი მოადგილე, სექციონერი და სხვ. ისინი თანამდებობის პირებად ითვლებიან, რადგან მათ ევალებათ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხასიათის ფუნქციების განხორციელებაც.

ზოგიერთი ავტორი თანამდებობის პირად მიიჩნევს აგრეთვე მოლარეს, მანქანის მძღოლს, რომელსაც დავალებული აქვს ექსპედიტორის ფუნქციები, უფრო მეტიც, ყველა მუშაკს, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით ევალებათ მატერიალურ ფასეულობათა განკარგვა, შენახვა, აღრიცხვა და მათზე კონტროლი [29].

მართალია, მძღოლი ექსპედიტორი, დარაჯი და მოლარე ასრულებენ ზოგიერთი სამეურნეო ხასიათის მოვალეობას (მაგალითად, სალაროდან ფულის გაცემა, სათანადო საბუთის არსებობისას დარაჯის მიერ საწყობიდან მატერიალური ღირებულების მქონე ნივთების გაშვება და სხვ.), მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ისინი თანამდებობის პირებად ვაღიაროთ. მაგალითად, მოლარე ფულად ოპერაციებს ატარებს როგორც რიგითი მუშაკი, რომელსაც ბუღალტრის მითითების გარეშე უფლება არა აქვს შეასრულოს რაიმე ფულადი ოპერაცია. ე. ი. მის მიერ შესრულებული სამეურნეო ხასიათის ფუნქცია ატარებს წმინდა ტექნიკურ ხასიათს და იგი გვევლინება როგორც ამ ოპერაციის უბრალო ტექნიკური შემსრულებელი. ასევე უნდა ითქვას მატერიალურ ფასეულობათა საწყობის მცველი დარაჯის მიმართ. ვფიქრობთ, კანონმდებელს სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან გამოიტანა და სოციალისტური ქონების დატაცების თავში მოათავსა მითვისება და გაფლანგვა იმ პირის მიერ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ან მის გამგებლობაში იმყოფებოდა სოციალისტური საკუთრება ან ასეთი ქონე-



ბის გატაცება თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ 94-ე მუხ.).

იურიდიულ ლიტერატურაში გარკვეულ აზრთა სხვაობას იწვევს, აგრეთვე, მედიცინის მუშაკთა თანამდებობის პირად ცნობის საკითხი და იგი ჯერ კიდევ ერთნაირად არაა გადაწყვეტილი სასამართლო პრაქტიკაში.

ექიმი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებაში დაკავებული თანამდებობის მიხედვით (მთავარი ექიმი, მისი მოადგილე, განყოფილების გამგე და სხვ.) ასრულებს ორგანიზაციულ-საგანმკარგულებო ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხასიათის მოვალეობას, თანამდებობის პირია და ქრთამის აღების ან სხვა თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პასუხს აგებს თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით. ხოლო რიგითი ექიმი, რომელიც თავის წმინდა პროფესიონალურ მოვალეობას ბოროტად იყენებს, არ შეიძლება იყოს თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი. მაგალითად, საავადმყოფოს რიგითი ექიმი-ქირურგი ოპერაციის კარგად დამთავრების შემდეგ თუ თავისი პაციენტი-საგან მადლობის ნიშნად, საჩუქრის ან „გასამრჯელოს“ სახით მიიღებს მატერიალურ გამორჩენას, იგი სხვა არა არის რა, თუ არა მორალურად დასავაგობი და გასაკიცხი ქმედობა. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ ექიმი (სავადმყოფოს ან პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, მისი მოადგილე ან განყოფილების გამგე) თავის სამსახურებრივ და პროფესიონალურ უფლება-მოვალეობას იყენებს ბოროტად, მატერიალური გამორჩენის მიზნით პირს მოათავსებს სამკურნალო დაწესებულებაში ან ვასცემს სამუშაოდან განთავისუფლების ან სხვა რაიმე სახის საჭირო სამედიცინო ცნობას, პასუხი უნდა აგოს ქრთამის აღებისათვის (სსკ 189-ე მუხლით) როგორც თანამდებობის პირმა.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის საკითხის განხილვისას ბუნებრივად იზადება კითხვა: ადვოკატი ან ექსპერტი არის თუ არა თანამდებობის პირი და შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ისინი თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად?

ადვოკატი თავისი პროფესიონალური მოვალეობით ანხორციელებს მარტოდენ წმინდა საჯარო-სამართლებრივი ახსნა-განმარტებითი ხასიათის ფუნქციას, რომელიც სასამართლოში გვევლინება როგორც ერთერთი მხარის ინტერესების დამცველი, რომლის დაცვით სიტყვას არა აქვს საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობა. იგი აღჭურვილი არაა აღმასრულებელ-განმკარგულებელი, ორგანიზაციულ-სამეურნეო ან სხვა რაიმე სახის ადმინისტრაციული უფლებამოსილებით. ამიტომ, რიგითი ადვოკატი არ შეიძლება მივიჩნიოთ თანამდებობის პირად და, მაშასადამე, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად.

ექსპერტის თანამდებობის პირად აღიარების საკითხი იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ სადაოდაა მიჩნეული. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის კანონმდებლობა და თეორეტიკოს-კრიმინალისტთა უმრავლესობა ამ საკითხს უარყოფითად წყვეტენ. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 197-ე მუხლით ექსპერტი გაიგივებულია მოწმესთან, დაზარალებულთან და თარჯიმანთან. ამ მუხლის თანახმად, თუ ექსპერტი წინასწარი შეცნობით (ანგარებით) მისცემს ცრუ დასკვნას, მან პასუხი უნდა აგოს მოწმის, დაზარალებულისა და თარჯიმანის თანაზომიერად, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია და იგი დაზუსტებას მოითხოვს.

ექსპერტის, როგორც თანამდებობრივი დანაშაულის, კერძოდ კი ქრთამის აღების სუბიექტად აღიარების საკითხის დაყენება საბჭოთა იურიდიულ ლიტე-



რატურაში ეკუთვნის პროფ. ნ. ღურმანოვს, რომელმაც ქრთამის აღების საკითხი ექტად მოწმე, სასამართლოს თარჯიმანი და თანამოწმეც აღიარა. მაგრამ იგი დაკმაყოფილდა საკითხის დაყენებით და არ მოგვცა მისი დასაბუთება [30].

ასევე, ზოგიერთი ავტორის აზრით, ექსპერტი, რომელსაც საექსპერტო დაწესებულებაში უკავია ექსპერტის ან უფროსი ექსპერტის სამტატო ერთეული, თანამდებობის პირია [31]. ამიტომ, თუ მატერიალური გამორჩენის მიზნით ექსპერტი ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის მისცემს არასწორ დასკვნას, ან ობიექტური დასკვნის მიცემისათვის დაინტერესებული პირისაგან აიღებს ქრთამს, ამით იგი ბოროტად იყენებს თავის პროფესიონალურ და სამსახურებრივ მდგომარეობას, იღენს მექრთამეობას, ხელყოფს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ავტორიტეტს და მან პასუხი უნდა აგოს ქრთამის აღების შესახებამისი მუხლით, როგორც თანამდებობის პირმა [32].

ექსპერტის თანამდებობის პირად აღიარების საკითხთან დაკავშირებით საჭიროა იგი განვიხილოთ პროცესუალური თვალსაზრისით, რადგან იგი არის პროცესუალური ფიგურა, რომელსაც კანონი ავალდებულებს მოცემულ საკითხზე მისცეს სწორი, ობიექტური დასკვნა. მას შემდეგ, რაც ექსპერტი მიიღებს გამოსაკვლევად გადმოგზავნილ მასალას, იგი დამოუკიდებლად წყვეტს საკითხს. მისი დასკვნა საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერით კი არ იგზავნება, არამედ ექსპერტის, როგორც დამოუკიდებელი პროცესუალური უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი თანამდებობის პირის ხელმოწერით.

ზემოაღნიშნული მოსაზრება უნდა გავრცელდეს არა მარტო საექსპერტო დაწესებულებაში მომუშავე ექსპერტზე, არამედ ისეთ პირზეც, რომელსაც, მართალია, საექსპერტო დაწესებულებაში არ უკავია ექსპერტის ან უფროსი ექსპერტის თანამდებობა და ექსპერტიზის ჩატარება მისი სამსახურებრივი მოვალეობა არაა, მაგრამ სასამართლოს, პროკურორის, გამოძიებლის ან მომკვლევე პირის მიერ გამოტანილი დადგენილებით—დაევალა ექსპერტიზის ჩატარება ან ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობის მიღება (კომპლექსური ან კომისიონალური ექსპერტიზის დროს). ვფიქრობთ, ეს მოსაზრება არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლში მოცემულ თანამდებობის პირის ცნებას, რადგან ამ მუხლის თანახმად თანამდებობის პირად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი ასეთ მოვალეობას ასრულებს მუდმივად, დროებით თუ ცალკეული დავალებების ძალით.

ამრიგად, ექსპერტი არის გარკვეული პროცესუალური უფლებამოვალეობებით აღჭურვილი თანამდებობის პირი და მან თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს თანამდებობრივი დანაშაულის შესახებამისი მუხლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესწორდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის რედაქცია იმ მიმართებით, რომ იქიდან ამოღებული იქნეს სიტყვა „ექსპერტი“.


სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრა

ლიტერატურა

1. А. А. Жижиленко, Должностные (служебные) преступления. М., 1927; А. Я. Эстрин, Должностные преступления. М., 1928; Б. С. Утевский, Общее уче-



- ние о должностных преступлениях. М., 1948; В. Ф. Кириченко, Ответственность за должностные преступления по советскому уголовному праву. М., 1956; А. Я. Светлов, Борьба с должностными злоупотреблениями. Киев, 1970; М. Д. Лысов, Ответственность должностных лиц по советскому уголовному праву. Казань, 1972; Б. В. Здравомыслов, Должностные преступления. М., 1975 и др.
2. А. Трайнин, Должностные и хозяйственные преступления. М., 1938, стр. 17—18.
 3. ა. ა. ტიტიშვილი, დასახ. ნაშრომები, გვ. 52.
 4. Л. Берекашвили, О субъекте взяточничества. «Вопросы государства и права», Свердловск, 1963, стр. 88—89; Л. Мариупольский, М. Якубович. Квалификация взяточничества. «Социалистическая законность» 1963, стр. 39, № 5.
 5. ა. ა. ტიტიშვილი, დასახ. ნაშრომები, გვ. 52; ბ. უტევესკი, დასახ. ნაშრომები, გვ. 378.
 6. Н. Г. Филановский, Борьба с преступлениями по должности по советскому уголовному праву. Автореферат канд. дис. Л., 1953, стр. 9.
 7. В. С. Орлов, Субъект преступления. М., 1958, стр. 60.
 8. Советское административное право, учебник, М., 1962, стр. 142.
 9. Советское административное право, учебник, М., 1973, стр. 145.
 10. В. А. Власов, С. С. Суденикин, Советское административное право. М., 1959, стр. 110—111; Административное право, М., 1967, стр. 141.
 11. Г. П. Левченко, Внутриколхозный общественный контроль. «Правоведение», 1963, стр. 88, № 1.
 12. მ. დ. ლისოვი, დასახ. ნაშრომები, გვ. 17.
 13. Т. А. Святецкая, О понятии должностного лица в колхозе. «Правоведение», 1967, № 3, стр. 126.
 14. Ц. Я. Ямпольская, О должностном лице в советском государственном аппарате. Сборник «Вопросы советского государственного права, М., 1949, стр. 134; В. Ф. Кириченко, О субъекте должностных преступлений. «Советское государство и право». 1956, № 2, стр. 89; Н. П. Кучерявый, Ответственность за взяточничество, М., 1957, стр. 105; А. Б. Сахаров, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву. М., 1956, стр. 79—81; ვ. ფ. კირიჩენკო, დასახ. ნაშრომები, გვ. 5, 23; ვ. ს. ორლოვი, დასახ. ნაშრომები, გვ. 142—145 და სხვ.
 15. В. М. Манохин, Советская государственная служба. М., 1966, стр. 124 და სხვ.
 16. А. А. Жижиленко, Должностные (служебные) преступления. М., 1927, стр. 5—6; М. Ривкин, Рабочий, служащий и должностное лицо. «Рабочий суд», Л., 1925, № 17—18, стр. 765; К. Вяткин, К понятию должностного лица. «Рабочий суд», 1925, № 23—24, стр. 987; А. Пионтковский, Советское уголовное право. М., 1928, стр. 207; ბ. ს. უტევესკი, დასახ. ნაშრომები, გვ. 384—394; ბ. ზდრავომისლოვი, დასახ. ნაშრომები, გვ. 29 და სხვ.
 17. А. Б. Сахаров, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву. М., 1956, стр. 91.
 18. ა. სვეტლოვი, დასახ. ნაშრომები, გვ. 24.
 19. Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1968, № 1, стр. 10.
 20. «Социалистическая законность», 1963, № 5, стр. 39.
 21. Комментарий к уголовному кодексу РСФСР, М., 1971, стр. 369.
 22. В. И. Соловьев, Борьба с должностными злоупотреблениями, обманом государства и приписками. М., стр. 45—46.
 23. ა. სვეტლოვი, დასახ. ნაშრომები, გვ. 32.
 24. რედაქციის კომენტარები, გვ. 368—369.
 25. ბ. ვ. ზდრავომისლოვი, დასახ. ნაშრომები, გვ. 36.
 26. იქვე, გვ. 36.



27. სვეტიცხოვე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.
28. Б. Волженкин, Вопросы ответственности за взяточничество. «Советская юстиция». 1967, № 7, стр. 10.
29. ვ. ი. სოლოვიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 43—44, 48; რსფსრ სსკ დასახ. კომენტარები. გვ. 369, 372.
30. Н. Д. Дурманов, Уголовная ответственность за взяточничество по действующему законодательству. «Проблемы социалистического права», 1937, стр. 24, 26.
31. А. И. Винберг, Криминалистическая экспертиза в советском уголовном процессе. М., 1956, стр. 7; Комментарий УК РСФСР, М., 1963, стр. 396.
32. შ. ფაფიაშვილი, მექრთამეობის გამოძიება, თბილისი, 1972.

Ш. ПАПИАШВИЛИ

О СУБЪЕКТЕ ДОЛЖНОСТНЫХ ПРЕСТУПЛЕНИЙ

Резюме

Вопрос о субъекте должностных преступлений является одним из важнейших проблематических вопросов в советском уголовном праве.

УК союзных республик не одинаково определяют понятие должностного лица. Некоторые из них чрезмерно расширяют круг субъекта должностных преступлений. В связи с этим автор высказывает мнение, что до введения единого понятия должностного лица для всех отраслей советского права, необходимо четко определить понятие должностного лица в самом уголовном праве.

В ст. 186 УК Грузинской ССР дано общее понятие должностного лица и общие признаки субъекта должностных преступлений. Это означает, что для привлечения лица к уголовной ответственности за преступление предусмотренное в главе о должностных преступлениях, субъект должен удовлетворять требованиям вышеуказанной статьи. Исходя из этого, лицо, признающееся субъектом одного из конкретных видов преступлений, предусмотренного в главе должностных преступлений, может быть субъектом других должностных преступлений.

Автор считает неправильной формулировки ст. ст. 186, 187 и 191 УК Грузинской ССР (и соответствующих статей других союзных республик), согласно которым лицо может быть привлечено к уголовной ответственности за «злоупотребление властью или служебным положением» (ст. 186), за «превышение власти или служебных полномочий» (ст. 187), и за «служебный подлог» (ст. 191). Из такого текста закона выходит, что понятие должностного лица отождествлено со служебной должностью и что субъектом этих должностных преступлений является не только должностное лицо, но и все служащие. Такая трактовка закона, по мнению автора, неправильна и требует уточнения. Так как понятие служащие шире понятия должностного лица.

Автор предлагает изъять из вышеуказанных статей слово «служащие» и в соответствии с этим внести изменения толкования закона. В частности, статью 186 УК Груз. ССР назвать «Злоупотребление должностью»; ст. 187 УК Груз. ССР—«Превышение полномочий должностным лицом»; ст. 191 УК Груз. ССР — «Должностной подлог».

SH. PAPIASHVILI

ON THE SUBJECT OF MALFEASANCES



S u m m a r y

The question concerning the subject of the malfeasances is one of the most significant problematic questions in the Soviet criminal law.

The Criminal Codes of the Union republics give different conceptions of the official. Some of them enlarge the circle of the subject of the malfeasances. In connection with this the author expresses his opinion that before introducing a single conception of the official for all the spheres of the Soviet law it is necessary to determine precisely the conception of the official in the criminal law itself.

ალექსი მიხეილის ძის საეროზო ძეგლისდების ქართული თარგმანის წიგნიერთი საკითხი

ნაწილი კორძია-სამადაშვილი

ალექსი მიხეილის ძის საეროზო ძეგლისდება რუსული ფეოდალური სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, ნათარგმნია ქართულ ენაზე: „განჩინება ანუ კანონმდებლობა რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის“-ა [1]

„განჩინების“ ქართულმა თარგმანმა, ბუნებრივია, მკვლევართა ყურადღება აღრევე მიიპყრო. ნ. თავდგირიძე, ა. გრძელიშვილი, ა. ხახანაშვილი და ბოლოს პ. როფ. ტ. რუხაძე თავის შრომებში ყურადღებას აქცევენ სამართლის ისტორიის ამ მნიშვნელოვან ფაქტს. მათ ნაშრომებში გამოთქმულია ვარაუდი თარგმანის დათარიღების და მთარგმნელის ვინაობის შესახებ.


ძეგლის ქართული თარგმანის ხელნაწერის აღწერილობა მოცემული აქვთ რ. ორბელსა და ქ. შარაშიძეს [2].

ამჯერად ჩვენ მიზნად დავისახეთ თვით თარგმნილი ტექსტის შესწავლა, დადგენა იმისა, თუ რამდენად მისდევს მთარგმნელი დედანს, ხომ არ ახდენს იგი მის რედაქტირებას და თუ ახდენს, რა ხასიათისას; რუსული სამართლის რომელი ინსტიტუტების მსგავს ინსტიტუტებს პოულობს იგი ქართულ ნიადაგზე; რა შესატყვისებს ხმარობს მათი თარგმანის დროს; კონკრეტულად როგორ თარგმნის ამა თუ იმ ტერმინს, რამდენად სწორად ესმის ტექსტი და სხვ.

თარგმანის ტექსტის გულმოდგინედ შესწავლამ ხელი უნდა შეუწყოს გვიანფეოდალური ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას, შუქი უნდა მოჰფინოს რუსულ-ქართულ ურთიერთობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორცაა სამართლის დარგი.

უცხოური სამართლის ძეგლების თარგმნას საქართველოში, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი ტრადიცია აქვს: ჯერ კიდევ სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა ექვთიმე მთაწმინდელმა (955—1028 წწ) შეასრულა მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობის ორი ძეგლის თარგმანი: „წესი და განგება და ჰყულის კანონის მეექვსისა კრებისა“ და „კანონი შეცოდებულთანი ნეტარის მამისა ჩვენისა იოვანეს მიერ კ-სტანტინებოლელ მთავარ ეპისკოპოსისა, რ-სა, მმარხველი ეწოდებოდა“. განსაკუთრებით ნაყოფიერია ამ მხრივ ვახტანგ VI მეფობის ხანა. მის დროს არის ნათარგმნი ისეთი რთული და დიდი მოცულობის ძეგლები, როგორცაა სამართალი მოსესი, სამართალი ბერძნული და სამართალი სომხური.

უცხოური სამართლის წიგნების ქართული თარგმანები სხვადასხვა ხასიათისა იყო. ასე მაგალითად: ექვთიმე მთაწმინდელი ტექსტს თავისუფლად ეკიდებოდა, სადაც საჭიროდ მიიჩნევდა, ტექსტში შეჰქონდა სხვადასხვა ხასიათის



ცვლილებები. VI მსოფლიო კრების დადგენილებას მან თავისი, ისეთი სრულიად ორიგინალური კომენტარები დაურთო, რომ დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ. მისი შრომის თეორიულ ხასიათზე და მის დამოუკიდებელ მოძღვრებაზე ბრალის ფორმებისა და საერთოდ დანაშაულის შესახებ. ვახტანგ VI სამართლის წიგნში შესული „სამართალი ბერძნული“, თავისუფალ ხასიათს ატარებს, თარგმანის პროცესში მთარგმნელი არ არის შეზღუდული: როცა სჭირდება, უმატებს, ავრცელებს; ხოლო როცა საჭიროდ თვლის, ამოკლებს და, რაც მთავარია, უფრო ხშირად თარგმნის არა სიტყვა-სიტყვით, არამედ წაიკითხავს მუხლს, გაიაზრებს და მერე წერს. ასევე თავისებურია სამართლის სომხურისა და ებრაულის ქართული თარგმანები.


შესრულებული თარგმანები სხვადასხვა მიზანსაც ემსახურებოდნენ. საეკლესიო სამართლის ძეგლები, რომელთა თარგმანი ექვთიმე მთაწმიდელმა შეასრულა, მთელ საქრისტიანო სამყაროში მოქმედ სამართლის ძეგლებად ითვლებოდა. ამ ძეგლების თარგმანს სხვადასხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში ვხვდავთ. ამიტომ საქართველოშიც მათ უადრესი მნიშვნელობა ენიჭებოდათ და მათი თარგმანი სავალდებულოც იყო. სამართალი მოსესი, ბერძნული და სომხური სრულიად სხვა მიზნით იყო ნათარგმნი და საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინეს მათ ქართული სამართლის ინსტიტუტების განვითარებაზე, რამდენად ღრმად ეს გავლენა, კონკრეტულად რაში გამოიხატება იგი, გამოიყენებოდა თუ არა ვახტანგის კრებულის ეს ნაწილები სასამართლო-პრაქტიკაში და ა. შ., დღესაც დავას იწვევს მეცნიერთა შორის და შემდგომ შესწავლას საჭიროებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ სახელოვან მეფეს არც ძალა და არც ენერჯია არ დაუზოგავს უცხოური სამართლის მის დროს ავტორიტეტული ძეგლების თარგმანისათვის და აუცილებლად მიუჩნევია მათი სამართლის კრებულში შეტანა საკუთარ სამართლის წიგნთან ერთად.

კიდევ უფრო საჭიროდ უნდა მიეჩნიათ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მესვეურებს რუსული სამართლის ძეგლების შესწავლა და თარგმნა, მათი გაცნობა ქართული საზოგადოების ფართო წრეებისათვის. ამის განხორციელების საჭიროებას კარნახობდა ერთი მხრივ რუსეთის სახელმწიფოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა, მისი ავტორიტეტის ზრდა, რუსეთის სამართლის ძეგლებისადმი გავრდილი ყურადღება დასავლეთ ევროპის მეცნიერების მიერ. მეორე მხრივ კი, საქართველოს ხანგრძლივი ურთიერთობა რუსეთთან, რომლის განმტკიცებას საქართველოს მესვეური ყოველთვის ესწრაფებოდნენ. ამის შედეგია რუსული სამართლის ინსტიტუტების დანერგვა ქართულ ნიადაგზე. რუსული სამართლის ძეგლებისადმი ინტერესი, რომელიც ესოდენ ნათლად მათ თარგმანში ვლინდება, არ არის ერთეული, შემთხვევითი მოვლენა. საქართველოში ქართულ ენაზე თარგმნილია არა მხოლოდ ალექსი მიხეილის ძის საერობო ძეგლისდებ, არამედ ეკატერინე II „ნაკაზი ანუ მცნება“ და სხვა ძეგლები.

ერთი, მცირემოცულობის სტატიის ფარგლებში შეუძლებელია განხილული იქნას ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდებამი ასახული და რეგლამენტირებული სამართლის თითქმის ყველა დარგის ცნებებისა და ინსტიტუტების აღმნიშვნელი ტერმინების ქართული თარგმანი.

ამიტომ ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილების ზოგიერთ ინსტიტუტების ქართულ თარგმანზე.

ალექსი მიხეილის ძის საერობო ძეგლისდების ქართული ტექსტის ანალიზი მოწმობს, რომ იმდროინდელ საქართველოში კარგად იცოდნენ რუსული საზო-



გადობრივი და სახელმწიფო წყობილების, სამართლის დარგების სხვადასხვა ცნებები. სამართლის ამ სფეროში თარგმანი ტექნიკური თვალსაზრისით მაოდ მაღალ დონეს ამჟღავნებს.

ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდებამი უხვად გვხვდება იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილების ამსახველი მუხლები, დადგენილებები, რომლებიც **ნათელყოფენ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენის უფლებრივ მდგომარეობას.**

XVII საუკუნის რუსეთის მოსახლეობა დაყოფილი იყო მრავალ კატეგორიად — „ჩინებად“. ამ ტერმინის შესატყვისად მთარგმნელმა „წესი“ მიიჩნია, ხოლო „ჩინის“ მქონე პირს „მოწესეს“ უწოდებს. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ჩამოთვლის დროს უაღრესად ხშირად გვხვდება გამოთქმა: „**всѣх чинов люди**“ — „ყოველ მოწესე კაცნი“ — ქართულ თარგმანში; „**иных чинов дворовых его людей**“ (პატრიარქისა — თ. XIX. მუხ. 1) — „სხვანი მოწესენი მისის სასახლის კაცები“; „**и тем людям быть по прежнему в своих чинах**“ (მეთოფეთ — თ. XIX, მუხ. 4) — „ის კაცები პირვანდებულეზ დააყენებენ თავის წესზედ“.

ფეოდალთა კლასის აღმნიშვნელი ტერმინი იყო „**придворный чин**“.

„დუმის“ — სათათბიროს „ჩინები“ ფეოდალთა კლასის ყველაზე მაღალ ფენებად ითვლებოდა. მათ შორის დიდგვაროვნებს ეს წოდება მემკვიდრეობით მიენიჭებოდა ხოლმე, ხოლო სხვები — დამსახურებითა და ხანგრძლივი სამსახურით იღებდნენ მას. ამ მაღალ წოდებას მიეკუთვნებოდნენ: 1) „დუმნიე ბოიარი“; 2) „ოკოლნიჩები“, 3) „დუმნი დვორიანინი“, 4) „დუმნი დიაკ“.

დანარჩენი სასახლის ჩინები იყვნენ „სტოლნიკები“, „ჩაშნიკები“, „სპალნიკები“, „სტრიაპჩები“ და სხვანი.


ფეოდალთა კლასის დანარჩენ ჯგუფს შეადგენდნენ „სლუჯილე ლუდი“, მათ მიეკუთვნებოდნენ „დვორიანები“, „დეტი ბორიარსკიე“, „სტრელცი“, „პუშკარი“, და ა. შ. თავის მხრივ „მოსკოვსკიე დვორიანე“ იყოფოდნენ სხვადასხვა ქვეჯგუფებად და სხვა.

ამგვარ მოვლენას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონდა და, ბუნებრივია, არც მისი შესაბამისი ქართული ტერმინი არსებობდა. ამიტომ, სრულიად გამართლებულად, მთარგმნელმა ეს ტერმინები უცვლელად შეიტანა თარგმანის ტექსტში: ასე მაგალითად: „ოკოლნიჩი“ (იხ. თავი XVI. მუხ. მუხ. 1, 39, 43, 46, 49; თავი XXV. მუხ. 7). „დუმნის დიაკი“ (იხ. თავი XVI, მუხ. 1, თავი XVIII, მუხ. მუხ. 16, 56). „სტრაფჩი“ (იხ. თავი XVII. მუხ. მუხ. 2, 19, 29, 26, 42, 45; თავი XXV. მუხ. № 7. თავი XVI, მუხ. მუხ. 1, 39, 43, 62, 63, 65) და სხვა.

ზოგიერთი ტერმინი თარგმნილია და მის შესატყვისად გამოჩნულია ქართული ტერმინი. მაგალითად:

„ბოიარინ“ — „დარბაისელი“ (იხ. თავი VII. მუხ. 1, 10, 11, 12, 13), აქედან „დეტი ბორიარსკიე“ — „დარბაისელთა შვილები“ (იხ. თავი VII, მუხ. 18; თავი IX, მუხ. მუხ. 1, 2, 47; თავი X. მუხ. მუხ. 30, 83, 91, 93, 95 და სხვა მრავალი თავები და მუხლები). „დვორიანე“ — „აზნაური“ (იხ. თავი IX, მუხ. მუხ. 1, 2, 4, 7; თავი X. მუხ. მუხ. 30, 83, 93, 124 და სხვ. მუხლები და თავები). „დეტი დვორიანსკიე“ — „აზნაურთა შვილები“ და სხვ.

თავისებურ სურათს გვაძლევს მე-17 საუკუნის რუსეთის ქალაქის საზოგადოებრივი წყობილება. ამ დროს მკვეთრად განასხვავებენ „გოროდს“, როგორც სიმაგრეს და „პოსადს“, როგორც სავაჭრო-სამარეწველო დასახლებას.



„პოსადები“ ყველა „გოროდს“ არ ჰქონდა, ისინი უმთავრესად ცენტრალურ და ნაწილობრივ ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებში იყვნენ მოთავსებული. „პოსადის“ მოსახლეობა — „პოსადსკიე ლუდი“ გარკვეულ სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ: ისინი ცხოვრობდნენ სახელმწიფო მიწაზე და მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ვაჭრობასა და მრეწველობასთან, იხდიდნენ გადასახადებს სახელმწიფო სასარგებლოდ.

მოსახლეობის ამ თავისებურ კატეგორიას ქართულ თარგმანში ეწოდება „ვაჭარი კაცი“ (იხ. თავი XIX. მუხ. მუხ. 1, 22.) ეს ტერმინი ამ სოციალური ფენის ხასიათს საკმაოდ ზუსტად აღმოგვცემს.

ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენას შეადგენდნენ ე. წ. „გოსტები“, „ლუდი გოსტინოი სოტნი“ და „ლუდი სუკონოი სოტნი“.

„გოსტი“ ქართულად ნათარგმნია, როგორც „დიდი ვაჭარი“ (იხ. თავი I. მუხ. მუხ. 30, 89, 91, 94, 124, 158; თავი XIII, მუხ. 1) და ა. შ.


წინა პერიოდში „გოსტად“ იწოდებოდა საერთოდ ვაჭარი პროფესიონალი, ანლა კი მხოლოდ მსხვილი, განსაკუთრებულად პრივილეგიური ვაჭრები. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1649 წლისათვის რუსეთში ასეთი სულ 13 კაცი ირიცხებოდა. ეს „დიდი ვაჭრები“ მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები იყვნენ, ეწეოდნენ სახაზინო შინაგან და საგარეო ვაჭრობას მონოპოლიზირებული საქონლით, კრფდნენ მეფისათვის იასაკს და სხვ. ამასთან ერთად ისინი დამოუკიდებელ ვაჭრობასაც აწარმოებდნენ და მჭიდროდ უკავშირდებოდნენ მრეწველობას.

„გოსტინაია სტონას“ შესატყვისად ქართულ თარგმანში იხმარება „მართალი ვაჭარი“ (იხ. თავი X. მუხ. მუხ. 8, 9, 37, 38; თავი XVII, მუხ. 45). „სუკონაია სოტნა“ თარგმნილია, როგორც „წვრილი ვაჭარი“ (იხ. თავი X, მუხ. მუხ. 31, 92, 94, 124, 159).

ეს სავაჭრო-სამრეწველო ზედა ფენა განსხვავდება ერთმანეთისაგან კაპიტალის სიდიდით და პრივილეგიების მოცულობით, რაც ძალიან კარგად ესმის მთარგმნელს. ეს ნათლად ჩანს მის მიერ მოძებნილი, რუსული ტერმინების ქართულ შესატყვისებში.

ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდების მიღების დროს გლეხთა კატეგორიები ნაირფეროვანია. ზოგიერთი მათგანი ძეგლშიც არის ასახული. ასეთია, მაგალითად: „ბობილი“, რომლის ქართულ შესატყვისად იხმარება „ბოგანო“ (იხ. თავი XIII, მუხ. I; თავი XI, მუხ. მუხ. 124, 162; თავი XI. მუხ. 1-6, 8-12, 15, 17, 18, 20-24, 39, 32). ეს გლეხთა საკმაო მრავალრიცხოვანი ფენაა. XVII საუკუნეში ბოგანოთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება. მათ მცირე მიწის ნაკვეთები, ან მხოლოდ საკარმიდამო მიწები ჰქონდათ. ხშირად სრულიად უმიწაწყლონი იყვნენ. მათ ნება ჰქონდათ მხოლოდ მსუბუქი ღალა გადაეხადათ. ზოგიერთი მათგანი ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდა. დროთა ვითარებაში რუსული ბოგანო გლეხის მდგომარეობა უარესდება: იზღუდება მათი ფეოდალისაგან თავისუფალი წასვლის უფლება და ა. შ.

„კაბალნიე ლუდი“, რომლებიც რუსეთის გლეხობის საკმაოდ მრავალრიცხოვან ნაწილს წარმოადგენდნენ, თარგმნილია როგორც „სიმაგრის მსახურები“ (იხ. თავი X. მუხ. მუხ. 1, 12) და „სიმაგრის წიგნით აყვანილი კაცები“ (იხ. თავი XIV. მუხ. მუხ. 1, 2, 5, 37, 38). „კაბალა“ ებრაულიდან ნასესხები სიტყვაა და იხმარებოდა სესხის ხელწერილის, „სესხის წიგნის“ აღსანიშნავად. ეს „სიმაგრის მსახურები“ თავდაპირველად თავისუფალი ადამიანები იყვნენ.



ნენ, რომლებიც იღებდნენ რა სესხს, კისრულობდნენ ვალდებულებას მთლიანი ვალის ან მხოლოდ მისი პროცენტის ხარჯში გარკვეული ვადით ემსახურათ კრედიტორის სასარგებლოდ. XVI საუკუნის ბოლოს ისინი თავის უფლებრივი მდგომარეობით ხოლოპებს დაუახლოვდნენ. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „სიმაგრის წიგნით აყვანილი კაცები“ — პატრონის სიკვდილის შემდეგ — მისი მემკვიდრეობის საკუთრებაში არ გადადიოდნენ, არ შეიძლებოდა მათი გაყიდვა, დაგირავება და ა. შ.

ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდება საქმაოდ დიდ ყურადღებას აქცევს ე. წ. „ზაკლადჩიკებს“. თავისთავად „ზაკლადჩიკობა“ ეს იყო კრედიტორის კარზე, მიწაზე მუშაობა აღებული სესხის გადახდის მიზნით. XVII საუკუნეში მომრავლდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც გაურბოდნენ სახელმწიფო ბეგარას, ძველ ბატონებს და ეკედლებოდნენ ძლიერსა და გავლენიან საერო თუ სასულიერო ფეოდალებს და მათ „ზაკლადჩიკებად“ ირიცხებოდნენ. ალექსი მიხეილის ძის მთავრობა ებრძოდა ამ მოვლენას და მოითხოვდა ამ პირების ძველ ადგილებზე დაბრუნებას და მათზე დაკისრებული ბეგარის გადახდას. „Живут в закладчиках“ — ქართულად ნათარგმნია, როგორც „ესახლონ ვირაოდ“ (იხ. თ. XIX, მუხ. 3), „ზაკლადჩიკებს“ კი „გგრაოს“ უწოდებს (იხ. თ. XIX, მუხ. 13).


ექსპლოატირებული მოსახლეობის კატეგორიების რიცხვში „ხოლოპიც“ შედის. „ხოლოპებს“ არ გააჩნიათ კანონით დაცული საკუთრება, ისინი არ მსახურობდნენ და არ იხდიდნენ ბეგარას სახელმწიფოს სასარგებლოდ. ისინი შეადგენდნენ ცალკე ფეოდალთა საკუთრებას და სხვადასხვა ჯგუფებად იყოფოდნენ: პროფ. ვ. ო. კლიუჩევსკის სიტყვები რომ გამოვიყენოთ: „უფლება სრულ ხოლოპზე მემკვიდრეობითია, მონობა სრული ხოლოპის შთამომავლობითია“. დროთა ვითარებაში არათავისუფალი შრომა ხმარებიდან გამოდის და XVII საუკუნის „ხოლოპი“-ს უფლებრივი მდგომარეობა ყმაგლეხის მდგომარეობას უახლოვდება, რაც ნათლად ჩანს ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდებაში, და აისახა ამ ტერმინის ქართულ თარგმანში: „ხოლოპის“ ქართულ შესატყვისად ძეგლის ტექსტში იხმარება „ყმა“ (იხ. თავი X, მუხ. მუხ. 92, 174; თავი XI. მუხ. 13, 16 და სხვ. თ. XX. მუხ. მუხ. 5, 7 და ა. შ.).

სახელმწიფო წყობილების ცალკეულ ინსტიტუტების აღმნიშვნელი ტერმინების ქართული თარგმანი გვიჩვენებს, რომ იმდროინდელ საქართველოში კარგად ესმოდათ ამ ინსტიტუტების შინაარსი. საილუსტრაციოდ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიდან ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდებაში ხშირად იხსენიება „პრიკაზები“ და მათი ნაირსახეობანი: „პრიკაზ ბოლოვო დვორა“, „პეჩატნი პრიკაზ“ და სხვ.

პრიკაზები წარმოიშვა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში ადრე არსებული სახალხო-ვოტჩინური მმართველობის სისტემის ნაცვლად. 1497 წლის სამართლის წიგნი ახსენებს „პრიკაზებს“ ცენტრალური მმართველობის ორგანოებს, რომლებიც განაგებდნენ მმართველობის ცალკეულ დარგებს. სრული განვითარება პრიკაზების სისტემამ მე-17 საუკუნეში ჰპოვა. პრიკაზების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი და თავისებურება ის იყო, რომ ეს ორგანოები ერთდროულად ადმინისტრაციულსა და სასამართლო ფუნქციებს ასრულებდნენ. პრიკაზების სათავეში მდგომ პირებს ხშირად „სულდას“ უწოდებდნენ.

ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდების მთარგმნელს კარგად ესმის პრიკაზე-



ბის ეს ბუნება და რუსეთის სახელმწიფო სამართლის ამ სპეციფიკურ ტენდენსთა რგმნის, როგორც „სამსჯავროს“ (იხ. თავი X, მუხ. მუხ. 2, 4; 11, 13; 20-25, 106, 108, 114 და სხვ. მრავალი, თავი XII, მუხ. მუხ. 1, 3, თავი XIII. მუხ. 2 და სხვ.). ამიტომ შესაბამისად ქართულ ტექსტში მითითებულია: „დიდი სასახლის სამსჯავრო“ (იხ. თავი XII, მუხ. I, თავი XVIII, მუხ. 28, 54). „საელჩო სამსჯავრო“ (იხ. თავი VIII, მუხ. 1, თავი XVIII, მუხ. 55). „სიმბირის სამსჯავრო“ — (იხ. თავი XVIII, მუხ. 68). „ზემსკი სამსჯავრო“ — (იხ. თავი XVI. მუხ 67) „საბეჭდავის სამსჯავრო“ — (იხ. თავი XVIII. მუხ. მუხ. 3, 15, 18, 24, 30, 47, 54 და სხვ.). „მამულის სამსჯავრო“ — (იხ. თავი XI, მუხ. მუხ. 1, 2, 6, 20, 24; თავი XVI, მუხ. მუხ. 2, 6, 12 და სხვ.). „მეთოფეთა სამსჯავრო“ (იხ. თავი XXIII, მუხ. მუხ. 1, 2; თავი XXV, მუხ. 10). „ახალი სამსჯავრო“ — „ნოვაია ჩეტვერტ“ — ის ახლად ჩამოყალიბებული პრიკაზი, რომელსაც ევალებოდა მაგარი სასმელების დამზადებისა და გაყიდვის სახელმწიფო მონოპოლიის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა: „მსახურთ სამსჯავრო“ — „პრიკაზ ხოლოპი“ (იხ. თ. XII. მუხ. მუხ. 2, 7, 8 და სხვ.). „პრიკაზი“ განაგებდა გლეხთა სხვადასხვა კატეგორიების საქმეებსა და სხვ.

XVII საუკუნის რუსეთში ხდება გარკვეული ცვლილებები ადგილობრივი მმართველობის დარგში. ალექსი მიხეილის ძის მეფობაში ადგილებზე საყოველთაოდ შემოღებული იყო „ვოევოდები“. თავდაპირველად, XVI საუკუნეში, „ვოევოდები“ ინიშნებოდნენ მხოლოდ განაპირა რაიონებში, სადაც საჭირო იყო ძლიერი სამხედრო ხელისუფლება. არეულობის დროს ცენტრალური ოლქებიც ადვილად შეიძლება გამხდარიყო მტრის თავდასხმის ობიექტი და ამიტომ აქაც გაჩნდა ეს „ვოევოდები“, ხოლო მეფე მიხეილის დროს „ვოევოდობა“ საყოველთაოდ იყო შემოღებული. „ვოევოდების“ ხელში თავმოყრილი იყო მთელი უზუდის ყველა საქმეები გარდა სასულიეროსი—იგი მეფის ნაცვალი იყო. ქართულ თარგმანში „ვოევოდა“, სავსებით სამართლიანად, თარგმნილია როგორც „ერისთავი“ (იხ. თავი X, მუხ. მუხ. 141, 149 და სხვ.); „ვოევოდა ვ. გოროდახ“ — „ქალაქის ერისთავი“ (იხ. თავი II. მუხ. 18).

სახელმწიფოსა და სამართლის
ისტორიის კათედრა

ლიტერატურა

1. წერა-კითხვის ფონდის ხელნაწერი № 3614; საისტორიო ფონდი № 276; ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი № 51, გვ. 108.
2. Р. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения, вып. I, изд. АН СССР, М. Л. 1956 г. საქ. მუზეუმის საისტორიო ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ქრ. შარაშიძის მიერ შედგენილი, ტ. III, თბილისი, 1948 წ.

Н. КОРДЗАЯ-САМАДАШВИЛИ

К ВОПРОСУ О ГРУЗИНСКОМ ПЕРЕВОДЕ СОБОРНОГО УЛОЖЕНИЯ ЦАРЯ АЛЕКСЕЯ МИХАЙЛОВИЧА

Резюме

Переводы Соборного Уложения царя Алексея Михайловича и Наказа Екатерины II на грузинский язык являются свидетельством того, насколько большой интерес проявляли к источникам русского права в



Грузии. Их исследование должно способствовать изучению позднейшего дальнего грузинского права.

Перевод Соборного Уложения, как показал произведенный нами анализ грузинского текста, является дословным: без пропусков и сокращений.

В настоящей статье исследуется терминология Уложения в области общественного и государственного строя. Грузинские переводы показали, насколько хорошо автор был знаком с своеобразными институтами русского права. В некоторых случаях переводчик использует соответствующие грузинские термины, в тех же случаях, когда он их не находит, пользуется русскими терминами, не переводя их, или переводит по содержанию, а не буквально.

N. KORDSAJA-SAMADASCHWILI

ZUR FRAGE DER GEORGISCHEN ÜBERSETZUNG DES GESETZBUCHES KÖNIGS
ALEXEI MICHAÏLOWITSCH

Z u s a m m e n f a s s u n g

Die Übersetzung des Gesetzbuches des Königs Alexei Michailowitsch und der Anweisung Ekaterine II ins Georgische zeugen deutlich von diesem großen Ansehen, welches die Quelle des russischen Rechtes in Georgien gefunden hatte. Die Forschung muß zur Erlernung des georgischen Rechtes der Epoche des Spätfeodalismus und zu solcher wichtigen Sphäre der russisch-georgischen Verhältnisse, wie Rechtsverhältnis, beitragen.

Die Übersetzung des Gesetzbuches, wie von uns ausgeführte Analyse des georgischen Textes gezeigt hat, ist wörtlich: Ohne Auslassen und Verkürzung. In gegebenem Artikel ist die Terminologie des Gesetzbuches auf dem Gebiet der gesellschaftlichen und staatlichen Ordnung erforscht. Die georgische Übersetzung hat gezeigt, wie gut der Verfasser das eigenartige Institut des russischen Rechtes kannte. Manchmal verwertet der Übersetzer entsprechende georgische Terminologie und diesmal, wenn er in georgischer Wirklichkeit kein ähnliches Institut finden kann, gebraucht er russische Terminologie, ohne sie zu übersetzen, oder übersetzt, aber nicht buchstäblich, sondern nach dem Inhalt.

К ВОПРОСУ О ВОЗНИКНОВЕНИИ И РАЗВИТИИ ТАЙНОГО ПОЛИТИЧЕСКОГО СЫСКА В РОССИИ В XVII—XVIII ВВ.

М. КОБАХИДЗЕ

Органы тайного политического сыска в России зарождались и оформлялись в процессе становления и укрепления самодержавного строя. Создание и активная деятельность этих органов способствовали дальнейшему расширению личной власти монарха, бравшего под свой непосредственный контроль расследование и пресечение особо опасных для самодержавия государственных преступлений.

Исторические корни тайной политической полиции в России можно проследить, начиная со второй половины XVII века.

Соборное Уложение 1649 года, закрепив существенные изменения в социально-экономическом строе России, отразило значительно возросшую власть монарха. В Уложении впервые особо выделялись жестоко каравшиеся государственные преступления (гл. II—III), направленные против царской власти, а также жизни, здоровья и чести царя и его близких. Смертной казнью наказывался даже голый умысел против жизни и здоровья монарха, заговоры с целью захвата власти, сношения с неприятелем в период военных действий, бунт и измена.

О возрастании личной власти царя свидетельствовало также появление «именных» царских указов. Первоначально эти указы издавались по второстепенным делам, важнейшие же вопросы управления, касавшиеся основ феодального землевладения, финансовой политики и пр., по-прежнему решались царем совместно с Боярской Думой. Однако сам факт появления «именных» указов свидетельствовал об укреплении самодержавия. В дальнейшем, как известно, «именные» указы становятся основной формой законодательства в России. Наконец, весьма характерным являлось стремление царя подчинить своему непосредственному личному контролю органы центрального управления — приказы. К концу 60-х годов XVII века начальники важнейших приказов еженедельно являлись к царю с докладом о ходе дел.

В конце 1654 — начале 1655 гг. царь Алексей Михайлович создал особое учреждение — Приказ Великого Государя тайных дел, посредством которого решал множество вопросов различной важности, минуя Боярскую Думу, с тем, «чтобы его царская мысль и дела исполнялись все по его хотению, а бояре б и думные люди о том ни о чем не ведали» [3].

Первоначально при царе образовался особый штат подьячих, что вроде его личной канцелярии и одновременно — отделения Приказа Большого дворца (ведавшего всеми нуждами царского двора и управлявшего царскими землями). Постепенно это учреждение становилось центром, куда со всей страны стекались прошения, жалобы и доносы, авторы которых искали особого, лично царского внимания к



себе и своим нуждам, минуя соответствующие центральные государственные органы (Боярскую Думу, приказы и др.).

Во главе приказа стоял тайный дьяк (или дьяк тайных дел), занимавший, как личность особо приближенная к царю, высокое положение при царском дворе. В его распоряжении находились подьячие (первоначально 6—7 чел., позднее — до 15). Каждый подьячий ведал определенной частью дел и, кроме того, выполнял различные поручения царя, порой очень ответственные. Царь осуществлял постоянный контроль и наблюдение за всей деятельностью приказа: просматривал, внося свои поправки и дополнения, решения дьяков и подьячих; давал устные распоряжения; особо важные дела разбирал и решал сам; писал указы (особенно по военным и дипломатическим делам). Дьяк и подьячие регулярно, обычно в письменном виде, отчитывались перед царем.


Дела начинались либо по инициативе царя, либо по жалобе, челобитью (прошению), доносу, либо, наконец, по донесению («отписке») воевод и других должностных лиц с мест. Круг дел приказа был весьма обширен, хотя недостаточно точно определен. Не было еще разграничения компетенции между Тайным и другими приказами (Посольским, Челобитенным, Большого дворца и пр.) и прохождение дела по тому или иному приказу зависело от царя. Тайный приказ ведал личной перепиской царя; управлением некоторыми его имениями и промышленными заведениями; государственными внешнеторговыми операциями, розыском медной и серебряной руды; управлением полками «иноземского» строя, царской благотворительностью; личной кассой царя и некоторыми другими делами [2].

Как видим, значительная часть дел Тайного приказа носила характер дворцово-вотчинного управления. Вместе с тем, одной из основных его функций являлся контроль за деятельностью приказов и должностных лиц как в центре, так и на местах. О злоупотреблениях в управленческом аппарате обычно узнавали из «отписок» в приказ воевод, духовенства, из тайных донесений особо доверенных лиц, челобитных и пр. По указу царя приказ начинал следствие по делу — «сыск». На места посылались специально назначенные приказом или лично царем, обычно из влиятельных лиц, следователи («сыщики»), имевшие конкретные инструкции. В особо важных случаях царь лично участвовал в расследовании. После того, как был собран нужный следственный материал, царь либо сам выносил решение, либо поручал сделать это Тайному (или какому-либо другому) приказу.

Приказ Тайных дел рассматривал также и политические дела различной государственной важности. Однако эти дела не выделялись в его основную функцию, т. к. Тайный приказ еще не сложился в специальное следственно-розыскное учреждение по политическим делам. Они рассматривались им наряду со множеством других дел. При Алексее Михайловиче Тайный приказ не имел еще даже своего застенка, обвиняемых пытали в Стрелецком приказе.

Вместе с тем, именно Тайный приказ, на наш взгляд, является зародышем тайной политической полиции России, т. к. все важнейшие политические дела того времени расследовались при его непосредственном участии или под его контролем. И именно в тот период зарождаются некоторые основные формы и методы политического сыска, характерные для сыскных органов XVIII и XIX веков.

Особо важными политическими делами Тайного приказа являлись: дела о раскольниках, дело Степана Разина и его сподвижников и дело патриарха Никона. Дела о раскольниках велись, в основном, патри-



аршими приказами, но при непосредственном участии Тайного приказа. Особенно характерным являлось расследование дел Степана Разина и патриарха Никона, которым феодальная верхушка придавала особо важное значение. Сыск по этим делам велся под прямым контролем и при участии Тайного приказа и самого царя. В частности, царь собственноручно составил список вопросов, по которым следовало допросить Разина, назначал особые комиссии для следствия в Никонском деле, вел свой розыск через Тайный приказ, сам участвовал в допросах.

Наряду с такими важными и крупными делами Тайный приказ расследовал в качестве государственных преступлений и множество совершенно незначительных и даже курьезных на современный взгляд дел. Например, дело некоего Шихирева, пытавшегося, якобы обмануть царя при выборе невесты, или дело подьячего Земского приказа Ивана Протопопова, осмелившегося без разрешения взойти на дворцовую лестницу, куда, по своему положению, не смел входить [2, стр. 306]. Нарушение подобных правил внушало царю тревогу и подозрение и виновные наказывались как государственные преступники.

Приказ Тайных дел был упразднен в 1676 г.

При Петре I, т. е. в эпоху окончательного утверждения самодержавного строя, основными органами политического сыска и следствия стали Преображенский приказ и Тайная Канцелярия.

Преображенский приказ был учрежден Петром I в 1695 году. Его предшественницей была так называемая Преображенская изба, в ведении которой находилось обслуживание несовершеннолетнего Петра и его матери, а также организация и содержание Преображенского и Семеновского «потешных» полков (отсюда и ее название). Первоначально Преображенский приказ исполнял, главным образом, полицейские функции по городу Москве, а также ряд функций, связанных с военно-административными делами (ведал «потешными» полками, осуществлял рекрутский набор и пр.). Однако в первые же годы он стал оформляться и как орган политического сыска. Именным указом от 25 сентября 1702 года большинство политических дел было изъято из других приказов и сосредоточено в Преображенском приказе. Главным судьей Преображенского приказа первоначально был Ю. Ф. Ромодановский, после же его смерти — его сын И. Ромодановский.

Преображенский приказ сыграл очень важную роль в расправе Петра I и его окружения с противниками петровских преобразований — боярской оппозицией, реакционным духовенством, недовольными стрельцами, спровоцированными боярством на мятеж 1698 года. Дело о стрелецком мятеже было самым крупным делом Преображенского приказа. Царь лично принимал участие не только в допросах стрельцов, но и в их казни (было казнено 799 стрельцов).

С помощью Преображенского приказа жестоко подавлялось народное недовольство мучительным налоговым гнетом, усилением крепостнического бремени и постоянным ростом натуральных и денежных повинностей.

Судебный процесс по политическим делам в Преображенском приказе основывался на формуле «слово и дело государево». Эта формула встречается уже в первой половине XVII века, однако в тот период еще не существовало специального розыскного органа по государственным преступлениям. В зависимости от обстоятельств дела политическим розыском мог заняться любой приказ или воеводы на местах.

Соборное Уложение 1649 года, перечисляя в главе II важнейшие государственные преступления, устанавливало и определенные процес-



суальные формы «слова и дела государева». Прежде всего оно провозглашало обязанность всех и каждого «извещать» (отсюда — «извет») власти о всяком, ставшем ему известным злом умысле, приговорении, покушении или совершении государственного преступления. За недонесение прозила смертная казнь «без всякой пощады».

Лицо, проведавшее о готовящемся или уже совершенном преступлении, произносило при свидетелях формулу: «слово и дело государево» (безразлично в каком месте — в государственном учреждении, церкви, на улице или дома). Извет мог быть произведен и в письменном виде, на местах — воеводам и приказным людям, в столицах — царю, его «ближним людям», боярам или в государственные органы. На местах первые допросы с обвиняемого и доносителя снимали воеводы, а затем запрашивали центр или прямо отправляли их вместе с документами в столицу. В Москве доносителя, обвиняемого и свидетелей сразу доставляли в Преображенский приказ (в Петербурге, позднее — в розыскные канцелярии), где и производился «розыск» по делу. «Розыск» в значении того времени — это инквизиционно-следственный процесс с обязательными доносами, очными ставками и допросами под пыткой. При необходимости производили «повальные» (всеобщие) обыски и допросы. Если дело близко затрагивало личность царя или привлекало его особое внимание, то он сам контролировал и направлял розыск, принимал непосредственное участие в допросах, предопределял приговоры.

Характерно, что политический процесс по «слову и делу» начинался всегда только по доносу («извету»). За правильные доносы полагались награды, за ложные — жестоко наказывали кнутом или штрафами (в последнем случае — только лиц «благородных» сословий).

Часто изветы по «слову и делу» носили характер мести, т. е. таким путем доноситель стремился отомстить врагу, например, доставить под удар жестокого помещика и т. д. Однако и здесь феодально-помещичье государство защищало интересы господствующего класса. Так, если крестьянин произносил «слово и дело» против своего помещика, не имея свидетелей, то такого доносителя, жестоко наказав кнутом, отдавали на расправу тому же помещику.

Огромную роль играли пытки. Обычной формой пытки в XVII — начале XVIII вв. было битье кнутом на дыбе. Пытали обычно до трех раз. Если и после третьей пытки обвиняемый не сознавался, то, как правило, считалось, что он невиновен. Иногда пытки носили более изощренный характер: битье кнутом на дыбе сопровождалось пытками раскаленными щипцами или горящими вениками.

Наряду с Преображенским приказом розыском по политическим делам в начале XVIII века занимались также специальные розыскные «майорские» канцелярии (получившие такое название в связи с тем, что во главе их стояли майоры или генерал-майоры). Розыскные канцелярии были более оперативными и гибкими органами политического сыска по сравнению с Преображенским приказом, перегруженным полицейскими и военно-хозяйственными делами. Кроме того, последний находился в Москве, а Петру I необходимо было иметь под рукой, в Петербурге, соответствующие розыскные органы, которыми и стали «майорские» канцелярии.

Начиная с 1713 года Петр I поручал доверенному лицу, обычно офицеру лейб-гвардии, розыск по определенному политическому делу, облакая его большими полномочиями («пытать и розыскивать накрепко»). Тот создавал канцелярию, члены которой были лишь исполнителями. Канцелярия называлась именем ее главы (Дмитриева-Мамоно-

ва, Кошелева, кн. Голицына, Ушакова и др.). В распоряжении канцелярии имелись определенные денежные суммы (куда, в частности, входила и стоимость конфискованного у осужденных имущества), при ней содержались подследственные («колодники»).

Дело начиналось по специальному указанию Петра I, первоначально лично руководившего всеми этапами следствия и утверждавшего приговоры. Во многих случаях царь сам указывал, какой именно вынести приговор. Позднее, с усложнением государственного управления, с ростом политических дел, царь уже не мог самолично вникать в детали всех дел, поэтому его указы начинают носить более общий характер.

Круг дел, рассматривавшихся розыскными канцеляриями, был весьма широк: злоупотребление властью, взяточничество, нарушение законов о рекрутском наборе и о снабжении армии, фискальные дела особо крупных размеров и др.

Следственный процесс проходил три основные стадии:

- 1) истребование и изучение документов, допросы и очные ставки обвиняемых и свидетелей;
- 2) докладные выписки царю;
- 3) вынесение приговора (с утверждением царя).

По ходу дел розыскные канцелярии, в случае необходимости, вступали в определенные сношения с Кабинетом царя, Сенатом и коллежиями.

С 1718 года, в связи с порученным ей делом царевича Алексея, на первый план выдвигается канцелярия П. А. Толстого. С переходом розыска по делу царевича из Петербурга в Москву, она оформляется как важнейший государственный орган под названием «Канцелярии тайных розыскных дел» или, как обычно ее называли — «Тайной канцелярии», просуществовавшей фактически (позднее под названием Тайной экспедиции Сената) вплоть до начала XIX века.

Все дела в Тайной канцелярии вершились коллегией из четырех «министров» (позднее — «судей») — П. А. Толстого, А. И. Ушакова, И. И. Бутурлина и Г. Г. Скорнякова-Писарева, пользовавшихся большим доверием царя. Коллегиальный метод работы Тайной канцелярии вытекал из общих принципов центрального управления, введенных Петром I. Однако специфичность этого органа и личные качества П. А. Толстого, которому царь поручил самое важное дело — об измене царевича Алексея, способствовали тому, что фактическим единоличным главой Тайной канцелярии стал именно П. А. Толстой. Это был человек большого ума, очень ловкий, хитрый и изворотливый, с огромным политическим опытом. «Голова, голова, — говорил ему Петр I, — кабы ты не была так умна, я давно бы отрубить тебя велел». Имя Толстого долгое время наводило ужас.

Тайная канцелярия в определенном смысле являлась правой рукой Петра I. В первые годы Тайная канцелярия работала не только под непосредственным контролем царя, но и при активном его участии. С ноября 1718 года Петр I каждый понедельник лично являлся в канцелярию и заслушивал доклады о ходе дел, давал указания, решал вопросы, утверждал приговоры. Даже при своих частых отъездах он регулярно заслушивал П. А. Толстого, приезжавшего к нему с докладами. Взаимоотношения царя с Тайной канцелярией, по существу, носили тот же характер, что и с другими розыскными канцеляриями, однако в двадцатых годах XVIII века именно в этом органе начинают концентрироваться наиболее важные политические дела, а остальные канцелярии отходят на второй план или упраздняются. Тайная канцелярия становится постоянным следственно-судебным учреждением по госу-

дарственным преступлениям. Выше нее в системе государственных органов стоял лишь Сенат, выступавший в качестве апелляционной инстанции и выносивший (по воле царя) приговоры по важнейшим делам.

Тайная канцелярия функционировала наряду с Преображенским приказом. Отношения их были довольно сложными, т. к. юридически компетенция этих органов не была разграничена. Часто второстепенные дела канцелярии передавались Преображенскому приказу.

Правовую основу разрешения дел в Тайной канцелярии, так же, как и в других розыскных органах по политическим делам, составляли: Соборное Уложение 1649 года (II и III главы), Воинский Устав (III глава, 19 и 20 артикулы), Новоуказные статьи и именные указы царя.

Особо важное значение имел именной указ от 25 января 1715 года, которым всем подданным вменялось в обязанность в устном или письменном виде доносить царю (лично или через караульного офицера) о «нужных и важных делах»:

1) о злом умысле против персоны Его Царского Величества или измене;

2) о возмущении и бунте;

3) о похищении казны;

«а о прочих делах доносить, кому эти дела поручены», т. е. соответствующим государственным органам (Сенату, коллегиям, губернаторам и пр.) [4].

Согласно указу от 19 января 1718 года основная масса дел Тайной канцелярии касалась лишь первых двух пунктов указа 1715 год (как об этом и говорится в официальных ее докладах).

Вместе с тем, «министрам» Канцелярии была дана власть, исходя из конкретных обстоятельств того или иного дела, вводить новые нормы права дополнять Уложение и Воинский Устав, руководствоваться судебной практикой. Такое положение было вполне естественным в условиях неограниченной власти самодержца, воле которого полностью подчинялись «министры» Тайной канцелярии, и крайнего несовершенства уголовного законодательства того времени.

Основным делом Тайной канцелярии было дело царевича Алексея, а также примыкавшие к нему дела его матери Евдокии Лопухиной и ее фаворитов («суздальское» и «кикинское»). Далее шли «тайные дела против первых двух пунктов указа 1715 года». В основном это были дела об оскорблении Величества словом или делом, т. е. произнесение непристойных, оскорбительных слов в адрес Петра или Екатерины; распространение ложных слухов, целью которых являлось умаление царской власти; таинственные и непонятные действия, возбуждавшие подозрение в государственной измене, готовящемся антигосударственном заговоре или покушении на жизнь царя и пр. Например, в 1721 году некий Антонов, в пьяном состоянии, подошел к Петру, маршировавшему в строю Преображенского полка и что-то хотел ему сказать, безо всякого преступного умысла. Его схватили, допрашивали и пытали в Тайной канцелярии. Ничего не добились, но все-таки сослали в Сибирь на вечную каторгу [1].

Через Тайную канцелярию прошел ряд дел о крупных хищениях (в частности, о грандиозных хищениях в Адмиралтействе), а также дела о раскольниках, которым Петр I придавал не только религиозное, но и политическое значение.

Розыскной процесс в Тайной канцелярии был характерным для политических процессов по «слову и делу». Обязателен был донос. Первые допросы велись секретарями канцелярии (иногда в присутствии «министров»). Собрав достаточный следственный материал, секре-

тари составляли «выписки» министрам, выносившим приговор. Исполнение приговора удостоверялось одним из работников канцелярии. Основным методом допросов обвиняемых, доносителей и свидетелей по-прежнему были пытки. Смерть «колодников» от пыток считалась обычным делом. Для получения нужных сведений пользовались исповедью умирающего священнику. Широко проводились обыски, выемки, конфискация имущества.

Именным указом от 5 января 1724 года было объявлено о ликвидации розыскных канцелярий и передаче оставшихся дел в Сенат и соответствующие коллегии. Однако Тайная канцелярия перестала существовать только в середине 1726 года (уже после смерти Петра I). Руководство расследованием политических дел сосредоточилось в руках образованного в феврале 1726 года Верховного Тайного Совета. Начиная с 1727 года «верховники» все важнейшие дела либо вели сами от начала до конца, либо поручали их специально назначенному лицу или учреждению. Окончательные приговоры всегда выносил Верховный Тайный Совет. В течение 1729—1730 гг. Совет рассмотрел множество дел, связанных с государственными преступлениями.

Изменение политической обстановки в связи с воцарением новой императрицы Анны Иоанновны и жестокий террор, проводимый ее фаворитом Бироном, привели к фактическому воссозданию Тайной канцелярии. Указом от 24 марта 1734 года была образована Тайная розыскных дел канцелярия, во главе которой стоял А. И. Ушаков, правая рука П. Толстого. Естественно, что она действовала уже испытанными методами и средствами.

Вместе с тем, новые задачи потребовали дальнейшего совершенствования законодательства о государственных преступлениях. Еще весной 1730 года был издан указ, конкретизировавший петровский указ 1715 года. Были уточнены первые два пункта этого указа, которые, собственно, и являлись основной юридической базой для политического розыска. Согласно указу 1730 года к первому пункту следовало относить дела о «злом умысле против жизни, здоровья и чести императора». Ко второму пункту — бунт и измену. По-прежнему на всех возлагалась обязанность доносить о государственных преступлениях. За правильный донос обещалась вознаграждение, за недонесение или ложный донос — жестокие наказания, вплоть до смертной казни. На практике «государственным преступлением считал злой умысел не только против императрицы, но также против ее фаворитов и приближенных чиновников. Тайная розыскных дел канцелярия в царствование Анны Иоанновны, а затем и Елизаветы Петровны, являлась специальным следственно-розыскным учреждением по политическим делам. Она возбуждала и вела все важнейшие политические дела в 30—50-ых годах XVIII века: дела «верховников», пытавшихся ограничить личную власть императрицы; дело кабинет-министра А. П. Волынского, выступившего против немецкого засилья при дворе и др. При Елизавете именно эта канцелярия, ранее бывшая в полной власти Бирона, расправилась с ним самим и его окружением. Много внимания уделялось жесточайшему подавлению народных выступлений (расправа с вождем башкирского восстания 1755 года Батыршей и др.).

Тайная канцелярия в 30—60-ых годах XVIII века занимала особо привилегированное положение в государственном аппарате. Подчиняясь только императрице, она фактически стояла выше всех других учреждений, наводя страх и ужас не только на трудящееся население страны, но и на представителей господствующего класса.

В феврале 1762 года, указом Петра III Тайная розыскных дел кан-

целярия была ликвидирована, а вместе с ней была упразднена и сама ненавистная формула «слово и дело государево».

Однако политический розыск по-прежнему продолжал существовать, но теперь уже в виде Тайной экспедиции, образованной в составе Сената. Необходимо было успокоить общественное мнение и нажить на том политический капитал, что в определенной степени и удалось сделать, маскируя Тайную экспедицию в качестве структурной части высшего органа государственного управления. На практике же она обладала большой самостоятельностью. Власть ее начальника С. Шешковского, бывшего видного чиновника Тайной розыскных дел канцелярии, была всеобъемлюща, хотя формально общее руководство этим органом принадлежало генерал-прокурору. При Екатерине II и Павле I начальник Тайной экспедиции имел право личного доклада самодержцу.

В Москве при Сенатской конторе имелся ее филиал, формально находившийся в ведении московского главнокомандующего.

Через Тайную экспедицию проходили важнейшие политические процессы, как-то: дело Мировича, дела ряда мелких самозванцев, выдававших себя за Петра III; множество дел, связанных с оскорблением «Величества» и др.

Процесс по-прежнему носил следственно-розыскной характер, несмотря на официальное упразднение «слова и дела». Основными его элементами являлись доносы, очные ставки и жестокие пытки, вопреки торжественным заверениям Екатерины II о ликвидации пыток и телесных наказаний. Вместе с тем, важную роль стали играть доносы тайных осведомителей и перлюстрация писем на почтамтах.

При Екатерине II Тайная экспедиция осуществила расправу с Е. И. Пугачевым и его сподвижниками, великим дворянским революционером-демократом А. Н. Радищевым, либеральным просветителем Н. И. Новиковым и др. При Павле I в застенках Тайной экспедиции пытали опальных вельмож, чиновников и офицеров.

Особенно широко развернулось следствие по делу Е. И. Пугачева. В помощь Тайной экспедиции было создано несколько секретных следственных комиссий. Самого Пугачева, привезенного в Москву в большой железной клетке, пытали и допрашивали в присутствии всего состава Суда Тайной экспедиции. Казнь Е. Пугачева и его ближайших сподвижников состоялась на основе царского «определения» и манифеста, исходивших из следственных материалов Тайной экспедиции.

Тайная экспедиция была упразднена указом Александра I от 12 апреля 1801 г.

Таким образом, уже во второй половине XVII века, т. е. в период становления российского самодержавия, появляются органы тайного политического сыска, ставшие затем важнейшей структурной частью карательного механизма Российской империи.

Первоначально функции политического сыска, наряду с другими административно-хозяйственными функциями осуществлялись тем или иным органом центрального управления, работавшим под непосредственным контролем и при личном участии царя. В дальнейшем, в связи с ростом классовой борьбы и усложнением системы управления, стали оформляться специальные постояннодействующие органы, главной задачей которых являлись следствие и суд по политическим делам.

С самого начала своего существования органы политического сыска служили единой главной цели — укреплению и защите самодержавия, вследствие чего между ними имелась тесная связь и преемственность. Развиваясь, совершенствуясь, накапливая в течение многих десятилетий опыт политической борьбы, они подготовили базу для организации тако-



го мощного карательного органа как высшая политическая полиция России XIX века в лице III Отделения Собственной императорской канцелярии, опиравшегося на вооруженные силы жандармерий.

ЛИТЕРАТУРА

1. Веретенников В. И. История Тайной канцелярии петровского времени. Харьков, 1910, стр. 167.
2. Гурлянд И. Я. Приказ Великого Государя тайных дел. Ярославль, 1902, гл.гл. IV, V.
3. Котошихин Г. О России в царствование Алексея Михайловича. Изд. 4-ое, СПб., 1906, гл. VII, стр. 1.
4. Полное собрание законов Российской империи, IV, № 2877.

ა. კობახიძე

რუსეთში საიდუმლო პოლიტიკური ძიების
 წარმოშობისა და განვითარების საკითხისათვის
 XVII—XVIII სს.

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ცდა იმ სპეციალური სადამსჯელო ორგანოების ჩასახვისა და განვითარების განხილვისა, რომლებიც ეწეოდნენ ბრძოლას სახელმწიფო დანაშაულობათა წინააღმდეგ XVII—XVIII საუკუნეებში (საიდუმლო საქმეთა უწყება, პრეობრაჟენსკის უწყება, საიდუმლო კანცელარია, სამძებრო საქმეთა საიდუმლო კანცელარია და სენატის საიდუმლო ექსპედიცია). ნაშრომში გაანალიზებულია მათი მოქმედების პროცესუალური ფორმები და მეთოდები; ხაზგასმითაა აღნიშნული მათი ურთიერთკავშირი და მემკვიდრეობითობა, რაც განისაზღვრებოდა თვითმპყრობელობის დაცვის საერთო ამოცანებით; ნაჩვენებია მათი ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის სადამსჯელო მექანიზმის სისტემაში.

M. KOBAKHIDZE

ON THE PROBLEM OF THE ORIGIN AND DEVELOPMENT OF THE SECRET
 POLITICAL SEARCH IN RUSSIA IN THE 17TH. 18TH CC.

S u m m a r y

The present article is the first attempt to trace back the origin and development of special punitive organs engaged in the struggle against political crime in the 17th—18th cc, such as: the Department of secret affairs, the Preobrazhensky's department, the Office of Secret Search and the Secret expedition of the Senate. The article analyzes the procedure and the methods of activity in the above offices, reveals the connection and the continuity of their work, which were determined by the common task of protecting autocracy; it shows the role of the punitive system in the Russian empire.

თვითცნობიერების ჩამოყალიბებაში საკუთარი სახელის მონაწილეობის საკითხისათვის

ენიო ადამაშვილი

რას წარმოადგენს პირადი სახელი, როგორია მისი ლინგვისტური სტრუქტურა და რა ფუნქციას ასრულებს იგი ადამიანის ცხოვრებაში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია იმ მრავალფეროვნების გამო, რომელიც ახასიათებს პირადი სახელის აგებულებას და ფუნქციებს თანამედროვეობაშიც კი, რომ არ ვიქონიოთ მხედველობაში მისი ცვალებადობის ისტორიული გზა. ჩვენს ქვეყანაში დაკანონებული სამწევროვანი სტრუქტურა პირადი სახელისა არ არის ერთადერთი; სხვადასხვა ქვეყნებს ამჟამადაც აქვთ განსხვავებული ფორმები, რომელნიც შეიცავენ მხოლოდ ორს ან ერთ წევრს, ან, პირიქით, შესდგებიან სამზე მეტი წევრისაგან. ამავე დროს ამ წევრების ფუნქციებიც ხშირად განსხვავებულია სამწევროვანი სისტემისათვის დამახასიათებლისაგან და ძნელად დასადგენი. ურიცხვი ფაქტობრივი მონაცემებიდან დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს: ისლანდიელებს არა აქვთ გვარი; ჩეხები, ბულგარელები, პოლონელები არ ხმარობენ მამის სახელს, ინდოელების, ჩინელების, ვიეტნამელების სახელები სამწევროვანია, მაგრამ თავისი ფუნქციებით ეს წევრები სრულიადაც არ შეესატყვისებიან რუსული პირადი სახელის სამი წევრის ფუნქციებს; ასევე სრულიად განსხვავებულია მათგან გერმანიაში, ავსტრიაში, ესპანეთში მიღებული მრავალწევროვანი სახელწოდებები. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხთა შორის კი ესეც არსებობს ისტორიული ტრადიციით განმტკიცებული განსხვავებული ფორმები პირადი სახელებისა, რომელნიც ოფიციალურის გვერდით ფუნქციობენ. „პირადი სახელების განსხვავებული სისტემები ისტორიულად არის ჩამოყალიბებული. ისინი გაპირობებულია სოციალური განვითარებისა და ენების განსხვავებებით“ [1, 34].

პირად სახელს განსაზღვრავს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი პირობები, საზოგადოების კლასობრივი, ეკონომიური, სქესობრივი, პროფესიონალური, ასაკობრივი სტრუქტურა. მაგალითად, საზოგადოებაში მდგომარეობასთან დაკავშირებით იცვლება ინდივიდის სახელი ჩინელებთან: 1. **სიაო** — ბავშვობის სახელია, საალერსო. 2. **მინ** — მთავარი სახელი, ანიჭებენ მშობლები ან მასწავლებლები სკოლაში მიღებისას, 3. **ცზი** — სრულწლოვანების სახელი, თავის მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, მეორის მსგავსია, 4. **ხაო** — შერქმეული სახელი, მეგობრების მიერ ან თავის მიერ, ფსევდონიმია და ა. შ. 5. **ში** — საპატიო სახელი, რომელსაც ატარებდნენ ჩინეთში იმპერატორის დროს პრივილეგირებულ წრეებში.

შუასაუკუნეების შემდეგდროინდელი არაბული ანტროპონიმური სისტემა



შეიცავს ბევრ კომპონენტებს: 1. **ისმ-ალიამ** — დაბადების დროს სახელი 2. **კუნია** — შეიღების მიხედვით დასახელება: „აბუხამედ“ ნიშნავს ახმედის მამას, „უმმ-იბრაგიმ“ იბრაგიმის დედაა. ასეთი პრინციპით სახელდება ბევრ, ტერიტორიულად ძალიან დაცილებულ ან ტომობრივად განსხვავებულ ხალხშია გავრცელებული. ციმბირში კეტებში ბავშვის დაბადებამდე ქმარი ცოლს ეძახის — „ადგილი“, ბავშვის დაბადების შემდეგ — „ვაყიშვილის დედა“ ან „ქალიშვილის დედა“. მსგავსია ცოლის მიმართვა ქმრისადმი. იგივეს აქვს ადგილი კალიმანტანისა და იავანელების დაიაკელებთან, 3. **ნასიზი** — დასახლება ხდება მამისა ან იშვიათად დედის მიხედვით. მაგ. იბნ-სინა (ავიციენა ევროპულად) სინის ვაჟია 4. **ლაკაბ** — შერქმეული სახელი. სილდიკ — „სიმართლის მთქმელი“, ახტაბი „უკბილო“; ამ კატეგორიაში შეაქვთ აგრეთვე საქმიანობის ან წოდებების მიხედვით მიმატებული შემდეგი კომპონენტები: შახი, ხანი, მირზა, სეიდი და სხვა. 5. **ნისბა** — გენეოლოგიური სახელი რომელიმე წინაპრის სახელის მიხედვით ან ეთნიკური ან გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით, ან საზოგადოებრივი კავშირის მიხედვით. 6. **მანსაბ**—საქმიანობის მიხედვით, 7. **ტახალლუს**—ფსევდონიმი სხვადასხვა წარმოშობისა: დაბადების ადგილის, საქმიანობის, მფარველი პატრონის მიხედვით. ეს კომპონენტები სხვადასხვა კომპლექსებში ერთიანდებიან, ან გამორიცხავენ ერთმანეთს.

ინდოეთში ანტროპონიმიკური სისტემა სამწევროვანია: 1. **რავი** — მას განსაზღვრავს ასტროლოგი ბავშვის დაბადების დროით მონაცემებსა და გეოგრაფიულ კომპონენტებზე დაყრდნობით. 2. **სახელი**, მიცემული ოჯახის რელიგიურ-თემობრივი ნიშნის, ან სქესის ან სხვა ზოგადი ნიშნების მიხედვით. 3. აღნიშნავს კასტას, რომელსაც ეკუთვნის ინდივიდი. ამგვარად სრული სახელია, მაგალითად, რამ კუშარ არორა, სადაც რამ — რაშია, კუშარ ნიშნავს ბიჭს, ვაყიშვილს და არორა ჩრდილოეთ ინდოეთის ვაჭრების კასტის სახელწოდებას [1]. აღსანიშნავია, რომ ქალს, მისი სოციალური პოზიციის გამო მრავალ ქვეყანაში საკუთარი სახელი საერთოდ არ ჰქონდა (მაგ. შუასაუკუნეების კორეაში, ძველ რომში, ძველ რუსეთში). მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ინდივიდის სახელების დროს მხედველობაში მიიღება მისი სხვადასხვა ნიშნები, მისი სოციალური პოზიცია და როლი, რომელსაც იგი ასრულებს, რაც მიუთითებს საკუთარი სახელისა და მისი მატარებლის შორის არსებითი და არამემთხვევითი დამოკიდებულების არსებობას. მეტიც შეიძლება ითქვას! არის ფაქტები, რომელნიც პიროვნებისა და სახელის გაიგივებამდე მისულ შერწყმულობაზე მიუთითებენ. საინტერესოა ასეთი ფაქტი. თუ კანადელი ესკიმოსი ვადწყვეტდა, რომ მისი სახელი უბედურების მომტანია, იგი თვითნებურად იცვლიდა სახელს, და ეს შესაძლებელია განმეორებელიყო მრავალჯერ, რითაც იგი თავს სხვა ადამიანად აქცევდა. კვაკიუტლის ტომის ინდიელებს აქვთ წესი: ვალის აღების შემთხვევაში ისინი მოვალეს უტოვებენ თავის სახელს მანამდე, სანამ არ დაუბრუნებენ ვალს; მათ აღარ ეძახიან სახელს და ისინი აღარ არიან ტომის სრულუფლებიანი წევრები; მსგავსი მოვლენაა კულტურულ ხალხებშიც გავრცელებული წესი კატორღელებისათვის სახელის ჩამორთმევისა და სახელის ნომრებით შეცვლი-
სა — [1, 26].

ლევე ბრიულს მოაქვს მრავალი ფაქტი პრიმიტიული ხალხის პირადი სახელისადმი დამოკიდებულების შესახებ. მათთვის პირად სახელსა და მის მატარებელს შორის უმჭიდროესი კავშირია. მაგ. წყნარი ოკეანის კუნძულებზე მცხოვრებ ტომებში გავრცელებულია შეხედულება, რომ სახელი ნაწილია პი-




როგნებისა, ისეთი რამ, როგორცა მისი თვალეები ან კბილები. ამიტომ სახელის ბოროტად ხსენებამ შესაძლებელია ადამიანს ავნოს ისევე, როგორც მისი სხეულის რომელიმე ნაწილის დაზიანებამ, დაჭრამ, დასახიჩრებამ. ეს ვრცელდება სხვა ობიექტებზე, სხვა ცოცხალ არსებებზე და აგრეთვე სულეებზე, ტოტემზე. სახელს მიეწერება ზემოქმედების ძალა პიროვნებაზე, რომელიც ამ სახელს ატარებს. მაგ. ვარამენგები ლაპარაკში გველის სახელს „ვალუნკვა“-ს არ ხმარობენ და სხვა სახელით სცვლიან, „ურკულუ ნაპაურიმა“-ს უწოდებენ, რადგან ნამდვილი სახელის ხშირ ხსენებას შეუძლია მათთან გველის მოყვანა, რომელიც შეჭამს მათ. როდესაც სანტალები წააწყდებიან ხოლმე ვეფხვს ან ლეობარდს და უნდათ თანამგზავრების ყურადღების მისკენ მიპყრობა, იწყებენ უფრო უვნებელი ცხოველის სახელის, მაგალითად „კატა“-ს წამოძახებას. ჩიროკის ტომის ხალხი გველის ნაქების აღსანიშნავად ამბობს, რომ ეკლიანმა ბარდებმა დაჩხანეს. როდესაც ისინი რიტუალური ცეკვებისათვის კლავენ არწივს, ასახელებენ რომელიმე უვნებელ ფრინველს. მაგ. გვრიტს.

პრიმიტიული ხალხი კიდევ უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენს ადამიანთა პირადი სახელების წარმოთქმისას. ეს სახელი ტაბუს ექვემდებარება. არ შეიძლება წარმოთქმა არც საკუთარი და არც სხვისი სახელისა. განსაკუთრებით კი სახიფათოა გარდაცვლილთა სახელების თქმა. მაგ. სალიშელები ყოველდღიურ ურთიერთობაში ერთმანეთს უწოდებენ ასაკისა და ოჯახური მიმართებების აღმნიშვნელ სიტყვებს, როგორცაა „უფროსი ძმა“, „უმცროსი და“ და ა. შ. ზოგიერთ შემთხვევაში პრიმიტიული ხალხი ყოველდღიურ მეტყველებაში იყენებს შერქმეულ სახელებს, რომელიც როგორც ჩანს ადამიანის კუთვნილებად არ ითვლება, მას არ შეუძლია პიროვნების სხვა ადგილზე გადაყვანა, მის ნებაზე, მის მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა. ასეთი ძალა აქვთ მხოლოდ ნათლობის სახელებს, რომელნიც ხშირად გასაიდუმლოებულია, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ტომის მეთაურებს, მეფეებს.

ვინაიდან პრიმიტივებისათვის პირადი სახელი პიროვნების განუყრელი ნაწილია, ამიტომ პიროვნების გადასვლას ცხოვრების ახალ პერიოდში მოსდევს მისი მონათვლა, პიროვნება იძენს ახალ სახელს. ასე ხდება მაგალითად, ჰაბუკების „კურთხევისას“ ანუ მათი „აღყვანისას“ მოწიფული მამაკაცების წოდებაში, ან მამაკაცების „ქურუმად“, „შამანად“ მომზადების დროს [2]. ეს წესი ძალიან ჰგავს კულტურულ ხალხში გავრცელებულ წესს საერო სახელის სასულიერო სახელით შეცვლისა, ან სახელის შეცვლას რწმენის შეცვლისას, ჯიბგირების კორპორაციის წევრად გახდომისას, პიროვნების ე. წ. „მოქცევის“ (მაგ. ალკოპოლიკების ან ნარკომანების) შემთხვევებში.

ამგვარად, მოტანილი ფაქტები დამარწმუნებლად გვიჩვენებენ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელი მის მატარებელ ინდივიდს განუყრელად უკავშირდება, და მიუხედავად ფუნქციათა სიმრავლისა, ერთი, საერთო, ზოგადი ფუნქცია მას საყოველთაოდ ეკისრება: იგი წარმომადგენლობს ინდივიდს მის სოციალურ სამყაროში.

მაგრამ როგორ არის მოცემული საკუთარი სახელი თვით ინდივიდისათვის, როგორ არის წარმოდგენილი იგი ინდივიდის თვითცნობიერებაში? ანუ სხვაგვარად, როგორ განიცდის საკუთარ სახელს მთლიანად და მის ცალკეულ კომპონენტებს მისი მატარებელი? ამ საკითხის გარკვევისათვის ჩვენ შეეჩერდით საკუთარი სახელის ჩვენში დაკანონებულ სამწევროვან ფორმაზე. ჩვენი ფაქტობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ დამოკიდებულება ინდივიდისა საკუთარი სა-



ხელის, მამის სახელისა და გვარის მიმართ განსხვავებულია და მოითხოვს ცალკე განხილვას. ამ წერილში შევეხებით მხოლოდ მის პირველ ხელს ვიწრო მნიშვნელობით ანუ ე. წ. პირველ სახელს.

ზრდადასრულებულ პირებთან საუბარით და სათანადო კითხვებზე წერილობითი პასუხების დაგროვებით მოპოვებული იყო მასალა ამ პირების თავის სახელთან დამოკიდებულების გარკვევისათვის. კითხვებს ასეთი შინაარსი ჰქონდათ: თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული საკუთარი სახელის არჩევა, სხვას აირჩევდით თუ არა, რატომ, რომელს? ესლა რომ შეიძლებოდა ადვილად შეცვლა, გამოიცვლიდით თუ არა სახელს, რატომ, რომელი სახელით შეცვლიდით? აუცილებელი რომ იყოს გამოცვლა, რომელს უფრო გამოიცვლიდით, სახელს თუ გვარს, რატომ? რომელს აირჩევდით, რატომ? მოგწონთ თუ არა თქვენი სახელი, რატომ? თქვენს უშუალო გაცდაში როგორია დამოკიდებულება თქვენ სახელსა და თქვენ „მე“-ს, თქვენ პიროვნებას შორის? ან, აქვს თუ არა თქვენს უშუალო გაცდაში თქვენს სახელს რაიმე კავშირი თქვენთან, თქვენ პიროვნებასთან, თქვენს „მე“-სთან?

აღსანიშნავია, რომ ასეთ კითხვებს თითქმის ყველა პირი დიდი ინტერესით შეხვდა და მთელი არსებით ჩაერთო თვითანალიზში; ხოლო ზოგიერთში ამ კითხვებმა იმდენად ინტიმური გაცდები აღძრეს, რომ მათ არ სურდათ, რომ სხვებს ვაეგოთ მათ შესახებ. აღნიშნული კითხვების მიმართ გულგრილობა არავის გამოუჩინია. უკვე ეს მიუთითებს, რომ აღამიანი არ არის ინდიფერენტული თავის პირადი სახელისადმი და ეს ნათლად და სრულიად გარკვეულად გამოვლინდა ამ კითხვებზე მიღებულ პასუხებშიც.

შრიფტების ადვილკითხვადობის საკითხს ვიხილავდით მათი გამოყენების პირობებთან მიმართებაში, რადგანაც ყოველი შრიფტის ვარგისობა მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, თუ რომელი გამოცემისათვის და რისთვის ვიყენებთ მას. დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვების სახელმძღვანელოების შრიფტები, სხვა დანიშნულების შრიფტებისაგან განსხვავებით, უწინარეს ყოვლისა უნდა შეესაბამებოდნენ 7-9 წლიანი ბავშვის ფსიქოფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თავისებურებებს. ამ თვალსაზრისით, „ღუმბაძის გარნიტურის“ შრიფტების გამოყენება მნიშვნელოვნად უფრო მიზანშეწონილია დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოებში, თუმცა სასურველია ამ შრიფტის ავტორმა შემდგომში სპეციალურად ამ მიზნისათვის დახვეწოს შრიფტები ჩვენი ექსპერიმენტების შედეგების გათვალისწინებით. „ვიწრო გარნიტურის“ შრიფტები, თავიანთი გრაფიკული ნიშნებით არ პასუხობენ სათანადო მოთხოვნებს, და დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოებისათვის არ გამოდგება.

აღსანიშნავია, რომ ქართველ ბავშვებს ჯერ კიდევ არა აქვთ საგანგებოდ მათთვის დამუშავებული ქართული საანბანო წიგნის შრიფტები. არსებული



შრიფტები მეტნაკლებად პასუხობენ მოთხოვნებს. ამის დასტურია ნ. ნასრაშვილის ზემოთ დასახელებული გამოკვლევაც. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხატვარ-გრაფიკოსისა და ფსიქოლოგის ერთობლივი მუშაობა.

ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. გორდენიანი ბ., ქართული სასტამბო შრიფტები. გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961.
2. ნასრაშვილი ნ., ქართული საანბანო წიგნის შრიფტის ფორმის საკითხისათვის. გამ-ბა „მეცნიერება“, თბ., 1965.
3. Баранова Л. А. — Восприятие единиц кода письменной речи (Автореферат)
4. Большаков М. В., Гречихо Г. В., Шицгал Г. Г.—Книжный шрифт М., изд-во «Книга». 1964.
5. Вудвортс Р. — Экспериментальная психология. Изд-во иностранной литературы. М., 1950.
6. Проблемы школьного учебника. Выпуск II. Сборник. М., «Просвещение», 1974.
7. Экспериментальная психология. Редактор составитель С. С. Стивенс. Изд-во иностранной литературы. М., 1963 г.

А. ЧАБУКАШВИЛИ

УЧЕБНИКИ НАЧАЛЬНОЙ ШКОЛЫ И ГРУЗИНСКИЕ ШРИФТЫ

Резюме

Была изучена читабельность шрифта гарнитур «вицро» («узкий») и «Думбадзе». Для обеих гарнитур установлены факторы, обуславливающие их удобочитаемость для детей младшего школьного возраста (7—9 лет).

Факторами удобочитаемости являются: оптимальное соотношение между шириной штрихов и внутрибуквенным просветом (полужирные шрифты); контрастность цвета шрифтов с фоном; оптимальность межбуквенного расстояния; умеренность внутрибуквенного просвета; более гармоничное соотношение штрихов и простота.

Факторы, затрудняющие читабельность «узкого» («вицро») шрифта, следующие: плотность, недостаточность внутрибуквенного просвета, взаимная маскировка букв в словах, в шрифтах светлого начертания («Думбадзе») и относительная бледность штрихов.

Удобочитаемость шрифтов должна рассматриваться исходя из условия применения и назначения самого шрифта. Шрифты гарнитуры «вицро» (основные черты: плотность, укорочение выносных элементов, недостаточный внутрибуквенный просвет, уменьшение ширины и др.) пригодны для справочников, газет и журналов, легко читаются и вполне приемлемы для грамотных людей, у которых процесс чтения совершенно автоматизирован. Для детей младшего школьного возраста (7—9 лет), у которых только-только вырабатываются навыки чтения и сам процесс чтения протекает как различение и узнавание отдельных букв и слогов, — он неприемлем.

Эксперименты показали значительно большую пригодность шрифта «Думбадзе» для учебников начальной школы, но с необходимой его разработкой для этой цели.

A. I. CHABUKASHVILI

PRIMARY SCHOOL TEXTBOOKS AND KINDS OF GEORGIAN TYPE

Summary

The legibility of the 'narrow' and the 'Dumbadze' type sets were studied experimentally. The positive and negative factors of both sets were established with primary school children (7—9 years old).

The positive factors are: optimal proportion of the stroke thickness and counter; contrast between the background and colour of type; optimal space between letters; moderate size of counter; harmonious proportion between strokes; simplicity.

The negative factors are: density of type; small counters; mutual masking of letters in words ('narrow'); pale strokes in lightface type ('Dumbadze').

It is argued that the problem of typeface legibility should be considered in terms of the conditions of use and purpose of a particular type.

Typeface of 'narrow set' (with the following graphic features: density, small counters, reduced width and length of elements) is useful for reference books and periodicals, being legible and acceptable to persons with a long practice of reading, i. e. with whom the process is automatized. The 'narrow' set is unacceptable to young schoolchildren (7—9 years), for the skill of reading is not yet established in them, the process of reading at this age being based on the identification of letters and syllables.

პიროვნება კარლ იუნგის ფსიქოლოგიაში

რეზაჰ ჰმარცხაშვილი

კარლ იუნგი (Carl Gustav Jung, 1875—1961) დაიბადა შვეიცარიაში. სწავლობდა ბაზელის უნივერსიტეტში იმ განზრახვით, რომ მიეღო კლასიკური ფილოლოგიური განათლება, მაგრამ შემდეგ დაინტერესდა მედიცინით და მიიღო სამედიცინო განათლება. ცნობილი გახდა როგორც ფსიქიატრი კლინიცისტი.

იუნგი თავიდანვე დაინტერესდა ფროიდის გახმაურებული შრომებით. 1906 წელს ამყარებს მასთან მიმოწერას, ხოლო ერთი წლის შემდეგ ხვდება კიდევ მას ვენაში. 1910 წ. ფსიქოანალიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის პირველი პრეზიდენტი. 1909 წ. ფროიდთან ერთად მოგზაურობს აშშ-ში. 1913 წ. იწყება უთანხმოება იუნგსა და ფროიდს შორის.


1914 წ. იუნგმა უარი თქვა ფსიქოანალიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტობაზე და ამის შემდეგ ისინი აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. მათი უთანხმოების მიზეზი გახდა არაცნობიერის ბუნების განსხვავებული გაგება. იუნგი უარყოფდა ფროიდის სექსუალურ თეორიას.

იუნგის თეორია ცნობილია როგორც ფსიქოანალიზური თეორია, პიროვნების გაგებაში არაცნობიერ პროცესებზე მითითების გამო. მაგრამ თვითონ თავის თეორიას უწოდებდა ანალიზურ ფსიქოლოგიას და ამით ხაზს უსვამდა მის განსხვავებას ფროიდისტული თეორიისაგან.

პიროვნების სტრუქტურა

პიროვნება ანუ ფსიქე, როგორც მას იუნგი უწოდებს, მოიცავს მთელ რიგ სუბპარატულ მაგრამ ურთიერთდამოკიდებულ სისტემებს. მათ შორის ძირითადია: ეგო, პიროვნული არაცნობიერი და მისი კომპლექსები, კოლექტიური არაცნობიერი და მისი არქეტეპები, პერსონა, anima ან animus და აჩრდილი. გარდა ამ ურთიერთქმედებაში მყოფი სისტემებისა, იუნგი მიუთითებს ატიტუდებსა და ფუნქციებზე. ატიტუდებში განიხილავს ექსტრავერსია — ინტროვერსიის ცნებებს, ხოლო, ფუნქციებში აზროვნებას, გრძნობას, შეგრძნებას და ინტუიციას. ბოლოს იუნგი იძლევა „სელფის“ ცნებას, რომელიც განხილულია როგორც სრულყოფილად განვითარებული და უნიფიცირებული პიროვნება.

ეგო არის ფსიქიკურის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ცნობიერს. იუნგის აზრით, ის ქმნის ცნობიერ პერცეპციას, მესხიერებას, აზროვნებას და




გრძნობას. ეგო იძლევა ინდივიდის იდენტურობის გრძნობას მის კერძო ცხოვრებაში და თვით ინდივიდის თვალსაზრისით ეგო განსაზღვრავს როგორც პიროვნების ცენტრი.

პიროვნული არაცნობიერი არის ფსიქიკურის ის რეგიონი, რომელიც თან ერთვის ეგოს. ის შეიცავს იმის განცდას, რაც ერთხელ უკვე იყო ცნობიერი, მაგრამ რომელიც რეპრესირებული, შეკავებული ან იგნორირებულ იქნა და იმის განცდასაც რომელიც საკმაოდ სუსტია იმისათვის რომ ინდივიდში გამოიწვიოს ცნობიერი შთაბეჭდილება. პიროვნული არაცნობიერის შინაარსი, მსგავსად ფროიდის პრეცნობიერი მასალისა, შეიძლება მისაწვდომი გახდეს ცნობიერებისათვის.

კომპლექსები არის გრძნობების, აზროვნების, პერცეპციის და მეხსიერების ორგანიზებული ჯგუფი ანუ თანაფარსკვლავედი, პიროვნულ არაცნობიერში. მას აქვს ბირთვი, რომელიც, როგორც მაგნიტი, იზიდავს განსხვავებულ გრძნობებს და ქმნის მათ ორგანიზაციას, მაგალითად, დედის კომპლექსის ბირთვი, იუნგის აზრით, მომდინარეობს ნაწილობრივ რასის გამოცდილებიდან და ნაწილობრივ ბავშვის დედასთან ურთიერთობის პირადი გამოცდილებიდან. დედასთან დაკავშირებული იდეები, გრძნობები და მეხსიერების შინაარსები მიიზიდებიან ბირთვისაკენ და ქმნიან კომპლექსს. რაც უფრო ძლიერი ძალა გამომდინარეობს ბირთვიდან, მით უფრო მეტ განცდას მიიზიდავს ის. პიროვნებას, რომელშიც დომინირებს დედის აზრები, იუნგი თვლის, რომ აქვს დედის ძლიერი კომპლექსი. მისი აზრები, გრძნობები და მოქმედებები წარმართებიან დედის კონცეფციით. ასეთი პიროვნებისათვის დედის ნათქვამი და გრძნობები ვადაწყვეტია. კომპლექსი შეიძლება მოქმედებდეს ავტონომიური პიროვნების მსგავსად, რომელსაც თავისი საკუთარი ფსიქიკური ცხოვრება და „მოტორი“ აქვს. მან შეიძლება მოიკვას მთელი პიროვნება, გამოიყენოს პიროვნება თავისი საკუთარი მიზნებისათვის. კომპლექსის ბირთვი და მასთან ასოცირებული ელემენტები არაცნობიერია დროის გარკვეულ მომენტში, მაგრამ ყველა ეს ელემენტი და თვით ბირთვიც შეიძლება იყოს და ხშირად ხდება ცნობიერი.

კოლექტიური არაცნობიერის ანუ ტრანსპერსონალური არაცნობიერის ცნება იუნგის პიროვნების თეორიაში ერთ-ერთი ორიგინალური და წინააღმდეგობრივი ცნებაა. ის წარმოადგენს პიროვნების (ანუ ფსიქეს) ძლიერ და გავლენიან სისტემას, რომელიც პათოლოგიის შემთხვევაში ფარავს ეგოს და პიროვნულ არაცნობიერს. იუნგის აზრით, კოლექტიური არაცნობიერი არის მეხსიერების ლატენტური კვალი, რომელიც გადაიცემა მემკვიდრეობით ადამიანთა შორეული წინაპრებიდან, შესაძლებელია ცხოველური წინაპრებიდანაც კი. ესაა ადამიანის ევოლუციური განვითარების მემკვიდრეობა. ყოველ ადამიანურ არსებას გააჩნია, მეტნაკლებად, ერთნაირად კოლექტიური არაცნობიერი, ამდენად ის უნივერსალურია. იუნგი კოლექტიური არაცნობიერის უნივერსალურობას ყოველი რასის ადამიანის ტვინის სტრუქტურის ერთგვაროვნებით ხსნის, რაც თავის მხრივ საერთო განვითარების შედეგია.

თავისებურად აქვს გაგებული იუნგს ამ ე. წ. რასის მეხსიერების (კოლექტიური არაცნობიერის) მემკვიდრეობითობა. იუნგის აზრით მემკვიდრეობით ვლებულობთ არა თვით რასის მეხსიერების რეპრეზენტაციებს, არამედ შესაძლებლობას, გავაცოცხლოთ ეს რეპრეზენტაციები. რასის მეხსიერება ჩვენში არსებობს წინასწარი დისპოზიციების სახით, რომელიც განგვაწყობს



სამყაროზე სელექციური რეაგირებისათვის. მაგ. რადგან ადამიანს ყოველთვის ყავდა დედა, ყოველი ჩვილი ბავშვი იბადება წინასწარი დისპოზიციით აღიქვას და ირეაგიროს დედაზე. ინდივიდუალურად შექმნილი ცოდნა დედისა არის თანდაყოლილი შესაძლებლობის განხორციელება, რომელიც რასის წარსული გამოცდილებით „ჩაშენებულია“ ადამიანის ტვინში. როგორც ადამიანი იბადება უნართა დაინახოს სამყარო სამ განზომილებაში და ანვითარებს ამ უნარს გამოცდილებით და ვარჯიშით, ასევე, ადამიანი იბადება აზროვნების, გრძნობის, აღქმის გარკვეული ნიმუშებით და შინაარსებით, რომელიც აქტუალიზირდება ინდივიდუალური გამოცდილებით. იუნგის აზრით ადამიანს აქვს წინასწარი დისპოზიცია, ეშინოდეს სიბუნელისა ან გველისა, რადგან შეიძლება დავუშვათ, რომ კაცობრიობის გარეუბრეაზე ადამიანი უამრავ ფათერაქებს ხედებოდა სიბუნელში — ან ხდებოდა გველის შხამის მსხვერპლი. ეს ლატენტური შიში არასოდეს არ გამოვლინდება თანამედროვე ადამიანში, თუ ის არ განმტკიცდება ინდივიდუალური გამოცდილებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ტენდენცია არსებობს და ის ინდივიდს უფრო მგრძობიარეს ხდის ასეთი გამოცდილების მიმართ. ასევე, იუნგის აზრით ზოგიერთი იდეა უფრო ადვილად ყალიბდება ინდივიდის ცნობიერებაში, რადგან მისი დისპოზიცია ძლიერადაა ჩაბეჭდილი ტვინში და საკმარისია ინდივიდუალურ გამოცდილებაში ძალიან მცირე განმამტკიცებელი, რომ მისი რეალიზაცია მოხდეს.

იუნგის აზრით, კოლექტიური არაცნობიერი არის პიროვნების მემკვიდრეობითი სტრუქტურა. მასზეა დაშენებული ეგო, პიროვნული არაცნობიერი და სხვა ინდივიდუალური შენაძენები. რასაც ინდივიდი სწავლობს, — როგორც გამოცდილების შედეგი, განიცდის კოლექტიური არაცნობიერის გავლენას. ეს უკანასკნელი წარმმართველ ან სელექციურ გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე. ამრიგად, თეორიის მიხედვით, სამყაროს ფორმა, რომელშიც ინდივიდი იბადება, უკვე დაბადებიდან მოცემულია მასში როგორც კოლექტიური არაცნობიერი. ეს კოლექტიური არაცნობიერი კონკრეტული პერსონაჟია ან იდეა ხდება თავისთავის, სამყაროს იმ საგნებთან იდენტიფიკაციით, რომლებიც შეესატყვისება კოლექტიურ არაცნობიერს. თუმცა, იუნგი მიუთითებს იმაზეც, რომ ინდივიდის მიერ სამყაროს განცდა არ არის მთლად განპირობებული კოლექტიური არაცნობიერით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნებოდა განვითარება.

ე. ი. პიროვნების სტრუქტურაში ერთის მხრივ დაშვებულია კოლექტიური არაცნობიერი, როგორც საუკუნეების სიბრძნე და გამოცდილება, ხოლო, მეორეს მხრივ, დაშვებულია ეგო, რომელიც მეტნაკლებად ახდენს ამ დალექტიური არაცნობიერი სიბრძნის იგნორირებას. თუ არაცნობიერი მთლიანად დაეუფლება ეგოს რაციონალურ პროცესებს, შედეგად ვიღებთ პათოლოგიურ გადახრებს.

არქეტიპები წარმოადგენს კოლექტიური არაცნობიერის სტრუქტურულ კომპონენტებს. იუნგის აზრით, არქეტიპი არის აზროვნების უნივერსალური ფორმა, რომელიც შეიცავს ემოციის ელემენტსაც. აზროვნების ფორმა (იდეა) ქმნის ხატს, რომელიც ნორმალურ ცხოვრებაში ცნობიერი სიტუაციის გარკვეულ ასპექტს შეესატყვისება. მაგ., როგორც იუნგი მიუთითებს, დედის არქეტიპი ქმნის დედის ხატს, რომელიც შემდგომში იდენტიფიცირდება ფაქტიურ დედასთან. ე. ი. ბავშვი, მემკვიდრეობით იღებს დედის კონცეპციას, რომელიც ნაწილობრივ განსაზღვრავს, თუ როგორ აღიქვამს ბავშვი თავის დედას.



ბავშვის მიერ დედის აღქმაზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, დედის ფაქტიური ბუნება და დედის მიმართ ბავშვის გამოცდილება. ამრიგად, ბავშვის განვითარება არის წინასწარი დისპოზიციის (გარკვეული მანერით აღიქვას სამყარო) და სამყაროს ფაქტიური ბუნების ერთიანობის შედეგი. ეს ორი დეტერმინანტი მოქმედებს ერთად, შეთანხმებულად, რადგან არქეტიპი თვითონ არის სამყაროს მიმართ კაცობრიობის გამოცდილების შედეგი. სხვანაირად რომ ვთქვათ, დედის ბუნება კაცობრიობის ისტორიის მანძილზე თითქმის უცვლელი რჩება, ასე რომ დედის არქეტიპი, რომელსაც ბავშვი იღებს მემკვიდრეობით, არ ეწინააღმდეგება ფაქტიური დედის ბუნებას რომელთანაც ბავშვი ამყარებს ურთიერთობას.


იუნგის აზრით, არქეტიპი არის სამყაროში მუდმივად განმეორებადი მოვლენების შთამომავლობითი გამოცდილების დებოზიტი ფსიქიკაში. მაგ., ადამიანთა ურიცხვი შთამომავლობა ხედავდა მზეს. ამ გამოცდილების გამეორება ფიქსირდება არაცნობიერში როგორც არქეტიპი — მზე-ღმერთი, უძლველი, გაბატონებული, სინათლის მომცემი და ა. შ. იუნგის აზრით, გარკვეული კონცეფციები და ხატები უმაღლესი ღვთაების შესახებ არის სწორედ არქეტიპის განშტოება. ან კიდევ, თავისი არსებობის გარკვეულ მანძილზე კაცობრიობა განიცდიდა ბუნების ისეთი მოვლენების გავლენას, როგორცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი, ტყის ხანძარი და სხვა. ამ გამოცდილებიდან განვითარდა ენერჯის არქეტიპი. აღიქვა და მოჯადოებული იყო ამ ძალებით, და სურვილი — შექმნა და კონტროლი გაუწიო მას. იუნგის აზრით, ბავშვის აღფრთოვანებას ფეიერვერკზე, ახალგაზრდობის გატაცებას „სწრაფ-მავალი“ მანქანებით და მოზრდილების დაუძლველ ინტერესს—განტვირთონ ატომში დაგროვილი ენერჯია, საფუძვლად უძევს ენერჯის არქეტიპი. ენერჯის არქეტიპს ტენდენცია აქვს ყოველ ახალ თაობაში შექმნას გამოცდილების გამეორება, რითაც იუნგის აზრით აიხსნება, კაცობრიობის მიერ ახალი ენერჯის მუდმივი ძიება.

იუნგი ფიქრობს, რომ არქეტებები ყოველთვის არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებულნი. ისინი ხშირად იჭრებიან ერთმანეთში. მაგ., გმირის და ბრძენ-კაცის არქეტებების ერთმანეთთან შერწყმა იძლევა „ფილოსოფოსი მეფის“ კონცეფციას. ზოგჯერ ხდება დემონისა და გმირის არქეტებების შერწყმა (მაგ., სატანური ლიდერი).

არქეტებმა მასთან ასოცირებული გაცდებით, ზოგჯერ შეიძლება შეაღწიოს ცნობიერებაში. მითები, სიზმარი, რიტუალები, ნევროტული და ფსიქო-ზური სიმპტომები, ხელოვნების ნიმუშები, იუნგის აზრით, დიდი რაოდენობის არქეტებულ მასალას შეიცავს. საერთოდ, თეორიაში დაშვებულია, რომ არსებობს მრავალი არქეტები და იუნგი მათ შორის ჩამოთვლის შემდეგს: დაბადება, სიკვდილი, ძალა, მაგია, მთლიანობა, გმირი, ბავშვი, დედა, ღმერთი, დემონი, ბრძენ-კაცი, მიწა-მშობელი, ცხოველი და ა. შ.

პერსონა არის ნიღაბი, რომელსაც ატარებს ინდივიდი სოციალური ტრადიციების მოთხოვნების პასუხად. ესაა როლი, რომელიც მას მიეწერება საზოგადოებაში. ნიღბის მიზანია, გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინოს სხვებზე, და რაც ხშირად (თუმცა ეს აუცილებელი არაა) ფარავს ინდივიდის ნამდვილ ბუნებას. პერსონა არის ინდივიდის ის ასპექტი, რომელსაც ის სამყაროში თამაშობს, ან რომელსაც ხალხის აზრი მიაწერს მას.

თუ ეგო იდენტიფიცირებულია პერსონასთან, რაც ხშირად ხდება, ინდი-



ვიდი უფრო აცნობიერებს იმ როლს, რომელსაც ეს (ეგო) თამაშობს და არა თავის ნამდვილ გრძნობებს. ასეთ შემთხვევაში ინდივიდი თავისთავისაგან განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობს და კარგავს ავტონომიურობას. ის იქცევა იმად, რასაც მასში სხვა ხედავს.

ბირთვი, რომლიდანაც პერსონა ვითარდება, არის არქეტიპი, რომელიც მსგავსად ყველა სხვა არქეტიპებისა, საწყისს იღებს რასის გამოცდილებიდან. ამ შემთხვევაში გამოცდილება შეიცავს სოციალურ ურთიერთქმედებას, რომელშიც სოციალური როლის დაშვება ადამიანისათვის სასარგებლო მიზანს ემსახურება.


Anima და Animus. იუნგი ემყარება მოსაზრებას ადამიანის ბიექსულური ბუნების შესახებ, და ამ საკითხს ფსიქოლოგიურ დონეზე განიხილავს. იუნგი ეძებს ქალში კაცის პიროვნების და კაცში—ქალის პიროვნების არქეტიპებს. ქალურ არქეტიპს კაცში იგი anima-ს უწოდებს, ხოლო, მამაკაცის არქეტიპს ქალში კი animus-ს. თეორიაში ისინი განხილულია როგორც ქალის მამაკაცთან და მამაკაცის ქალთან ურთიერთობის რასის გამოცდილების შედეგი.

აღნიშნული პროტოტიპები მიზეზობრივად განსაზღვრავს არამარტო საწინააღმდეგო სქესის მახასიათებელი თვისებების გამოვლენას, არამედ, აგრეთვე მოქმედებს როგორც კოლექტიური წარმოდგენები, რომლებიც განაპირობებენ საწინააღმდეგო სქესის ვაგებას. მამაკაცი წვდება ქალის ბუნებას anima-ს საშუალებით, და ქალი წვდება მამაკაცის ბუნებას — animus-ის საშუალებით. ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ anima-მ და animus-მა შეიძლება მივიყვანოს მცდარ ვაგებამდე, და უთანხმოებამდე, თუ არქეტიპული ხატის პროექცია ხდება პარტნიორის რეალური ხასიათის მხედველობაში მიღების გარეშე. ე. ი. თუ მამაკაცი ქალის იდეალიზირებული ხატის იდენტიფიკაციას ცდილობს ქალთან, და მხედველობაში არ იღებს განსხვავებას იდეალურსა და რეალურს შორის. შედეგად მივიღებთ მწარე იმედგაცრუებას, როცა ის აღმოაჩენს, რომ იდეალური და რეალური იდენტური არ არის.

აჩრდილი (Shadow). აჩრდილის არქეტიპი შეიცავს ცხოველურ ინსტიქტებს, რომელსაც ადამიანი მემკვიდრეობით იღებს. თეორიის მიხედვით, აჩრდილი, როგორც არქეტიპი პასუხისმგებელია ადამიანის კონცეფციაზე პირველი ცოდვის შესახებ. როდესაც ის პროექტირებულია გარესამყაროზე, იქმნება ეშმაკის ხატი.

აჩრდილი განსაზღვრავს აგრეთვე, ცნობიერებასა და ქცევაში სოციალურად ვაკეცხული აზრის, გრძნობების და მოქმედებების გამოჩენას. ის შეიძლება შენიღბულ იქნას პერსონით ან რეპრესირებულ იქნას პიროვნულ არაცნობიერში.

სელფი (Self) იუნგის თეორიაში განხილული იყო როგორც ტოტალური პიროვნების (ფსიქეს) ექვივალენტური. შემდგომში, როცა მან ჩამოაყალიბა მოძღვრება არქეტიპების შესახებ, მიუთითა არქეტიპზე, რომელიც გამოხატავდა ადამიანის მთლიანობისაკენ მისწრაფებას. როგორც თვითონ აღნიშნავს, ეს არქეტიპი მყლავნდება მთელ რიგ სიმბოლოებში, რომელთაგან მთავარია man-dala (მაგიური წრე). ძირითადი ცნება ტოტალური მთლიანობის ფსიქოლოგიისა არის სელფი. იუნგის აზრით, ეს არის პიროვნების ცენტრი, რომლის ირგვლივ განლაგებულია ყველა სხვა სისტემა. სელფი ფლობს ყველა ამ სისტემას



და უზრუნველყოფს პიროვნების მთლიანობას, წონასწორობას და სტაბილურობას.

თეორიაში სელფი არის სიცოცხლის მიზანი, რომლის, თუნდაც მიახლოებით, მიღწევისაკენ მიისწრაფვის ინდივიდი. ყველა არქეტიპის მსგავსად, ის ამოტივირებს ადამიანის ქცევას და მიზეზობრივად განსაზღვრავს ექებოს მთლიანობა, თუნდაც იმ გზით, რომელიც უზრუნველყო რელიგიამ.

სელფის გამოვლენამდე აუცილებელია პიროვნების სხვა კომპონენტებმა მიაღწიონ თავიანთ სრულყოფას. ამდენად, სელფის არქეტიპი არ გამოვლინდება მანამ, სანამ ინდივიდი არ მიაღწევს საშუალო ასაკს. ამ მომენტისათვის პიროვნების ცენტრი ცნობიერი ეგოდან გადაინაცვლებს ახალი ცენტრისაკენ, სელფისაკენ.

ატიტუდები. იუნგი ანსხვავებს ორ მთავარ ატიტუდს ანუ პიროვნების ორიენტაციებს — ექსტრავერტულ და ინტრავერტულ ატიტუდებს [1]. ექსტრავერტული ატიტუდი ნიშნავს, რომ ინდივიდი ორიენტირებულია გარეგანი ობიექტური სამყაროსაკენ. ინტრავერტული კი ნიშნავს, რომ ინდივიდი ორიენტირებულია სუბიექტური სამყაროსაკენ.

იუნგის აზრით, ეს ურთიერთსაწინააღმდეგო ორიენტაციები ერთდროულადაა მოცემული პიროვნებაში, მაგრამ ჩვეულებრივ ერთ-ერთი მათგანი დომინირებს და ცნობიერია მაშინ, როცა მეორე დაქვემდებარებული და არაცნობიერია. თუ ეგო მის სამყაროსთან მიმართებაში უპირატესად ექსტრავერტულია, პიროვნული არაცნობიერი ინტრავერტული იქნება.

ფუნქციები. იუნგის აზრით, არსებობს ოთხი ფუნდამენტური ფსიქოლოგიური ფუნქცია: აზროვნება, გრძნობა, შეგრძნება და ინტუიცია. აზროვნება არის იდეაციური და ინტელექტუალური. აზროვნებით ადამიანი ცდილობს სწვდეს თავისთვისა და გარესამყაროს ბუნებას. გრძნობა არის ღირებულებითი ფუნქცია, ის არის საგნის ღირებულება სუბიექტთან მიმართებაში. ეს ფუნქცია აძლევს ადამიანს სიამოვნების, ბრახის, შიშის, სიხარულის და ა. შ. განცდას. შეგრძნების საშუალებით ადამიანი სწვდება სამყაროს კონკრეტულ ფაქტებს. ინტუიცია კი არის პერცეფცია არაცნობიერი პროცესების საშუალებით. ადამიანი ინტუიციის საშუალებით მიდის ფაქტების, გრძნობების, იდეების და რეალურობის შემუშავებული კონსტრუქტების მიღმა. ინტუიცია შესაძლებლობას იძლევა უშუალოდ ვწვდეთ რეალობის არსს.

იუნგი აზროვნებას და გრძნობას უწოდებს რაციონალურ ფუნქციას, რადგან ისინი მსჯელობით, აბსტრაქციით, განზოგადებით სამყაროს კანონზომიერებებში უფრო ღრმად ჩახედვის შესაძლებლობას იძლევა. შეგრძნება და ინტუიცია კი განხილულია როგორც ირაციონალური ფუნქციები, რადგან ისინი ემყარება კონკრეტულის, კერძოს და შემთხვევითის პერცეფციას.

მართალია, ინდივიდს გააჩნია ეს ოთხივე ფუნქცია, მაგრამ იუნგის აზრით ისინი აუცილებლად თანაბრად განვითარებული არაა. ჩვეულებრივ, ერთ-ერთი მათგანი კარგადაა დიფერენცირებული და სწორედ ის ხდება გაბატონებული ცნობიერებაში. ამ დროს, დანარჩენი სამიდან ერთ-ერთი გაბატონებული ფუნქციის დამხმარეს როლს ასრულებს. თუ გაბატონებულ ფუნქციაში რაიმე შეფერხება მოხდება, ცნობიერებაში მის ადგილს ეს დამხმარე ფუნქცია იკავებს. დანარჩენი ორი ფუნქცია კი ამ დროს დაქვემდებარებული ხდება. ისინი ჩვეულებრივ რეპრესირებულია არაცნობიერში და თავს მხოლოდ სიზმრებსა და ფანტაზიაში თუ გამოავლენენ.



თუ ეს ოთხი ფუნქცია ერთმანეთისაგან თანაბარ მანძილზე მდებარეობს და თანაც წრეხაზზეა განლაგებული, მაშინ წრის ცენტრი, ე. ი. სელფი გამოხატავს სრულყოფილად დიფერენცირებულ ფუნქციას. ასეთ სინთეზში უკვე არ არსებობს გაბატონებული, დაქვემდებარებული და დამხმარე ფუნქციები. ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა სელფი სრულყოფილადაა აქტუალიზირებული, რაც პრაქტიკულად განუხორციელებელია. ის მხოლოდ იდეალური მიზანია, რომლისკენაც მიისწრაფვის პიროვნება.

პიროვნების სისტემებს შორის ურთიერთქმედება. ტოტალური პიროვნების განსხვავებული სისტემები, ატიტუდები, ფუნქციები — ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ სამი განსხვავებული გზით: ერთ სისტემას შეუძლია მეორის კომპენსაცია, როცა ის დასუსტებულია, ერთი სისტემა შეიძლება მეორესთან ოპოზიციასში იყოს, და, ორი, ან მეტი სისტემა შეიძლება ერთიანობაში იყოს და შექმნას გარკვეული სინთეზი.


კომპენსაციის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ექსტრავერსია — ინტრავერსიის ურთიერთობა. თუ ეგოში დომინირებს ექსტრავერსია, მაშინ არაცნობიერში ჩამოყალიბებული იქნება ინტრავერტული ატიტუდები. ეს ნიშნავს, რომ თუ რაღაც პირობებით მოხდება ექსტრავერსიის ფრუსტრაცია, პიროვნებას დაეუფლება ინტრავერსია. ე. ი. განხორციელდება კომპენსაცია. საერთოდ, იუნგის აზრით, ინტენსიურ ექსტრავერტულ პერიოდს მოყვება ინტენსიური ინტრავერტული პერიოდი. სიზმარიც, იუნგის აზრით, წარმოადგენს კომპენსაციის მექანიზმს. ექსტრავერტულობა-დომინირებული ინდივიდის სიზმარს ინტრავერსული თვისება ექნება და პირიქით.

კომპენსაცია ხორციელდება აგრეთვე ფუნქციებსა და პიროვნების კომპონენტებს შორის. საერთოდ, ცნობიერების მთელი შინაარსი კომპენსირდება არაცნობიერის შინაარსით, ისე, რომ კომპენსაციის პრინციპი უზრუნველყოფს კონტრასტულ ელემენტებს შორის ბალანსს, რომლითაც ინდივიდი თავს იცავს ნევროტული არაბალანსურობისაგან.

თეორიაში თავისებურადაა გადაწყვეტილი პიროვნების კომპონენტებს, ატიტუდებსა და ფუნქციებს შორის კონფლიქტი. იუნგი თვლის, რომ პიროვნების თეორია უნდა დაემყაროს ოპოზიციის ან კონფლიქტის პრინციპს. მისი აზრით, დაძაბულობა, რომელსაც კონფლიქტური ელემენტები ქმნის, არსებითია სიცოცხლისათვის. ამ დაძაბულობის გარეშე არ იქნებოდა პიროვნება.

ოპოზიცია არსებობს პიროვნების ყველა რეგიონში: ეგოსა და აჩრდილს შორის, ეგოსა და პიროვნულ არაცნობიერს შორის, პერსონასა და anima-ს ან animus-ს შორის, კოლექტიურ არაცნობიერსა და ეგოს შორის, და ა. შ. ინტრავერსია წინააღმდეგობაშია ექსტრავერსიასთან, აზროვნება-გრძნობასთან, შეგრძნება-ინტუიციასთან. საინტერესოა თეორიაში გააზრებული ეგოს ბუნება. ეგო დახტის საზოგადოების გარეგან მოთხოვნასა და კოლექტიური არაცნობიერის შინაგან მოთხოვნას შორის. როგორც შედეგი ამ ხტუნვისა, ვითარდება პერსონა (ნიღაბი). შემდეგ პერსონა აღმოაჩენს, რომ ვანიცდის არაცნობიერის სხვა არქეტიპების შემოტევას. მაგ., anima დაეუფლება მამაკაცის მამაკაცურ ბუნებას და animus-ი ჩაერევა ქალის ქალურობაში. ერთი სიტყვით, მეტოქეობა რაციონალურ და ირაციონალურ ძალებს შორის არასოდეს არ ცხრება. კონფლიქტი არის სიცოცხლის ბაზისური ფაქტი.

იუნგი თვლის, რომ პიროვნებაში არ არის გაბატონებული მხოლოდ კონფლიქტი. მისი აზრით, პოლარული ელემენტები არა მარტო ოპოზიციასში არიან



ერთმანეთთან, არამედ, ისინი მისწრაფვიან, ანუ ეძებენ ერთმანეთს, რათა ერთმანეთს შეეხებოდნენ. სისტემის შორის კავშირი ხორციელდება ე. წ. ტრანსცენდენტალურ ფუნქციით. ამ ფუნქციის მოქმედების შედეგად ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემების სინთეზი მიიღება, რაც ქმნის ბალანსირებულ-ინტეგრირებულ პიროვნებას. ინტეგრირებული პიროვნების ცენტრი კი არის სელფი.

პიროვნების დინამიკა

იუნგი პიროვნებას განიხილავს როგორც ენერჯის ნაწილობრივ დახურულ სისტემას. მისი აზრით, სისტემა ნაწილობრივ დახურულია იმიტომ, რომ მას ენერჯია ემატება გარეგანი წარმოებიდანაც. მაგ., საკვების მიღებით, ხოლო ენერჯია აკლდება ფიზიკური დატვირთვის შედეგად. ე. ი. სისტემა ენერჯიას ნაწილობრივ ვასცემს და ნაწილობრივ იძენს კიდევ. გარდა ამისა, გარემოსეულ სტიმულებს შეუძლია გამოიწვიოს სისტემაში ენერჯიის განაწილების შეცვლა. ეს ხდება მაგ., როდესაც გარეგანი სამყაროს უეცარი ცვლილება იწვევს ჩვენი ყურადღებისა და პერცეფციის რეორიენტაციას.

ის ფაქტი, რომ პიროვნების დინამიკა გარეგანი სტიმულების გავლენას და მოდიფიკაციას განიცდის, ნიშნავს, რომ პიროვნებას არ შეუძლია სრულყოფილ სტაბილურ მდგომარეობას მიაღწიოს. ამიტომ, იუნგის აზრით, პიროვნება შეიძლება გახდეს მხოლოდ შეფარდებით სტაბილური.

ფსიქიკური ენერჯია. ენერჯიას, რომლის საშუალებითაც მოქმედება ხორციელდება, იუნგი უწოდებს ფსიქიკურს. მისი აზრით, ფსიქიკური ენერჯია არის სასიცოცხლო ენერჯიის მანიფესტაცია. ფსიქიკური ენერჯია, ისევე როგორც ვიტალური ენერჯია, საწყისს იღებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებიდან. იუნგი სასიცოცხლო ენერჯიას უწოდებს ლიბიდოს. თუმცა იგივე ცნებაა გამოყენებული მის თეორიაში ფსიქიკური ენერჯიის მიმართაც. უნდა აღინიშნოს, რომ თეორიაში ნათლად არ არის მოცემული ამ ორი ენერჯიის ურთიერთობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იუნგის მიერ დახასიათებული ფსიქიკური ენერჯია უფრო ჰიპოთეტური კონსტრუქციაა, ვიდრე სუბსტანციური ფენომენი. ამიტომ დინამიკური ცნებებიდან იუნგის თეორიაში უფრო მნიშვნელოვანია ფსიქიკური ღირებულებებისა და კომპლექსის მათგან იხებელი ძალის ცნებები.

ფსიქიკური ენერჯიის ოდენობას, რომელიც მოთავსებულია პიროვნების კომპონენტებში, იუნგი უწოდებს კომპონენტის ღირებულებას. შეიძლება ითქვას, რომ ღირებულება წარმოადგენს ინტენსიობის საზომს. როდესაც ვამბობთ გარკვეული იდეის ან გრძნობის ღირებულების შესახებ, იუნგის აზრით, ჩვენ ვგულისხმობთ იმას, თუ რამდენად ძაბავს ეს იდეა ან გრძნობა ძალას — ქცევის აღძვრისა და მიმართულების მისაცემად. შესაბამისად, თუ მოვლენას ექნება ტრივიალური ღირებულება, ნიშნავს, რომ ნაკლები ენერჯია მიიზიდება მისკენ. ამასთან, მითითებულია, რომ შეუძლებელია იდეის ან გრძნობის აბსოლუტური ღირებულების დადგენა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შეფარდებით განვსაზღვროთ მისი ღირებულება. შეფარდებითი ღირებულების განსაზღვრის ყველაზე მარტივ გზას წარმოადგენს ინდივიდის გამოკითხვა, ორი მოვლენიდან ან საგნიდან რომელს აძლევს უპირატესობას. შეფარდებითი ღირებულების დადგენა შეიძლება აგრეთვე, ექსპერიმენტულ სიტუაციაში. როცა ინდი-



ვიდი გარკვეულ სამუშაოს ასრულებს განსხვავებული ჯილდოს მოლოდინში შეფარდებითი ღირებულების დადგენა შეიძლება, აგრეთვე, ინდივიდუალური ვირვებით დროის გარკვეულ მონაკვეთში, თუ აღმოჩნდება, რომ ის ამ პერიოდში მეტ დროს ხარჯავს წიგნის კითხვაში, ვიდრე აზარტულ თამაშში, შეიძლება დავუშვათ, რომ კითხვა უფრო ღირებულაა მისთვის, ვიდრე აზარტული თამაში.


შეფარდებითი ღირებულების განსაზღვრის ზემოთმოცემული პროცედურები არაფერს გვეუბნება არაცნობიერ ღირებულებებზე. ამ უკანასკნელის განსაზღვრა, იუნგის აზრით, შეიძლება კომპლექსის ბირთვის მიზიდულობის ძალის შეფასებით. კომპლექსის მიზიდულობის ძალა კი განისაზღვრება იმ ელემენტების რაოდენობით, რომლებსაც მიიზიდავს ბირთვი. მაგ., თუ ინდივიდს აქვს ძლიერი პატრიოტული კომპლექსი, ეს ნიშნავს, რომ სამშობლოს სიყვარული თავის ირგვლივ შექმნის განცდების თანავარსკვლავედს. ერთი ასეთი თანავარსკვლავედი შეიძლება იყოს ერის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები. მეორე — პატრიოტული გრძნობა ეროვნული გმირობის მიმართ და ა. შ.

კომპლექსის ბირთვის ძალის განსაზღვრავად იუნგი გვთავაზობს სამ მეთოდს: 1. უშუალო დაკვირვება პლუს ანალიზური დედუქცია. 2. კომპლექსის ინდიკატორების კვლევა და 3. ემოციონალური გამოხატულების ინტენსიობა.

უშუალო დაკვირვებით და ანალიზური დედუქციით შეიძლება იმ ასოციაციების რაოდენობის დადგენა და შეფასება, რომლებიც მიიზიდება ბირთვისაკენ. ინდივიდს, რომელსაც აქვს დედის ძლიერი კომპლექსი, ექნება ტენდენცია, ყოველ საუბარში ჩართოს დედა ან მასთან ასოცირებული მოვლენები — სიტუაციის შესატყვისობის მიუხედავად. ის უპირატესობას მისცემს მოვლენებს, ამბავს და ა. შ., რომელშიც დედა თამაშობს გარკვეულ როლს. მას ექნება ტენდენცია, უფრო მეტად დედის ქცევის იმიტაცია მოახდინოს, უპირატესობა მისცეს დედის ამხანაგებს, მის კოლეგებს, ამასთან, ეს ტენდენციები შეიძლება უშუალოდ არ გამოვლინდეს. ხშირად ის გამოვლინდება სიზმარში, ან ამა თუ იმ შენიღბული ფორმით, ისე, რომ აუცილებელი ხდება გარემოსეული მოვლენების ანალიზი, რათა აღმოვაჩინოთ განცდის საფუძვლადმდებარე მნიშვნელობა. სწორედ ამას გულისხმობს იუნგი ანალიტიკურ დედუქციაში.

კომპლექსის ინდიკატორი არის ქცევის ამა თუ იმ სახის დარღვევა, რაც მიუთითებს კომპლექსის არსებობაზე. ეს შეიძლება იყოს შეცდომა მეტყველებაში, მაგ., როდესაც ინდივიდს უნდოდა ეთქვა „ცოლი“ და ამბობს „დედა“. ეს შეიძლება იყოს შეფერხება რომელიმე სახელის გახსენებაში იმიტომ, რომ იგი დედის სახელს ან დედასთან ასოცირებულ რომელიმე მოვლენას ემსგავსება. კომპლექსის ინდიკატორები, აგრეთვე, ვლანდებიან სიტყვათა ასოციაციის ტესტებში.

კომპლექსის ბირთვის ძალის განსაზღვრა, იუნგის აზრით, შეიძლება, აგრეთვე, სიტუაციაზე ინდივიდის ემოციონალური რეაქციის ინტენსიობის გაზომვით. ემოციონალური რეაქციის ინტენსიობა კი შეიძლება გაიზომოს კომბინირებული ფიზიოლოგიური მეთოდებით, როგორცაა გულისცემის, სუნთქვის, კანის გალვანური რეაქციის გაზომვები და ა. შ.



იუნგი თავის ფსიქო-დინამიკურ თვალსაზრისს აფუძნებს ორ ფუნდამენტალურ პრინციპზე: ექვივალენტობის პრინციპსა და ენტროპიაზე.


ექვივალენტობის პრინციპი ემსგავსება თერმოდინამიკის პირველ კანონს ან ენერჯიის შენახვის პრინციპს, როგორც ამას ვარაუდობდა ჰელმჰოლცი. იუნგის აზრით თუ ღირებულება გაქრება ან შესუსტდება, ენერჯიის ჯამი არ უნდა შემცირდეს, ის უნდა გამოვლინდეს სხვა ღირებულებაში. ერთი ღირებულების დადაბლება იწვევს მეორის ამაღლებას. მაგ., როცა ბავშვის ინტერესი (შეფასება) მისი მშობლების მიმართ მცირდება, უნდა მოველოდეთ, რომ გაიზარდა მისი ინტერესი სხვა ადამიანების ან საგნების მიმართ. ადამიანმა თუ დაკარგა ინტერესი თავისი ჰობის მიმართ, უნდა სხვა მოვლენის მიმართ გამოიჩინოს დაინტერესება, რომელიც პირველის ადგილს დაიკავებს. თუ ღირებულება რეპრესირებულია, მისი ენერჯია შეიძლება გამოვლინდეს სიზმარში ან ფანტაზიაში. ერთი ღირებულებისათვის დაკარგული ენერჯია შეიძლება განაწილდეს სხვა რამოდენიმე ღირებულებაშიც.

ტოტალური პიროვნების ფუნქციონების თვალსაზრისით, ექვივალენტობის პრინციპი ნიშნავს, რომ თუ ენერჯია დააკლდება პიროვნების ერთ რომელიმე სისტემას, მან გადაინაცვლა რომელიმე სხვა სისტემაში. მაგ., თუ ენერჯია აკლდება ეგოს, შეიძლება მან გადაინაცვლოს პერსონაში, ან ცნობიერი ეგოს დაცლა ენერჯიიდან გამოიწვევს ენერჯიის დაგროვებას არაცნობიერში. ენერჯიის ეს მუდმივი გადაწევა ქმნის პიროვნების დინამიკას.

იუნგის აზრით, ენერჯიის შენახვის პრინციპი არ შეიძლება ზუსტი მნიშვნელობით იქნას გამოყენებული ისეთი სისტემის მიმართ, როგორიცაა ტოტალური პიროვნება, რადგან პიროვნება განხილულია როგორც ნახევრად დახურული სისტემა. როგორც აღვნიშნეთ, იუნგის აზრით, პიროვნებას ენერჯია ემატება ან აკლდება გარემოსთან ურთიერთობის პროცესში. შესაბამისად, ღირებულების ზრდა ან დაქვეითება შეიძლება იყოს არა მარტო ენერჯიის ერთი კომპონენტიდან მეორეში გადასვლის შედეგი, არამედ, ენერჯიის დამატება-შემცირების, გარემოსთან ურთიერთობის შედეგი. მაგ., გარკვეული ფიზიკური მუშაობის შემდეგ, პიროვნებას შეიძლება დააკლდეს ენერჯია, ან პიროვნებაში შეიძლება გაიზარდოს ენერჯია საკვების მიღებით და დასვენებით.

ენტროპიის პრინციპი ემსგავსება თერმოდინამიკის მეორე კანონს. თუ სხვადასხვა ტემპერატურის ორი სხეული კონტაქტშია, სითბო ცხელიდან ცივში გადადის, სანამ არ მოხდება სითბოს გატოლება.

ენტროპიის ეს პრინციპი, რომლითაც იუნგი ცდილობს აღწეროს პიროვნების დინამიკა, მიუთითებს, რომ პიროვნებაში ენერჯიის განაწილება ბალანსურ მდგომარეობისაკენ მიისწრაფის. მაგ., თუ ორი ღირებულება არათანაბარი სიძლიერისაა, ენერჯიას ტენდენცია ექნება ძლიერი ღირებულებიდან გადავიდეს სუსტი ღირებულებისაკენ, სანამ არ დამყარდება ბალანსი. რადგან პიროვნება არ არის დახურული სისტემა, ენერჯიის დამატებით ან შემცირებით ბალანსი ხშირად ირღვევა. იუნგის აზრით პერმანენტული ბალანსი არასოდეს არ მიიღწევა, ესაა იდეალური მდგომარეობა, რომლისკენაც მიისწრაფვის ენერჯიის დანაწილება. იდეალური მდგომარეობა, რომელშიაც ტოტალური ენერჯია თანაბრადაა განაწილებული განსხვავებულ სრულყოფილ სისტემებს შორის, არის **სელფი**. შესაბამისად, როცა იუნგი ამტკიცებს, რომ სელფაქტუალიზაცია წარმოადგენს ფსიქიკურის განვითარების საბოლოო მიზანსო, გულისხმობს პიროვნების დინამიკას ძალების სრულყოფილი წონასწორობისაკენ.



ენერჯის დინება მაღალი პოტენციონალური ცენტრიდან დაბალი პოტენციონალური ცენტრისაკენ, არის პიროვნების სისტემებს შორის ენერჯის განაწილების ფუნდამენტალური პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ სუსტი სისტემა ცდილობს გააუმჯობესოს თავისი სტატუსი ძლიერი სისტემის ხარჯზე და ამით ქმნის დაძაბულობას. თუ მაგ., ცნობიერ ეგოს აქვს უფრო მაღალი სტატუსი არაცნობიერთან შედარებით, ენერჯის ცნობიერებიდან არაცნობიერ სისტემაში გადასვლის მცდელობისას წარმოიშობა ძლიერი დაძაბულობა. ე. ი. დაძაბულობა წარმოიშობა ყოველთვის, როცა რომელიმე სისტემაში სხვასთან შედარებით დაგროვდება ენერჯის ჭარბი რაოდენობა. ამრიგად, იუნგის ფსიქოლოგიის ზოგადი კანონია: პიროვნების ყოველი ცალმხრივი განვითარება ქმნის კონფლიქტს, დაძაბულობას, მისწრაფებას. ხოლო, პიროვნების მთელი კონსტიტუციის თანაბარი განვითარება ქმნის ჰარმონიას, დაძაბულობის მოხსნას.

ფსიქიკური ენერჯია, რომელიც ხელმისაწვდომია პიროვნებისათვის, გამოიყენება ორი ზოგადი მიზნისათვის. ნაწილი ენერჯიისა იხარჯება იმ აქტიობის განსახორციელებლად, რომელიც საჭიროა სიცოცხლის შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის. ესაა თანდაყოლილი, ინსტინქტური ფუნქცია. ენერჯიის დანარჩენი ნაწილი შეიძლება გამოყენებული იქნას კულტურული და სპირიტუალიზაციის მიზნებისათვის. იუნგის აზრით, ეს აქტიობები ქმნის ცხოვრების უფრო მაღალ, განვითარებულ მიზნებს. რაც უფრო ეფექტურია ინდივიდი თავისი ბიოლოგიურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, მით უფრო მეტი ენერჯია რჩება კულტურულ-სპირიტუალური მიზნებისათვის.

პიროვნების განვითარება

იუნგი თვლის, რომ ადამიანი პროგრესულად განვითარებადი არსებაა, რომელიც მიისწრაფვის სრულყოფილობისაკენ. ასეთივე ტენდენციებით განიხილავს იუნგი საერთოდ კაცობრიობას. დგება საკითხი: რა არის კაცობრიობის განვითარების მიზანი? საით მიისწრაფვის ადამიანი და კაცობრიობა? იუნგის თეორიაში განვითარების საბოლოო მიზანი შეჯამებულია ს ე ლ ფ ა ქ ტ უ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს ცნებით. სელფაქტუალიზაცია ნიშნავს სრულყოფილ დიფერენციას და პიროვნების ყველა ასპექტს შორის ჰარმონიულ კავშირს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტოტალურ პიროვნებაში ჩამოყალიბებულია ახალი ცენტრი ს ე ლ ფ ი, რომელიც იკავებს ყოფილი ცენტრის ეგოს ადგილს. ყოველი ევოლუცია, რომელიც ვლინდება ფსიქიკურ განვითარებაში, პრიმიტიული ორგანიზმიდან ადამიანამდე, არის პროგრესის ზეიმი. ადამიანის ჩამოყალიბებით არ ჩერდება პროგრესი. ადამიანის ცივილიზაცია ც წინ მიდის.

საერთოდ, მოვლენის ახსნა მიზნით, ტელეოლოგიური და ფინალისტურია. ტელეოლოგიაში აწმყოს ხსნის მომავლით, მაგრამ აწმყო შეიძლება, აგრეთვე, ავსხნათ წარსულით — ე. წ. კაუზალობის პრინციპით, რომელიც გულისხმობს, რომ აწმყოს მოვლენები არის წინმსწრები პირობების ან მიზეზების შედეგი. იუნგი თვლის, რომ თუ გვსურს, სრულყოფილად გავივით პიროვნება, ფსიქოლოგიაში აუცილებელია ორივე თვალსაზრისი. მისი აზრით, ის, რასაც პროგნოზი აწმყოში წარმოადგენს, დეტერმინირებულია არა მარტო წარსულით, არამედ — მომავლითაც. იუნგს მიაჩნია, რომ კაუზალობა და ტელეოლოგია არის



უბრალოდ აზროვნების მოდა, რომელსაც იყენებს მეცნიერი, რათა გააფხვან და მოაწესრიგოს ბუნებრივი ფენომენი.


განვითარების საფეხურები. იუნგი არ იძლევა პიროვნების განვითარების საფეხურების დეტალურ სპეციფიკაციას. მისი აზრით ლიბიდო ძალიან ადრეულ პერიოდში უკვე იწყებს აქტიობას. 5 წლის ასაკიდან იგი სექსუალურ ღირებულებებში იწყებს გამოვლენას და განვითარების უმადლეს საფეხურს მოზრდილობაში აღწევს. ახალგაზრდობის და ადრეული მოზრდილობის წლებში, დამინირებულია ბაზისური სასიცოცხლო ინსტინქტები და ვიტალური პროცესები. ახალგაზრდა ადამიანი არის ენერგეტიკული, ძლიერი, იმპულსური და ჭერ კიდევ დიდადაა დამოკიდებული სხვაზე. ესაა პერიოდი, როდესაც ინდივიდი იძენს პროფესიას, ქმნის ოჯახს, ამტკიცებს თავისთავს საზოგადოებაში.

იუნგის აზრით ინდივიდის განვითარებაში რადიკალური ცვლილებები ხდება 30 წლის ასაკში. ამ დროს ახალგაზრდული ინტერესები და მისწრაფებები კარგავს თავის ღირებულებას და მათ ადვილს ახალი, უფრო კულტურული და ნაკლებ ბიოლოგიური ღირებულებები იკავებს. ფიზიკური და მენტალური ძალის ადვილს სიბრძნე და გამჭირაობა იკავებს. ღირებულებები სოციალურ, სამოქალაქო, ფილოსოფიურ სიმბოლოებს ექვემდებარება. ინდივიდის განვითარების ეს პერიოდი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ენერჯის ტრანსფორმაცია არასწორად თუ წარიმართა, პიროვნება შეიძლება დამახინჯდეს. არსებობს საშიშროება, ადრინდელი ინსტინქტური ენერჯია მოლიანად არ გარდაიქმნას კულტურულ და სპირიტუალურ ღირებულებებში. ასეთ შემთხვევაში დარჩენილი თავისუფალი ენერჯია გამოიწვევს პიროვნების წონასწორობის დარღვევას.

განვითარების პროცესში იუნგის აზრით შეიძლება განხორციელდეს როგორც პროგრესი ისე რეგრესი. პროგრესში იუნგი გულისხმობს, რომ ცნობიერი ეგო დამაკმაყოფილებლად ეგუება როგორც გარემოსეულ, ისე არაცნობიერისეულ მოთხოვნებს. პროგრესის ნორმალურ მსვლელობაში ეს ოპოზიციური ძალები ინტეგრირებულია, და ფსიქიკურ პროცესებს შორის ჰარმონიაა დამყარებული.

როდესაც პროგრესი ბლოკირებულია გარემოსეული მაფრუსტრირებელი პირობებით, ლიბიდოს ხელი ეშლება, ჩართული იყოს ექსტრავერტულ, გარემოზე ორიენტირებულ ღირებულებებში. ყოველივე ეს იწვევს ლიბიდოს რეგრესიას არაცნობიერში და მის ჩართვას ინტრავერტულ ღირებულებებში. ამასთან, იუნგის აზრით რეგრესია ყოველთვის არ არის საბედისწერო პიროვნებისათვის, რადგან არაცნობიერი წარმოადგენს ინდივიდუალურ და რასის გამოცდილებას, სიბრძნეს, — ეგომ არაცნობიერში შეიძლება იპოვოს პრობლემის გადაწყვეტა. იუნგი ფიქრობს, რომ კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია ამ შემთხვევაში სიზმრის შინაარსებსაც. მისი აზრით, სიზმარი ფრუსტრაციის მაკომპენსირებელი გზის მანიშნებლის როლში შეიძლება გამოვიდეს.

განვითარებაში პროგრესიისა და რეგრესიის ურთიერთქმედების იუნგისეული სქემის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ შვილის დამოკიდებულება მშობლებთან. ვთქვათ, ახალგაზრდა, რომელმაც გაწყვიტა დამოკიდებულება მშობლებთან, ხვდება დაუძლეველ წინააღმდეგობას. იუნგის აზრით, ერთ-ერთი რეალური გზა წინააღმდეგობების დაძლევისა შეიძლება იყოს მობრუნება მშობლებისკენ რჩევისათვის. ახალგაზრდა შეიძლება არ მივიდეს მშობლებთან ფიზიკურად, მაგრამ მისმა ლიბიდომ მოახდინოს რეგრესია არაცნობიერში და




აქტიობაში მოიყვანოს მშობლების ხატი, (რომელიც არაცნობიერშია მოთავსებული). მშობლების ხატმა შეიძლება უზრუნველყოს ინდივიდი გაფრთხილებული ცოდნით და მხარდაჭერით, რომელიც საჭიროა მის წინ მდგარი წინააღმდეგობის დასაძლევად.

იუნგის თეორიაში ცენტრალურია ის, რომ პიროვნებას ტენდენცია აქვს განვითარდეს მტკიცე მთლიანობის მიმართულებით. ე. ი. განვითარება განხილულია როგორც თავდაპირველი არადიფერენცირებული მთლიანობის გახსნა, რომლის საბოლოო მიზანია სელფის რეალიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია პიროვნების განსხვავებული სისტემების სრულყოფილი და დიფერენცირებული განვითარება. თუ პიროვნების რომელიმე კომპონენტი უგულვებელყოფილია, ჩნდება ე. წ. წინააღმდეგობის ცენტრები. ისინი შეეცდებიან დაეუფლონ უფრო სრულყოფილად განვითარებული სისტემების ენერგიას. თუ ასეთი განუვითარებელი სისტემა ბევრია, ჩნდება ნევროზის განვითარების საშიშროება. ეს შეიძლება მოხდეს, როცა არქეტიპებს არა აქვთ ცნობიერი ეგოს მედიუმებით გამოხატვის უფლება. ასე, მაგ., მამაკაცი, რომელიც არ უზრუნველყოფს თავისი ქალური ინსტინქტების განტვირთვას, ან როცა ქალი ახშობს თავის მამაკაცურ მიდრეკილებებს, — ნორმალური განვითარება ირღვევა, რადგან ამ პირობებში ჩნდება ტენდენცია anima-მ და animus-მა ეძებონ ირაციონალური და არაპირდაპირი გზა თავისთავის გამოსახატავად. ჯანსაღი ინტეგრირებული პიროვნების ჩამოყალიბება ნიშნავს, რომ ყველა სისტემამ მიაღწია დიფერენციაციისა და განვითარების სრულყოფილ ხარისხს. პროცესს, რომლითაც ეს მიიღწევა, იუნგი უწოდებს ინდივიდუაციის პროცესს.

როდესაც დიფერენციაცია მიღწეულია, ინდივიდუაციის პროცესების მოქმედებით, ეს დიფერენცირებული სისტემები ინტეგრირდებიან ტრანსცენდენტალური ფუნქციით. ტრანსცენდენტალურ ფუნქციას აქვს უნარი გააერთიანოს განსხვავებული, ოპოზიციური ტენდენციები და განახორციელოს სრულყოფილი მთლიანობის იდეალური მიზანი.

ამ ფუნქციის მიზანია ინდივიდის რეალიზაცია ყველა მის ასპექტში, პოტენციონალური მთლიანობის რეალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსცენდენტალური ფუნქცია რეპრესიის საწინააღმდეგო ძალას წარმოადგენს. თუ ამ მაუნდიფიცირებელ მოძრაობას არ ექნება ადგილი ცნობიერ დონეზე, მაშინ, იუნგის აზრით, ის განხორციელდება არაცნობიერ დონეზე. მთლიანობის სურვილის არაცნობიერი გამოხატულება შეიძლება აღმოვაჩინოთ მითებში, სიზმრებში, და სხვა სიმბოლურ რეპრეზენტაციებში. ერთი ასეთი სიმბოლო, რომელიც ყოველთვის ვლინდება მითებში, სიზმარში, არქიტექტურასა და რელიგიონში, არის მანდალას სიმბოლო (mandala).

სუბლიმაცია და რეპრესია. იუნგის აზრით, ფსიქიკური ენერგია ხშირად იცვლის თავის ადგილს. ის შეიძლება გადატანილ იქნას როგორც სისტემიდან სისტემაში, ისე ერთიდაიგივე სისტემის რომელიმე პროცესიდან სხვა პროცესში. ასეთი ტრანსფორმაცია ხორციელდება ექვივალენტურობის და ენტროპიის დინამიკური პროცესების შესაბამისად. თუ ენერგიის ადგილგადანაცვლება ხორციელდება ინდივიდუაციის ან ტრანსცენდენტალური ფუნქციით, მას უწოდებს სუბლიმაციას. სუბლიმაცია ნიშნავს ინსტინქტური, ნაკლებად დიფერენცირებული, პრიმიტიული პროცესებიდან ენერგიის კულტურულ, დიფერენცირებულ პროცესებზე გადატანას.



როდესაც ენერჯის განტვირთვა ბლოკირებულია, სულერთია, ინსტინქტურ თუ სუბლიმირებულ არხებში, მიუთითებენ რეპრესიას. სირებული ენერჯია არ ქრება. ის ენერჯის შენახვის პრინციპის საფუძველზე, სადაც გადადის. ჩვეულებრივ, მისი რეზიდენცია ხდება არაცნობიერი. ენერჯის ასეთი დამატებით არაცნობიერი შეიძლება ვახდეს უფრო დატვირთული, ვიდრე ეგო. ამ დროს ჩნდება ენერჯის არაცნობიერიდან ცნობიერში გადასვლის ტენდენცია (ენტროპიის პრინციპის თანახმად). რასაც შეიძლება მოჰყვეს რაციონალური პროცესების დარღვევა. ე. ი. ძლიერ ენერჯიზირებული პროცესები ცდილობს რეპრესიის გარღვევას. და თუ წარმატება ექნა, ინდივიდის ქცევა ირაციონალური და იმპულსური ხდება.

სუბლიმაცია და რეპრესია თავისი ბუნებით ოპოზიციურნი არიან. სუბლიმაცია პროგრესულია, რეპრესია კი რეგრესული. სუბლიმაცია მიზეზობრივად განსაზღვრავს პიროვნების წინ მოძრაობას, მის ინტეგრირებულობას, რაციონალურობას. მაშინ, როცა რეპრესია უკან მოძრაობას, ინტეგრირებულობის დარღვევას და ირაციონალურობას განსაზღვრავს. თუმცა, იუნგი გვაფრთხილებს გავითვალისწინოთ, რომ რეპრესია არ არის აბსოლუტურად რეგრესიული, რომ ის შეიცავს შესაძლებლობას, — ინდივიდმა იპოვოს თავის პრობლემებზე პასუხი არაცნობიერში და განაგრძოს მოძრაობა წინ.

სიმბოლოზაცია. იუნგის თეორიაში სიმბოლოს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: ერთი მხრივ ის გამოხატავს ფრუსტრირებული, ინსტინქტური იმპულსების დაკმაყოფილების მცდელობას, ხოლო, მეორეს მხრივ, ის წარმოადგენს არქეტეპული მასალის ხორცშესხმას. ცეკვების, როგორც ხელოვნების ფორმის განვითარება იუნგის აზრით, წარმოადგენს ფრუსტრირებული სექსუალური იმპულსების სიმბოლურად დაკმაყოფილების მცდელობის კარგ მაგალითს. ამასთან, ინსტინქტური იმპულსები შეუძლებელია სრულყოფილად დაკმაყოფილდეს სიმბოლური რეპრეზენტაციებით, რადგან ის არ არის ინსტინქტური იმპულსის რეალური ობიექტი, შესაბამისად, ჩნდება ტენდენცია სიმბოლოების სისტემატური ძიებისა. იუნგი ვარაუდობს, რომ უკეთესი სიმბოლოს ძიება, (რომელიც განტვირთავს მეტ ენერჯიას), საშუალებას აძლევს ცივილიზაციას მიადწიოს უფრო მაღალ კულტურულ დონეს.

სიმბოლო, აგრეთვე, ასრულებს იმპულსებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ფუნქციასაც. რადგან ენერჯია იცლება სიმბოლოებში (ე. ი. ინარჩება), ის არ შეიძლება გამოყენებული იქნას იმპულსური განტვირთვისათვის. ამ თვალსაზრისით სიმბოლო იგივეა, რაც სუბლიმაცია. ის წარმოადგენს ენერჯის ტრანსფორმაციას.

სიმბოლოს ფუნქცია — გამოხატოს პიროვნების განვითარების მომავალი ხაზი, განსაკუთრებით მისწრაფება მთლიანობისკენ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იუნგის თეორიაში. მისი აზრით სიმბოლოს მნიშვნელობა არა მარტო ისაა, რომ მიუთითოს რაღაც შენიღბულზე, არამედ ისიც, რომ (და ეს უფრო მნიშვნელოვანია) ანალოგიით შუქი მოჰფინოს იმას, რაც ჯერ კიდევ უცნობაა და ფორმირების პროცესშია პიროვნებაში. ე. ი. სიმბოლოები გამოხატავს არა მარტო კაცობრიობის შემონახულ სიბრძნეს, არამედ მათ შემოაქვთ განვითარების რეპრეზენტაციები, რომელიც მომავალში იქნება. ცოდნა, რომელსაც შეიცავს სიმბოლო, ადამიანისათვის არ არის უშუალოდ მოცემული. ადამიანმა უნდა გაშიფროს სიმბოლო, რათა აღმოაჩინოს მასში ჩაქსოვილი მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია.




იუნგის აზრით, სიმბოლოს ორი ასპექტი — ერთი რეტროსპექტული და ინსტინქტით წარმართული, მეორე — პროსპექტული და კაცობრიობის უწყვეტი მიზნებით წარმართული, — მედლის ორი მხარეა. სიმბოლოს ანალიზი შეიძლება ორივე ასპექტით. რეტროსპექტული ანალიზი ამკლავებს ინსტინქტურ საფუძველს, პროსპექტული ანალიზი გვიჩვენებს კაცობრიობის მისწრაფებას სრულყოფისაკენ, ჰარმონიისაკენ, განწმენდისაკენ და ა. შ. პირველი — კაუზალურია (ანალიზის რედუქციული ტიპი), მეორე — ტელეოლოგიური (ანალიზის ფინალისტური ტიპი). სიმბოლოს სრული ახსნისათვის ორივეა აუცილებელი. იუნგი თვლის, რომ თეორიებში, სადაც სიმბოლო განხილულია მხოლოდ როგორც იმპულსების ფრუსტრაციის შედეგი, უგულებელყოფილია მისი პროსპექტული ხასიათი. სიმბოლოს შექმნას კი, მისი აზრით, აქვს როგორც აღმძვრელი მიზეზი, ისე გარკვეული მიმართულების ტენდენცია. ბიძგს იძლევა ინსტინქტური ენერგია, ხოლო, მიმართულებას — ტრანსცენდენტალური მიზანი. ცალკალკე თითოეული ეს დეტერმინანტი არ არის საკმარისი სიმბოლოს შესაქმნელად. შესაბამისად, სიმბოლოს ფსიქიკური ინტენსიობა არის კაუზალური და ფინალისტური დეტერმინანტების კომბინირებული პროდუქტი, და ამდენად, უფრო ძლიერია, ვიდრე მხოლოდ კაუზალური ფაქტორი.

მითოლოგიის, რელიგიის და ოკულტურ მაცნობარებათა შედარებითი შესწავლა

რადგან არქეტიპების შესწავლა მხოლოდ თანამედროვე წარმოებით იუნგს ძალიან ძნელ საქმედ მიაჩნდა, ის დიდ ყურადღებას აქცევდა მითოლოგიის, რელიგიის, ალქიმიისა და ასტროლოგიის შესწავლას. იუნგი შეეხო ისეთ სფეროებს, სადაც ფსიქოლოგები იშვიათად აწარმოებენ კვლევებს. მან დააგროვა დიდძალი მასალა ისეთი მოვლენების შესახებ, როგორიცაა ინდური რელიგია, ტაოიზმი, იოგა, ქრისტიანული მესა, ასტროლოგია, ალქიმია და ა. შ.

იუნგის ცდა — დამტკიცებინა რასიული არქეტიპების არსებობა, მოცემულია შრომაში — „პიროვნება და ალქიმია“ [4]. ავტორი თვლის, რომ ალქიმიის მდიდარი სიმბოლიზმი გამოხატავს მრავალ, თუ არა ყველა, არქეტიპს. შრომაში იუნგი ანალიზებს სიზმრებს და ალქიმიურ სიმბოლოებს და მათი ურთიერთშედარებით ასკენის, რომ მათ საფუძველად ერთიდაიგივე ბაზისური ფაქტორები უდევს.

შრომაში განხილული მასალა შეიცავს ათასზე მეტ სიზმარს: მოცემულია სიზმრის და ალქიმიის შედარებითი ანალიზი. ნაცადია სიზმრისა და ალქიმიური სიმბოლოების იდენტურობის დადგენა. მაგ., შრომაში გაანალიზებულია სიზმრის შინაარსი, სადაც ადამიანთა ჯგუფი სეირნობს ბალის ირგვლივ. სიზმარში თვითონ სიზმრის ავტორი არ არის მოვლენების ცენტრში, ის განზე დგას. ბალის ცენტრში დგას გიბონის (მაიმუნის) რეკონსტრუირებული ფიგურა. იუნგის აზრით, ბალი არის ალქიმიკოსის შრომის სიმბოლო, რომელიც შეიცავს პირველადი მატერიის ქაოტური ერთიანობის მსგავრებას 4 ელემენტად, როგორც უფრო სრულყოფილ მთლიანობაში მათი გაერთიანებისათვის მოსამზადებელი საფეხური. სრულყოფილი მთლიანობა სიზმარში გამოხატულია წრით (მანდალა), რომელიც ვლინდება ბალის ირგვლივ მოძრაობაში. გიბონი, ანუ ადამიანის მსგავსი მაიმუნი, მხარს უჭერს ალქიმიური სუბსტანციის მისტიკურ გარდაქმნას რომელიც საწყის მასალას გარდაქმნის ოქროდ. ამრიგად, იუნგის



აზრით, ეს სიზმარი ნიშნავს, რომ პაციენტმა თავისი პიროვნების ცენტრი ეგო-დან უნდა გადაანაცვლოს სელფზე, რათა შესაძლებელი გახადოს რეპროდუცირებული ატავისტური იმპულსების ტრანსფორმაცია. შინაგანი ჰარმონიის მიღწევა პაციენტს შეუძლია მხოლოდ პიროვნების ყველა კომპონენტის ინტეგრირებით, ისევე, როგორც ალქიმიკოსს შეუძლია მაღაწიოს თავის მიზანს ბაზისური ელემენტების დამახასიათებელი შერევით. (რომლისთვისაც მას, ცხადია, არასოდეს მიუღწევია).

მეორე სიზმარში, სიზმრის ავტორის წინ მაგიდაზე დგას ყელატინური მასით სავსე მინის ჭურჭელი. იუნგის აზრით, მინის ჭურჭელი შეესატყვისება ალქიმიკოსის მიერ გამოყენებულ ჭურჭელს, სითხე კი ამორფულ სუბსტანციას, რომლის ფილოსოფიურ ქვად (ლაპისად) გარდაქმნას იმედოვნებს ალქიმიკოსი. ამ სიზმრის ალქიმიური სიმბოლო მიუთითებს, რომ ინდივიდი, რომელმაც ნახა ეს სიზმარი, ცდილობს და იმედოვნებს გარდაქმნას თავისთავი რაღაც უფრო სრულყოფილად.


